

ISSN 1512-0880

1239
2000



სამართლებელს
გებლითება

№1(1), 2000

ჟურნალის თანამდგომთა საბჭო

ნოდარ ამალლობელი
შოთა აფაქიძე
ლევან ბერძენიშვილი
თამაზ გამყრელიძე
სესილი გოგიბერიძე
მალხაზ ზაალიშვილი
დავით თარხან-მოურავი
გურამ თაყნიაშვილი (პასუხ. მდ., რედ. მოადგ.)
ნანა კანდელაკი
ალექსანდრე კარტოზია
ალექსანდრე ლორია (რედაქტორი)
ლია ნადარეიშვილი
თემურ ჟღენტი
მზია რაზმაძე
ვახტანგ სართანია
აკაკი სინარულიძე
გულნარა სტურუა
ბაკურ სულაკაური
ირაკლი ღარიბაშვილი
რევაზ ლლონტი
თეიმურაზ ჩხენკელი
ირინა ჭანტურიშვილი

ჟურნალის რედაქცია:

- ა. ლორია – რედაქტორი
- გ. თაყნიაშვილი – პასუხ. მდივანი, რედაქ. მოადგილე
- მ. რაზმაძე – კომერციული დირექტორი
- გ. სტურუა – სამეცნიერო – მეთოდური და კორექსონდენტებთან მუშაობის კოორდინატორი
- ნ. ქავთარაძე – საქმის მწარმოებელი და კორექტორი

გამომცემლები: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007; გუდიაშვილის ქ.7,
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ.: 93-26-82

(ჟურნალი დაკაბადონებულია საქართველოს ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის განყოფილებაში გ. დარჩაშვილის მიერ)



193

შინაარსი

პერსპექტივა - უმთავრესი პრინციპი
 ფურნალის გამოცემას ესაღმებთან
 პირველი პროფესიული

ოფიციალური განყოფილება

საქართველოს კანონი
 საბიბლიოთეკო საქმის შესახებ -
 კავშირი საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.
 წესდება 12

**ჩვენი ბიბლიოთეკები:
 მათი მდგომარეობა
 ახალი საუკუნის დასაწყისში**

ლევან ბერძენიშვილი
 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
 ახალი საუკუნის მიჯნაზე 15

ირინა ჭანტურიშვილი, გურამ თაყნიაშვილი
 საქართველოს ბიბლიოთეკები ინტერნეტში 20

მალხაზ ზაალიშვილი, ნანა ფირცხალავა
 60 წელი მეცნიერების სამსახურში 22

შოთა აფაქიძე
 უმაღლესი სასწავლებლების მთავარი ბიბლიოთეკის
 დღევანდელი - ამოცანები და პრობლემები 25

გულნარა წიკლაური
 ქუთაისის სამეცნიერო-უნებერსაღური ბიბლიოთეკა 27

მომავლის განჭვრეტით
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო
 რესპუბლიკური ბიბლიოთეკა 30

გულნარა სტურუა
 თელაველთა სულიერი საგანძური:
 ტრადიციისადმი ერთგულება და ენთუზიაზმი 33

ნუგზარ გოგსაძე
 ტექნიკური დოკუმენტაციის სახელმწიფო წიგნსაცავი 36

საბიბლიოთეკო კადრები

მზია ტოგონიძე
 სპეციალისტთა მომზადება და გადამზადება
 თანამედროვე ეტაპზე 38

ინგა ფილაური
 პირველი გამოშვება 40

საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები

ნინო ჩხენკელი
 ინტერნეტი საქართველოს ბიბლიოთეკებში 41

უცხოელის თვალთ

ვიარესლავ ნოურგალიევი
 ბიბლიოთეკები, წიგნები და ცივი ომი
 თარგმანი მ. ფალავანდიშვილისა 43

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა

რუსული ბიბლიოთეკათმცოდნეობითი და
 ბიბლიოგრაფიული პერიოდული გამოცემები 45

ისტორიის ფურცლებიდან

ნინელი მელქაძე
 ხანმოკლე გზის საწყის-სასრული 46

ტერმინოლოგიური ძიებანი

ბადრი ცხადაძე
 წერ (ჭერ, ჭარ...) ფუძეთაგან ნაწარმოები
 პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი ტერმინები
 ქართულში 47

ბიბლიოთეკის იუბილე

გურამ თაყნიაშვილი
 აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის იუბილე 51

ღირსების ნიშნით

შალვა ძიძიგური
 ნათელმოსილი ქალბატონი 53

იუბილარი

ნანული გოგატიშვილი
 გზა განვლილი და გასავლელი 54

პოლემიკა

ინგა ფილაური
 „რედაქციონალური“ ცნების შეუსაბამობის შესახებ 55

ინფორმაციები

კონკრეტული რეკომენდაციების გათვალისწინებით 55
 კულტურის განვითარების კონცეფცია 56
 საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა:
 მოვლენები, ფაქტები 57

ბიბლიოთეკების დასახმარებლად

კლასიფიკატორთა საყურადღებოდ 59
 2001 წლის ღირსშესანიშნავ
 და საიუბილეო თარიღთა კალენდარი 65

განცხადებები

ლევან ბერძენიშვილი
 საქართველოს თანამედროვე ავტორების ვებ საიტი 68

რევიუ - კინო და მუსიკა 69

ინფორმაციები გამომცემლობათა შესახებ 70

არჩილ თაყნიაშვილი
 GeRes თქვენი გზამკვლევი ინტერნეტში 71

ლექსორდი 72

Table of Contents

Editorial Letter – Perspective – the Main Principle	4
Welcome Letters to the First Issue of the Journal	5
The First Professional	7
<i>Official Part</i>	
Georgian Library Law	8
Georgian Library Association Bylaws	12
<i>Our libraries: Their Condition At The Beginning Of The New Century</i>	
Levan Berdzenishvili The National Parliamentary Library of Georgia At The Beginning Of the New Century	15
Georgian Libraries In The Internet	20
Malkhaz Zaalishvili, Nana Partskhalava 60 Years In The Service For Science	22
Shota Apakidze The Present Day Of The Main Library Of The High Schools – Objectives And Problems	25
Gulnara Tsiklauri Scientific – Universal Library Of Kutaisi	27
Under The Foresight Of The Future The State Library Of The Autonomous Republic Of Adjara	30
Gulnara Sturua Spiritual Heritage of Telavi: Devotion to Traditions and Enthusiasm	33
Nugzar Gogsadze The State Archive Of Technical Documentation	36
<i>Library Professionals</i>	
Mzia Togonidze Education And Continuing Education On The Current Stage	38
Inga Philauri The First Graduates	40
<i>Library And Information Technologies</i>	
Nino Chkhenkeli Internet In The Georgian Libraries	41
<i>The Foreigners' Point Of View</i>	
Libraries, Books And The Cold War (Translation)	43
<i>Bibliographic Review</i>	
Russian Serials on library Science And Bibliography	45

The Pages Of History

Nineli Melkadze The Beginning And The End Of The Short Passage	46
---	----

Terminological Researches

Badri Tskhadadze Paleographic – Bibliognostical Terms Derived From Tser (to write), Cher (to cut) And Char (to gossip) Roots In The Georgian Language	47
--	----

Jubilee Of The Library

Guram Takniashvili The Jubilee Of The US Congress Library	51
--	----

Under The Sign Of Honour

Shalva Dzidziguri An Honorable Woman (about A. Tokhadze)	53
---	----

Jubileer

Nanuli Gogatishvili The Passed And Forthcoming	54
---	----

Polemics

Inga Philauri On The Problem Of The “Redacomplect” Term	55
--	----

Information

Gulnara Sturua Following the Actual Recommendations	55
Cultural Development Conception Chronicle Of The Georgian Library Life: Events, Facts	56
	57

For The Libraries

Additions In The Classification Tables The Calendar Of Important And Jubilee Dates In 2001	59
	65

Advertisements

Levan Berdzenishvili Web-Site Of The Georgian Modern Authors	68
Revue. Cinema and Musics	69
Publishers' Information	70
Archil Takniashvili GeRes – Your Guide in the Internet	71
Verseword	72

Содержание

Перспектива – главный принцип 4

Издание журнала приветствуют 5

Первый профессиональный 7

Официальный раздел

Закон о библиотечном деле Грузии 8

Союз – Библиотечная ассоциация Грузии. Устав 12

*Наши библиотеки:
их состояние в начале нового столетия*

Леван Бердзенишвили.
Национальная Библиотека Парламента Грузии
на пороге нового столетия 15

Библиотеки Грузии в интернете 20

Малхаз Заалишвили, Нана Пирцхалава
60 лет на службе науки 22

Шота Апакидзе
Главная библиотека высших учебных заведений в
настоящем – задачи и проблемы 25

Гульнара Циклаури
Кутаисская универсальная библиотека 27

С предвидением будущего...
Государственная библиотека
Автономной Республики Аджария 30

Гульнара Стуруа
Духовная сокровищница телавцев:
верность традициям и энтузиазм 33

Нугзар Гогсадзе
Государственное хранилище технической документации 36

Библиотечные кадры

Мзия Тогонидзе
Подготовка и переподготовка кадров
на современном этапе 38

Инга Пилаури
Первый выпуск 40

Библиотечная технология

Нино Чхенкели
Интернет в библиотеках Грузии 41

Глазами иностранца

Вячеслав Ноургалиев
Библиотеки, книги и холодная война.
Перевод с немецкого М. Палавандишвили 43

Библиографический обзор
Русские библиотековедческие
и библиографические периодические издания 45

Страницы истории

Нинель Мелкадзе
Начало и завершение короткого пути 46

Терминологические изыскания

Бадри Цхададзе
Книговедческо-палеографические термины 47

Юбилей библиотеки

Гурам Такниашвили
Юбилей Библиотеки Конгресса США 51

Со знаком почёта

Шалва Дзидзигури
Светлый образ 53

Юбиляры

Нанули Гогатишвили
Путь пройденный и предстоящий 54

Полемика

Инга Пилаури
О неправомерности термина „рекомплектования“ 55

Информация

С целью конкретной рекомендации 55
Концепция развития культуры 56

Хроника библиотечной жизни Грузии:
события, факты 57

В помощь библиотекам

Дополнения к таблицам классификации 59
Календарь юбилейных и знаменательных дат: 2001 г. 65

Объявления

Леван Бердзенишвили
Веб сайт современных авторов Грузии 68

Ревю – Кино и Музыка 69

Информация об издательствах 70

Арчил Такниашвили
GeRes - ваш путеводитель в Интернете 71

Кроссворд 72

პერსპექტივა – უმთავრესი პრინციპი



პროფესიული ჟურნალის დაარსება ჩვენი დარგისთვის უდიდესი მოვლენაა. ამ საქმეზე სპეციალისტთა არაერთ თაობას უფიქრია და უზრუნია, მაგრამ წარუმატებლად. დღეს ხორცი შეესხა ჩანაფიქრს – საქართველოში ყოფილიყო ისეთი ჟურნალი, რომელიც მთელი დარგის საქმიანობას გააშუქებდა და თეორიისა და პრაქტიკის განვითარების ბურჟუაზიკული იქცეოდა. ღრმად ვართ დარწმუნებული, ჩვენი წამოწყება არ იქნება უიღბლო და ჟურნალს არსებობის ხანგრძლივი და უწყვეტი გზა ექნება. ამის იმედს იძლევა დამფუძნებელთა და სარედაქციო კოლექტივის შემადგენლობა.

ჟურნალის დაფუძნებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, რომელმაც შეიკვლია რედაქცია და მას ყოველმხრივ დახმარებას უწევს. არ შეიძლება არ აღინიშნოს მასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს მოღვაწეობაც, რომელიც გვერდში უდგას ეროვნულ ბიბლიოთეკას საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის გარდაქმნა-აღორძინებისათვის აღძრულ მოძრაობაში.

ჟურნალის პროგრამა არ იფარგლება მხოლოდ საბიბლიოთეკო საქმით და საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. როგორც ცნობილია, ბიბლიოთეკა, საერთოდ, არ წარმოადგენს მხოლოდ კულტურის სფეროს შემადგენელ ნაწილს. მას დიდი ადგილი უჭირავს სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ინფორმაციულ, საგამომცემლო, საზოგადოებრივ ორგანიზაციულ-გაერთიანებებისა და სხვადასხვა საწარმო-დანსებულებათა საქმიანობაში. ეს თემატიკისა და საკითხთა განუსაზღვრელ სფეროს მოიცავს და ამიტომ თითქმის ყველა დარგის სპეციალისტს მიეცემა საშუალება ჩვენთან ითანამშრომლოს. ჟურნალის ფურცლებს სიამოვნებით დავუთმობთ არა მარტო საბიბლიოთეკო – ინფორმაციული და ბიბლიოგრაფიის დარგის მუშაუბებს, არამედ პედაგოგებს, წიგნმცოდნეებს, პოლიტოლოგებს, სოციოლოგებს, ფსიქოლოგებს, პოლიტიკოსებს, პოლიტიკოსებს, ხელოვნების მოღვაწეებს, ყველა საწარმო – დანსებულების მუშაუბებს და მკითხველებს, რომლებიც საბიბლიოთეკო საქმის, კითხვის, წიგნისა და წიგნიერების პრობლემებსა და საკითხებზე შემოგვთავაზებენ მასალას.

ჟურნალში გაშუქებული იქნება როგორც თეორიული, ისე მეთოდური და პრაქტიკული საკითხები. დიდი ადგილი დაეთმობა ინფორმაციებს ადგილებიდან, კორესპონდენციებს, პოლემიკურ მასალას, ჩვენი და უცხოეთის ქვეყნების ბიბლიოთეკების გამოცდილებას, საბიბლიოთეკო სისტემის აგებასა და მართვას, კადრების მომზადება-გადამზადებას, საკანონმდებლო-იურიდიულ, საძიებო-ინფორმაციულ, საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფორმირებისა და დაცვის, მკითხველთა მომსახურებისა და ინფორმირების, ორგანიზაციულ, ფინანსურ, მატერიალურ-ტექნიკურ და სხვა საკითხებს.

ჟურნალი გამოაქვეყნებს ბიბლიოგრაფიულ სიებს, ცნობებს ახალი გამოცემების შესახებ, რეცენზიებს, კრიტიკულ გამოხმაურებებს, ინტერვიუებს, მკითხველთა მოსაზრებებსა და წინადადებებს, მოგონებებს, თემატიკის გათვალისწინებით ადგილს დაუთმობს ცნობილი მწერლების ნაწარმოებებს და დარგის მუშაობა მხატვრულ შემოქმედებას, აგრეთვე ყოველგვარ რეკლამას.

რედაქცია პერიოდულად მონაცობს წიგნების პრეზენტაციას, გარჩევა-განნილვებს, მის მიერ გამოქვეყნებული მასალის ანალიზს, გამსვლელ კონფერენციებს, მკითხველთა ინტერესების შესწავლას, შეხვედრებს ავტორებთან, ჩაატარებს სხვა-

დასხვა სახის კონკურსებს, დაამყარებს შემოქმედებით ურთიერთობას სხვა პერიოდულ ორგანოებთან.

საბიბლიოთეკო და წიგნის საქმე თანამედროვე პირობებში კრიზისულ სიტუაციაშია. მძიმე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მეცნიერულ, მეთოდურ და პრაქტიკულ მოღვაწეობაზე უარყოფითად ზემოქმედებს. ამას ემატება ინფორმაციული უზრუნველყოფის დაბალი დონე და, ამგვარად, იქმნება მეტად საველლო სურათი, რომლის გამოსწორების გარეშე არამც თუ დარგი, საერთოდ, ქვეყნის სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესი შეფერხდება. ამიტომაც, გადაუდებლად და საჭირო მდგომარეობის სწრაფი გამოსწორება.

ვერ ვიტყვი, რომ საქმის გამოსწორებისათვის თითქოს არ დაწყებულიყო მუშაობა: საქართველოს საბიბლიოთეკო კანონის მიღება, პრეზიდენტის რამდენიმე განკარგულება და რეზოლუცია, საერთაშორისო კონფერენცია-სემინარები, რომლებიც საქართველოში გაიმართა უცხოელ სპეციალისტთა მონაწილეობით, საბიბლიოთეკო ასოციაციის დაარსება, თბილისის მერიაში შემუშავებული გეგმები, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებულ საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის გამოცოცხლება და აქ განხორციელებული ღონისძიებები, კულტურის მინისტრისა და განსაკუთრებით სახელმწიფო მინისტრის მიერ დედაქალაქის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ბიბლიოთეკის დათვალიერება და სხვა – თვალნათლივ მოწმობს ამ ფაქტს. ეს იმის საწინდარიცაა, რომ საბიბლიოთეკო და წიგნის საქმის მიმართ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება თანდათან ძლიერდება და, იმედია, კვლავ გაძლიერდება, რის გარეშეც არსებულის გარდაქმნა და განვითარება შეუძლებელია.

ყოველგვარი საქმის გარდაქმნა არსებულის შეფასება-ანალიზითა და პრობლემების განსაზღვრით იწყება, რის საფუძველზედაც შესაძლებელი ხდება პერსპექტივის განჭვრეტა და რეკომენდაციების შემუშავება. სწორედ ამ საქმეს უნდა ემსახურებოდეს ჩვენი ჟურნალი. მის გარშემო დარაზმული მესვეურები, სპეციალისტები და მკითხველი საზოგადოება თავგამოდებით უნდა ზრუნავდეს ამ პერიოდული ორგანოს სისხლსავსე სიცოცხლისათვის, მისი მრავალფეროვნებისათვის, მაღალი შემოქმედებითი და უბუღიკისტური ღონისათვის, მასალის სიახლის, სიმართლისა და სიმძაფრისათვის. არსებულის ობიექტურად ასახვა ჟურნალის პრიორიტეტული საზრუნავია, მისი ფუნდამენტია, მაგრამ მხოლოდ არსებულის ჩვენება, ნაკლის მხილება თუ დადებითის წარმოჩენა საქმეს ვერ უშველის, თუ პერსპექტივა ვერ დავინახეთ. გაცილებით უფრო ძნელია მომავალი დავინახოთ, ვიდრე არსებული სინამდვილე, თუმცა ეს უკანასკნელიც არ არის იოლი. არსებულის ხედვა ნიშნავს არა მარტო იმის ხილვას, რაც არის, არამედ იმის გარკვევას, თუ რატომ არის ეს ასე. მიზნულ-შედეგობრიობის სწორად შეცნობა პერსპექტივის ჭვრეტის საწინდარია. პერსპექტივა კი ჩვენი მოღვაწეობის უმთავრესი პრინციპია.

ჩვენი ჟურნალი სწორედ ამისთვისაა მოწოდებული. ის კარს გაუღებს ყველას, ვინც თავისი მართალი სიტყვით ხელს შეუწყობს მას. იმედს გამოვთქვამთ, საქართველოს საზოგადოება გულთბილად მიესალმება ახალი ჟურნალის გამოჩენას, შეძლებულს გავარად ხელს შეუწყობს მას და დაეხმარება დაფინანსებაში. ჟურნალი კი არ გაუცრუებს მათ იმედებს – ობიექტურად ასახავს სინამდვილეს და იბრძობს საქმის შემდგომი განვითარებისათვის.

ჟურნალი "საქართველოს ბიბლიოთეკა" რედაქცია



მივსალმები ახალი ქურნალის „საქართველოს ბიბლიოთეკის“ დაარსებას.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის გზაზე განუზომლად დიდი ბიბლიოთეკების შეუფერხებელი ფუნქციონირების მნიშვნელობა. საბიბლიოთეკო საქმიანობა უზრუნველყოფს ინფორმირებულობის მაღალ დონეს, რაც ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ერთ-ერთი უმთავრესი საფეხურია.

ვიმედოვნებთ, რომ პროფესიული ბიბლიოთეკათმცოდნეობითი ქურნალის გამოცემა ხელს შეუწყობს საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმართვას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, გაზრდის დარგის მომსახურე პერსონალის კომპეტენტურობას, წარმართავს მათ კოორდინირებულ საქმიანობას, საზოგადოებას გააცნობს მასთან დაკავშირებულ პრობლემებს და იმ ადამიანთა ღვაწლს, ვინც დღევანდელ ემსახურება ამ უაღრესად კეთილშობილ საქმეს.

ვულოცავ საბიბლიოთეკო დარგის ყველა მუშაკს და მთლიანად საქართველოს მოსახლეობას საბიბლიოთეკო დარგში პირველი ქართული პროფესიული ქურნალის გამოცემას.

საუკეთესო სურვილებითა და პატივისცემით,

ნოდარ აბაღლოშვილი, აკადემიკოსი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე



საქართველოს ბიბლიოთეკები ერთ-ერთ უთვალსაზრისუდ ასრულებენ ქართული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში. ისინი დიდი მზრუნველობით იცავენ ერის წერილობით ძეგლებს. წიგნით საზოგადოებრივი სარგებლობის უზრუნველყოფა და ადამიანთა ყველა თაობის განათლება - ბიბლიოთეკების ერთ-ერთი საპატიო მისიათაგანია. განათლების სისტემის ბიბლიოთეკები სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი პროცესების ორგანიზაციის ნაწილია. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა და სტუდენტთა წიგნიერების დონის ამაღლებისა და პროფესიის ღრმად დაუფლების საქმეში. თანამედროვე ეტაპზე განათლების სამინისტროს სასკოლო ბიბლიოთეკებში მიმდინარეობს საბიბლიოთეკო ფონდების რეორგანიზაციის სამუშაოები. ამდენად, პროფესიული ქურნალის გამოცემა დღეისათვის პირდაპირ პასუხობს ათასობით ბიბლიოთეკარის პროფესიულ მოთხოვნებს. ვიმედოვნებთ, ახალი პერიოდული ორგანო სისტემატურად გააშუქებს განათლების სისტემის ბიბლიოთეკების საქმიანობას.

ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობითი და ბიბლიოგრაფიული ხასიათის ქურნალი ამ დარგის სპეციალისტთა დიდ მიღწევად მიგვაჩნია. მივესალმები პირველი ნომრის გამოცემას, ვიმედოვნებთ, განათლების სამინისტრო აქტიურად ითანამშრომლებს სარედაქციო კოლექტივში.

ღრმა პატივისცემით, ალექსანდრე პარტოზიკი, პროფესორი, განათლების მინისტრი,

მივესალმები ქურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ დაარსებას. ასრულდა ბიბლიოთეკართა მრავალწლიანი ოცნება - ქართულ პერიოდიკას შეემატა კიდევ ერთი ახალი და საჭირო ქურნალი, რომლის დაარსებაც მაღლიერების გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც ჩვენი სულიერების წყაროს - წიგნს ემსახურებიან.



იმედია, ეს გამოცემა იქნება ჭეშმარიტი პროფესიული ქურნალი, სადაც ძირითადი ადგილი დაეთმობა ქვეყნის საბიბლიოთეკო ქსელში მიმდინარე ცვლილებებს თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, მისი საქმიანობის პრინციპებს, ყველა იმ პრობლემას, რომელიც დღეს აწუხებს ამ საქმის მესვეურთა და რომელთა გადაწყვეტაც თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა.

ვიმედოვნებთ, შეძლებისდაგვარად დაუფასდებათ ამაგი და წარმოჩინდება იმ მუშაკთა ღვაწლი, რომლებიც მატერიალური ფუფუნებით არასოდეს ყოფილან განებივრებულნი, მაგრამ სწორედ მათი უანგარო შრომითა და თავდადებათ, წიგნი ისევ რჩება საზოგადოების უპირველეს სულიერ მოთხოვნილებად.

ფეხბედნიერი იყოს მისი შემოსვლა ბიბლიოთეკებში. მის მესვეურებსა და ჩვენს ბიბლიოთეკებს ვუსურვებ მრავალრიცხოვან მკითხველს და თითოეული თქვენთაგანის სურვილს განვაცხადებ ალბათ, თუ ვინაიტრებ: ყოველ ქართველს ჰქონდეს სურვილი ურთიერთობისა იმ საგანძურებთან, რომლებიც ჩვენს ბიბლიოთეკებს ამშვენებს.

ულრმესი პატივისცემით, სანსილი გომბიზარძე, კულტურის მინისტრი

პირველი ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობითი და ბიბლიოგრაფიული ხასიათის ქურნალი უთუოდ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ არა მარტო ქართულ საბიბლიოთეკო საზოგადოებაში, არამედ ქართულ ქურნალი-სტეკაშიც. ქურნალი თანმიმდევრულად გააშუქებს საბიბლიოთეკო საქმის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნმცოდნეობისა და ინფორმაციის საკითხებს. ქურნალმა დიდი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს ბიბლიოთეკების მსოფლიო საბიბლიოთეკო პრაქტიკასთან ინტეგრაციის საქმეში. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ერთად ქურნალის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ბიბლიოთეკა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ქურნალი აღმოჩნდეს სიცოცხლი-სუნარიანი.



ვულოცავ პირველ წარმატებას ქურნალის სარედაქციო კოლექტივს, ქართული წიგნისა და ბიბლიოთეკის მოყვარულთ, ყველა მკითხველს.

ლევან ბერძენიშვილი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი



ჩვენ მოწმენი და თანამონაწილენი ვართ იმ ცვლილებებისა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ხდება: დამოუკიდებლობის აღდგენა, ახალი პრიორიტეტების ჩამოყალიბება პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურულ განვითარებაში, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება, ახალი ტექნოლოგიების და სტანდარტების განვითარება, სულ უფრო აქტიური ჩაბმა საერთაშორისო ცხოვრებაში.

იმისათვის, რომ დამოუკიდებლობა, დემოკრატია და კულტურული აღმავლობა ჩვენთვის მხოლოდ სიტყვებად არ დარჩეს, საჭიროა ჩვენი მისწრაფებების, ძალისხმევების, მიზნების განსაზღვრა, ამ მიზნების მიღწევისათვის სტრატეგიული გეგმების დასახვა და ჩვენი ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გავრთიანება.

სწორედ საერთაშორისო პროცესებში თანამონაწილეობის შედეგია ის, რომ საქართველოში მიმდინარეობს საკანონდებლო ბაზის დახვეწა, კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების კონცეფციების შემუშავება.

ცხადია, საქართველოს ბიბლიოთეკები (ბიბლიოთეკები კი ყველა განვითარებული ქვეყნის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს) არა მარტო სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული ამ პროცესების სწრაფ განვითარებაში, არამედ მონაწილეობას დებულობენ მასში (ეს ხომ სწორედ დემოკრატიის პრინციპია). ბიბლიოთეკებში უმდიდრესი საინფორმაციო ფონდია დაცული, რომლის

სათანადო გამოყენება დაგვეხმარება სწრაფად მონახოთ არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზები. ამავე დროს ბიბლიოთეკების და მათი მეგობრების, საერთაშორისო ფონდების დახმარებით მრავალ ბიბლიოთეკაში ვითარდება თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც, ერთი მხრივ, ჩვენი მკითხველებისათვის ახალი საინფორმაციო წყაროების მოზიდვის საშუალებაა და, მეორე მხრივ, ახალი კონცეფციების, იდეების და მიდგომების გავრცელების, პოპულარიზაციის და პროპაგანდის საუცხოო გზაა.

ზემოთქმული იდეების გავრცელებისათვის უპირველესი ამოცანაა ჩვენს ბიბლიოთეკებს შევუქმნათ ის საშუალებები, რომლებითაც გამოცდილებისა და ცოდნის, აზრებისა და იდეების გაზიარება, განხილვა და დამკვიდრება მოხდება.

სწორედ ასეთ საშუალებად გვესახება ის საბიბლიოთეკო ჟურნალი, რომლის პირველი ნომერი თქვენ გიჭირავთ ხელში და რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელია "საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია".

ამ ჟურნალის დაარსებით ასოციაციის მიზანია, დაეხმაროს საქართველოს ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოთეკარებს, გაეცნონ სიახლეებს პროფესიულ, საკანონმდებლო, სამეცნიერო-ტექნიკურ საკითხებში, მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ჩამოაყალიბონ ის საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, რომელზეც ზემოთ ვთქვით, და რომელიც მათაც დაეხმარება ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებაში და სამართლებრივი, სოციალური და სხვა უფლებების დაცვაში.

ვულოცავ ჟურნალის სარედაქციო ჯგუფს დიდი და მნიშვნელოვანი მოსამზადებელი ეტაპის წარმატებით დასრულებას და ვუსურვებ მომავალ ნაყოფიერ შემოქმედებას.

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი



სახით.

ბიბლიოთეკები ყოველთვის ასრულებდნენ საპატიო მისიას. თანამედროვე ქართულ საზოგადოებრიობაში ბიბლიოთეკები უნდა მივიჩნიოთ მოსახლეობის უწყვეტი განათლების, აღზრდისა და პროფესიული დაოსტატების მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო დანესებულებებად. მათი როლი სულ უფრო იზრდება დღეს, როდესაც რეალურად არსებობს წერილობითი წყაროების გამოყენების გლობალური საშუალებები ინფორმაციის საერთაშორისო არხების

ვლებლებს, მას ელოდება ქართული წიგნისა და ბიბლიოთეკის მოტრფიალე მკითხველი საზოგადოება, ქართველი და არა მარტო ქართველი ბიბლიოთეკარები. პროფესიულმა ჟურნალმა უნდა უზრუნველყოს ქართული საბიბლიოთეკო პრაქტიკის განზოგადება და შემოწმებული რეკომენდაციების დანერგვა.

სულითა და გულით მივესალმებით ქართველ სპეციალისტთა მამულიშვილურ ნამოწყებას, პირველი ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობითი, ბიბლიოგრაფიული და წიგნმცოდნეობითი ხასიათის ჟურნალის გამოცემას.

დღეგრძელობას ვუსურვებთ ჟურნალს და მის დამფუძნებლებს.

პატივისცემით,

ვახტანგ სარტანია, პროფესორი, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი

ჟურნალის გამოცემა მიხსალაგებინა

პირველი პროფესიული



ქართულ წიგნსა და ბიბლიოთეკას საქართველოში ისეთივე საინტერესო ისტორია აქვს, როგორც ქართულ ენას, ქართულ დამწერლობას, მთელ ქართულ კულტურას. ქართული ხელნაწერი წიგნები სამონასტრო ბიბლიოთეკებში შემოვიწინა. სწორედ სამონასტრო ბიბლიოთეკებში ჩამოყალიბდა წიგნის დაცვისა და კითხვის კულტურა. ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ხელნაწერებში ქართველი კაცის სული და გონებაა ჩაქსოვილი. მომდევნო პერიოდში წიგნის ბეჭდვის გამო-

გონებამ მოამარაგა წიგნი და მის კვალობაზე ბიბლიოთეკებიც. თანამედროვე ბიბლიოთეკა ფლობს ორგანიზებულ და სისტემატიზებულ ცოდნას. სწორედ ბიბლიოთეკის სიმყუდროვეში იქმნება მეცნიერული გამოკვლევები თუ მხატვრული ქმნილებები.

ბიბლიოთეკების მოწყობა თანამედროვე ყაიდაზე, უახლესი ელექტრონული ტექნიკის გამოყენებით, დიდ მცდელობას, უნარს, განსაკუთრებულ ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ეკონომიკურ მხარდაჭერას საჭიროებს.

დღეს ყველასათვის ცნობილი გარემოების გამო საქართველოში საბიბლიოთეკო საქმე დიდი სიმწელების წინაშე აღმოჩნდა. საბიბლიოთეკო დარგში მოღვაწე ადამიანები ბიბლიოთეკებს ინარჩუნებენ პირადი ერთუბიანებისა და თავდადების წყალობით, ამასთანავე იმის შეგნებით, რომ წიგნი და ბიბლიოთეკა მომავალი ქართული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სულიერი საფუძველია. ასეთ ვითარებაში პროფესიული პერიოდული ორგანოს დაარსება მართლაც რომ სპეციალისტთა დიდ შემართებაზე, დიდ მამულიშვილურ ძალისხმევაზე მეტყველებს. ეს ფაქტი უბრალოდ მისასალმებელი როდია. ქართული წიგნისა და მწერლობის მოყვარული ქართველი მკითხველი, მთელი ქართველი ინტელიგენცია გვერდში უნდა დაუდგეს ვეზომ ღირსეულ და მნიშვნელოვან წამოწყებას.

თამაზ ბამბრაქიძე, აკადემიკოსი

ქართული სპეციალური ბიბლიოთეკათმცოდნეობითი და ბიბლიოგრაფიული ჟურნალის გამოცემა ამ დარგის სპეციალისტთა მრავალი თაობის ოცნება გახლდათ. დღეს ეს ოცნება სინამდვილედ იქცა; ჟურნალის მესვეურთ მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო მისიის აღსრულება მოუწევთ.

თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი შედარებით ახლადდაარსებული სასწავლო დაწესებულებაა. ჩვენს კედლებში მზადდება უმაღლესი განათლების ბიბლიოთეკარები. ბოლო პერიოდში ინსტიტუტის რექტორატმა შეძლო კომპიუტერული კლასის ჩამოყალიბება, რამაც საშუალება მოგვცა ბიბლიოთეკარები მოგვემზადებინა კომპიუტერული სპეციალისტებით;

ვიმედოვნებთ, პროფესიული ჟურნალი პერიოდულად გაამუშავებს სასწავლო პროცესს; სწავლების თვალსაზრისითაც ბევრი პრობლემა მოითხოვს ახლებურ მიდგომას. ჟურნალმა უნდა შეძლოს საბიბლიოთეკო დარგში მოღვაწე ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაცია; ბიბლიოთეკების პრესტიჟის ამაღლება ერთგვარ იმპულსს მისცემს მომავალ ბიბლიოთეკართა აღზრდისა და მომზადების პროცესს.

მზად ვართ ვითანამშრომლოთ ქართული კულტურის დარგის ახლადდაარსებულ ჟურნალთან; გულწრფელად ვულოცავ რედაქციას პირველი ნომრის გამოცემას.



თამაზ ჟღენტბი, პროფესორი
თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი

ეს იყო 75 წლის წინათ. 1925 წელს საქართველოს პოლიტიკური განათლების მთავარმა სამმართველომ და საქართველოს პროფკავშირმა გამოსცა პირველი პერიოდული ორგანო „წიგნის მეგობარი“. ეს იყო ბიბლიოთეკათმცოდნეობითი და ბიბლიოგრაფიული ხასიათის ჟურნალი, გამოიცა პირველი და მეორე ნომერი ერთ წიგნად, და, სამწუხაროდ, შემდეგ ვეღარ შეძლეს მისი გაგრძელება. ჟურნალში საინტერესო მასალებია დაბეჭდილი ქართული წიგნის ისტორიის, ბიბლიოთეკების, გამოცემლობათა, საქართველოს ისტორიის და სხვ. საკითხებზე. ჟურნალში ყურადღებას იქცევს დ. კარიჭაშვილის ვრცელი წერილი, რომელიც ეძღვნება ქართული პერიოდიკის მიმოხილვას. მდიდარია ჟურნალის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული ნაწილი. ჟურნალში დაბეჭდილია პირველი ქართული ექვსკვირიანი საბიბლიოთეკო კურსების სასწავლო გეგმა, აგრეთვე ქართული საბიბლიოთეკო ტერმინები, შეკრებილი და დამუშავებული გ. ბაქრაძის მიერ.

წიგნის მეგობარი

საბიბლიოთეკო სამსახურის განვითარებისათვის

№ 1 & 2

საბიბლიოთეკო სამსახურის განვითარებისათვის
საბიბლიოთეკო სამსახურის განვითარებისათვის

ტფილისი
1925

ჟურნალი ასახავს იმდროინდელ ქართულ საბიბლიოთეკო პრაქტიკას, საბიბლიოთეკო აზრისა და მეთოდის მდგომარეობას; ჟურნალი მოამზადა თბილისის სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა სახლთან არსებულმა საბიბლიოთეკო და საბიბლიოგრაფიო კაბინეტმა, რომელმაც თავისი მოღვაწეობის პერიოდში (1923-1929) დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში რეგიონალური საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზებისა და, საერთოდ, საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციული საფუძვლების ფორმირების საქმეში.

ჟურნალში დაბეჭდილი მასალებიდან ყურადღებას იპყრობს შემდგომში ქართულ ბიბლიოთეკათმცოდნეობაში კარგად ცნობილი ავტორების: ი. ციციშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, გ. ბაქრაძის, გ. ბერულავას, პ. ჭანიშვილის, ბ. ბროსეს, ბ. რუდენკოს და სხვათა წერილები. ბიბლიოთეკათმცოდნეობის მონათესავე მეცნიერებებიდან დაბეჭდილია საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილი წერილები, რომელთა ავტორებიც იყვნენ: გ. ჩიტაია, ს. მაკალათია, დ. კარიჭაშვილი და სხვები.

ასეთი იყო 75 წლის წინათ ჩვენი პროფესიული წინაპრების მიერ გამოცემული პირველი ქართული სპეციალური ჟურნალის პირველი და მეორე ნომერი.

ქანონი

1994 - 1995 წწ. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბებული სპეციალისტთა ჯგუფი მუშაობდა კანონპროექტზე საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ. პროექტის სათანადო დონეზე განხილვის შემდეგ 1996 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ. კანონის მიღებიდან გავიდა თითქმის ხუთი წელი. როგორც საბიბლიოთეკო პრაქტიკამ ცხადყო, აღნიშნული კანონი საჭიროებს აუცილებელ ცვლილებებსა და დამატებებს. სპეციალისტთა ჯგუფი ამჟამად აგრძელებს საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული საფუძვლების სრულყოფის სამუშაოებს. ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ ამჟამად მოქმედ კანონს.

საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ

თავი 1

ჯოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციის ძირითად საკითხებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საბიბლიოთეკო ურთიერთობებს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.
2. ბიბლიოთეკა არის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ინფორმაციული დაწესებულება, რომლის მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 2. საბიბლიოთეკო მომსახურების ძირითადი ამოცანები საბიბლიოთეკო მომსახურების ძირითადი ამოცანებია:

- ა) მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითა განვითარებისათვის.
- ბ) შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტის შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ისე ასლენის გაგზავნით ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის საშუალებით.
- გ) ბავშვთა და მოზარდთა საბიბლიოთეკო მომსახურება სასკოლო, დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკებით ან მასობრივ ბიბლიოთეკებში სპეციალური საბავშვო განყოფილებებისა და ფონდების შექმნის გზით. სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობა განხილვება როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილი.
- დ) მოხუცთა და ინვალიდთა სპეციალიზირებული საბიბლიოთეკო მომსახურება.
- ე) მსჯავრდებულთა საბიბლიოთეკო მომსახურება სასჯელის მოხდის ადგილებში.

მუხლი 3. ბიბლიოთეკის თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები

- ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:
- ა) პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი;
- ბ) მკითხველთა თანასწორუფლებიანობა;
- გ) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდველობა;
- დ) ოპერატიულობა.

მუხლი 4. სახელმწიფოს ჩოროი საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფის ზაქმები

1. სახელმწიფო არის ბიბლიოთეკების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებისა და ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტი. იგი არ ერევა ბიბლიოთეკების პროფესიულ საქმიანობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. სახელმწიფო ამუშავებს და ადგენს საბიბლიოთეკო საქმის განვითარების პროგრამებს, მართავს საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემას, იცავს მოქალაქეთა უფლებებს საბიბლიოთეკო მომსახურების დარგში, ატარებს საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ღონისძიებებს.
3. სახელმწიფო უზრუნველყოფს:
 - ა) ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვასა და ხელშეუხებლობას;
 - ბ) თავიანთ ტერიტორიებზე ყველა მოქალაქის საბიბლიოთეკო მომსახურებას;
 - გ) საბიბლიოთეკო დოკუმენტებისა და ინფორმაციის მიღებაზე მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების განხორციელებისათვის ყველა საჭირო პირობას;
 - დ) საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას მისთვის ფინანსური მხარდაჭერით, შესაბამისი საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკის გატარების გზით;
 - ე) სახელმწიფო ბიბლიოთეკებისათვის სტანდარტებისა და ნორმატივების დამუშავებას;
 - ვ) საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო სტატისტიკური აღრიცხვის წარმოებას;
 - ზ) ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნებას, გამდგრებას, რეგისტრაციასა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის კონტროლს;
 - თ) დადგენილი ნუსხის მიხედვით ბიბლიოთეკებისათვის გამოყოფილი უფასო სავალდებულო ცალკების მიღებას;
 - ი) საბიბლიოთეკო ქსელისათვის ხელისუფლებისა და ნებისმიერი უწყების გამოუქვეყნებელი ყველა ნორმატიული აქტის მიწოდებას, გარდა აკრძალვას დაქვემდებარებული დოკუმენტებისა;
 - კ) იმ არასახელმწიფო ბიბლიოთეკების მატერიალური სტიმულირებისათვის მხარდაჭერას, რმლებიც მოსახლეობას უფასოდ ემსახურებიან;
 - ლ) სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას კადრების მომზადებასა და გადამზადების, მათი დასაქმების, შრომის ანაზღაურების, სოციალური გარანტიებისა და შეღავათების საქმეში;
 - მ) კადრების მოსამზადებელ სასწავლებელთა შექმნას, დაფინანსებასა და მართვას;
 - ნ) ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოდერნიზებისათვის ხელშეწყობას;

ო) საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციულ სრულყოფას.

მუხრი 5. სახელმწიფო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები

სახელმწიფო ბიბლიოთეკით სარგებლობა ყველასათვის ხელმძღვანელობს და შეუზღუდავია. გამოხატვისა იმ უწყების ბიბლიოთეკა, რომლის საქმიანობა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებულია. ამგვარი ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლების გაფართოება, შეზღუდვა ან მოხსნა ხდება კანონით დადგენილი წესით.

მუხრი 6. საბიბლიოთეკო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

საბიბლიოთეკო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, აფხაზეთისა და აჭარის კონსტიტუციები, ეს კანონი, საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები და აქტები.

თავი 2

ბიბლიოთეკისა და მკითხველის უფლება-მოვალეობანი

მუხრი 7. მკითხველის უფლებები

მკითხველი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო დოკუმენტები ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების შესაბამისად;

ბ) მიიღოს სრული ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ;

გ) ისარგებლოს ბიბლიოთეკის საძიებო საშუალებებით;

დ) ორიგინალის უქონლობის შემთხვევაში მიიღოს საჭირო დოკუმენტი ან მისი ასლი სხვა ბიბლიოთეკიდან ბიბლიოთეკითმორის აბონემენტის მეშვეობით;

ე) მოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტის ასლის გადაღება ბიბლიოთეკაში დადგენილი ნიხრის მიხედვით;

ვ) ბიბლიოთეკასთან შეთანხმებით გამოაქვეყნოს ან სხვა საშუალებებით გააცნოს საზოგადოებას საბიბლიოთეკო დოკუმენტი, თუკი ის არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოებისა და საავტორო უფლების შესახებ კანონმდებლობას;

ზ) მონაწილეობა მიიღოს ბიბლიოთეკართა და ბიბლიოთეკის მეთხველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობაში ან ბიბლიოთეკის საჭირობო საკითხების განხილვაში.

მუხრი 8. მკითხველის პასუხისმგებლობა

1. მკითხველი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

2. მკითხველი, რომელიც დაარღვევს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, აანაზღაურებს ზარალს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებით დადგენილი ნორმის შესაბამისად. მას ეკისრება აგრეთვე სხვაგვარი პასუხისმგებლობაც მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხრი 9. ბიბლიოთეკის უფლებები

ბიბლიოთეკა უფლებამოსილია:

ა) განაგოს საკუთარი სახსრები საქართველოს კანონმდებლობისა და ბიბლიოთეკის დებულებების საფუძველზე;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ან უწყების ხელმძღვანელ ორგანოებში წარადგინოს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების დასაბუთებული პროგრამა;

გ) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საგამომცემლო და საინფორმაციო პოლიტიკის განსაზღვრაში;

დ) მიიღოს შესაბამისი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს ან მატერიალურ ზარალს აყენებენ ბიბლიოთეკას;

ე) ითანამშრომლოს უცხოეთის ბიბლიოთეკებთან, გახდეს საერთაშორისო პროფესიულ გაერთიანებათა წევრი;

ვ) ეწეოდეს კანონით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას.

მუხრი 10. ბიბლიოთეკის მოვალეობანი

ბიბლიოთეკა ვალდებულია:

ა) თავისი საქმიანობა წარმართოს მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად;

ბ) დაიცვას სახელმწიფო სტანდარტები;

გ) სისტემატურად დააკომპლექტოს ფონდები პროფილის შესაბამისი საბიბლიოთეკო დოკუმენტებით და ოპერატიულად უზრუნველყოს მათი ასახვა ბიბლიოთეკის საცნობო-საძიებო საშუალებებში;

დ) გაუცვალოს სხვა ბიბლიოთეკებს ზედმეტი საბიბლიოთეკო დოკუმენტები;

ე) უზრუნველყოს მკითხველთა მომსახურების მაღალი დონე მათი ინტერესების შესწავლისა და საბიბლიოთეკო რესურსების კოოპერირების საფუძველზე;

ვ) შეადგინოს და გააცნოს მკითხველს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;

ზ) აწარმოოს კოორდინირებული მუშაობა რეგიონის ბიბლიოთეკებთან საბიბლიოთეკო რესურსების გეგმავითი გამოყენებისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებისათვის;

თ) აწარმოოს საბიბლიოთეკო სტატისტიკა საქართველოში დადგენილი წესით;

ი) საბიბლიოთეკო-სამეცნიერო გამოკვლევების ხელშეწყობის მიზნით ეწეოდეს დამატებითი საბიბლიოთეკო მონაცემების ობიექტურ აღრიცხვას;

კ) დანერგოს საბიბლიოთეკო ტექნიკური საშუალებები და უახლესი ტექნოლოგია;

ლ) გაითვალისწინოს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და შესაბამისი მეთოდცენტრების რეკომენდაციები.

მუხრი 11. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობანი

1. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობანი რეგულირდება შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ბიბლიოთეკის თანამშრომლები ექვემდებარებიან პერიოდულ ატესტაციას აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით.

თავი 3

საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა

მუხრი 12. საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა

1. საქართველოს ერთიანი საბიბლიოთეკო სისტემა მოიცავს სახელმწიფო და არასახელმწიფო, ადგილობრივი და საუწყებო ბიბლიოთეკების ქსელს. სისტემაში შედის: ეროვნული, სამეცნიერო (უნივერსალური და დარგობრივი), სამეცნიერო-ტექნიკური, სამეცნიერო-სასწავლო, მასობრივი, საბავშვო, სასკოლო და სპეციალიზირებული ბიბლიოთეკები.

2. საბიბლიოთეკო სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკებიდან, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთ ქსელში, დამფუძნებელმა ან მესაკუთრემ შეიძლება გამოყოფოს მთავარი ბიბლიოთეკა.

3. საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის მთავარ ბიბლიოთეკას წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, აფხაზეთისა და აჭარაში – რესპუბლიკური ბიბლიოთეკები.

მუხრი 13. სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელი

სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელი იქმნება ტერიტორიული და უწყებრივი პრინციპით.

მუხრი 14. არასახელმწიფო ბიბლიოთეკის უფლებების განხილვა

1. სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია არასახელმწიფო ბიბლიოთეკის საქმიანობის თავისუფლება, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.

2. არასახელმწიფო ბიბლიოთეკა ხელმძღვანელობს სახელმწიფო საბიბლიოთეკო სისტემაში მოქმედი კანონმდებლობით და სურვილისამებრ მონაწილეობს სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში.

3. სახელმწიფო და არასახელმწიფო ბიბლიოთეკების ერთობლივი საქმიანობის პრინციპები განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

პარაგრაფი 15. ბიბლიოთეკათა - ინფორმაციული საზოგადოების განვითარების

1. ქალაქის, რაიონის და სოფლის ბიბლიოთეკები თავიანთ სამომსახურეო ტერიტორიაზე წარმოადგენენ ინფორმაციის ცენტრებს, რომლებიც ახდენენ დოკუმენტების შერჩევით შეგროვებასა და ინფორმირებას.

2. საქართველოში გამოცემული ყველა ნორმატიული ხასიათისა და საბიბლიოთეკო დოკუმენტის თავმოყრის, სრულად ასახვისა და ინფორმირების ფუნქციები ეკისრება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, აგრეთვე სახელმწიფო საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ ცენტრებს, რომლებსაც კულტურის სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსი. სახელმწიფო ამ ცენტრებს უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო დოკუმენტების საკვლევებელი ეგზემპლარებით.

პარაგრაფი 16. ბიბლიოთეკა რაიონული საინფორმაციო ცენტრების

საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა წარმოადგენს ეროვნული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ძირითად რგოლს. იგი თანამშრომლობს არქივებთან და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სხვა ორგანოებთან, რომელთაც სხვადასხვა დონის ინფორმაციული მონაცემების ბანკი აქვთ. მათი ურთიერთობის წესი განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო პროგრამებით, აგრეთვე ამ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულებებით.

თავი 4

სამართლებლო პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პარაგრაფი 17. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის მთავარი ბიბლიოთეკა

1. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა - საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის მთავარი ბიბლიოთეკა - არის საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა და ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმის კოორდინატორი და მეთოდური ცენტრი, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების უნივერსალურ ინფორმაციულ მოთხოვნებს, ორგანიზაციას უწყევს საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიულ და სამეცნიერო-ინფორმაციულ საქმიანობას, ხელს უწყობს ეროვნული და მსოფლიო კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განვითარებას.

2. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა არის ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებული ფასეული ობიექტი და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. დაუშვებელია მისი საკუთრების ფორმის, პროფილის შეცვლა ან ლიკვიდაცია. გარანტირებულია მისი ფონდების მთლიანობა და გაუსხვისებლობა.

პარაგრაფი 18. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ.

თავი 5

საბიბლიოთეკო საქმის მართვა

პარაგრაფი 19. საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაცია

საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს კულტურის სამინისტრო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად. მისი ფუნქციებია:

- ა) ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარება;
- ბ) სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის დაფინანსების ნორმატივების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ქსელის ფუნქციონირებისათვის გამოყოფილი წილის განსაზღვრა;
- გ) საბიბლიოთეკო საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის კოორდინირება;
- დ) საერთაშორისო საბიბლიოთეკო ხელშეკრულებებისა და

კონვენციების შესრულების უზრუნველყოფა;

- ე) საბიბლიოთეკო კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკის განსაზღვრა;
- ვ) სახელმწიფო ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისადმი ზედამხედველობა;
- ზ) საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო სტანდარტების დაცვისადმი კონტროლი;
- თ) საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებული შეგროვება და ანალიზი.

პარაგრაფი 20. საბიბლიოთეკო საქმის მართვა აფხაზეთსა და აჭარაში ხორციელდება ამ კანონისა და მათი კანონმდებლობის შესაბამისად.

პარაგრაფი 21. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი საბიბლიოთეკო საქმიანობის მართვაში

1. საბიბლიოთეკო საქმიანობას ადგილებზე მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების, მოსახლეობის რაოდენობის, მისი განსახლებისა და საინფორმაციო მოთხოვნების შესაბამისად.

პარაგრაფი 22. ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული მართვა

1. ქალაქის, რაიონის მთავარი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს ნიშნავენ (ათავისუფლებენ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით. ადგილობრივი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს ნიშნავენ (ათავისუფლებს) რაიონის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი (გამგე), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

2. უწყებათა და არასახელმწიფო ბიბლიოთეკათა ხელმძღვანელებს ნიშნავენ მათი დამფუძნებლები.

პარაგრაფი 23. საზოგადოების მონაწილეობა ბიბლიოთეკის მართვაში

მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ბიბლიოთეკების მართვაში ბიბლიოთეკართა და მეთხველთა საზოგადოებრივ და პროფესიულ გაერთიანებებში მონაწილეობის გზით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი 6

ბიბლიოთეკის დაფინანსება

პარაგრაფი 24. სახელმწიფო ბიბლიოთეკის ფინანსური რესურსები და მათი გამოყენება

1. სახელმწიფო ბიბლიოთეკის დაფინანსების წყაროა საბიუჯეტო ასიგნება, სახელმწიფო და ადგილობრივი სუბსიდიები, ბიბლიოთეკის დამფუძნებელთა მიერ შეტანილი თანხები, საქველმოქმედო შემოწირულობანი, აგრეთვე კანონით ნებადართული სხვა შემოსავალი.

2. ბიბლიოთეკა დამოუკიდებლად ანაწილებს და იყენებს ფინანსურ რესურსებს. ფინანსური რესურსების განაწილება-გამოყენების წესი განისაზღვრება ბიბლიოთეკის დებულებით.

3. ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებენ ბიბლიოთეკის დამფუძნებლები და დამფინანსებლები.

პარაგრაფი 25. მონაწილეობა მონაწილეობის მისაღებად პროგრამების აფინანსებას სახელმწიფო, ლოკალური მნიშვნელობის პროგრამებს - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან უწყება.

თავი 7

ბიბლიოთეკის ორგანიზაცია

პარაგრაფი 26. ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია

1. ბიბლიოთეკის დაფუძნება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს დამოუკიდებლად დაწესებულების ან იურიდიული პირის ქვედანაყოფის სახით საბიბლიოთეკო ფონდის მინიმუმის,

შენობის, ინვენტარის არსებობის შემთხვევაში.

2. უცხო სახელმწიფოს ფინანსური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ბიბლიოთეკის დაფუძნების უფლებასა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

მუხრი 27. ბიბლიოთეკის რეგისტრაცია

ბიბლიოთეკის დამფუძნებელი აფინანსებს ბიბლიოთეკას, აკონტროლებს მის საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ნიშნავს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს. ბიბლიოთეკის დამფუძნებელს არა აქვს უფლება ჩაერიოს ბიბლიოთეკის შემოქმედებით საქმიანობაში, ბიბლიოთეკის წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

მუხრი 28. ბიბლიოთეკის რეგისტრაცია

1. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებას იწყებს მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ.

2. რეგისტრაციის ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ბიბლიოთეკა (განურჩევლად საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა), რომელსაც აქვს ათასზე (ერთი ათასი) მეტი საბიბლიოთეკო დოკუმენტი, შესაბამისი ფართი, საქართველოს კულტურის სამინისტროს შესაბამისი ლიცენზია და რომლის წესდება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

3. ბიბლიოთეკისათვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება ხდება რეგისტრაციის შემდეგ, კანონით დადგენილი წესით.

4. რეგისტრაციაზე უარს განიხილავს სასამართლო.

მუხრი 29. ბიბლიოთეკის რეგისტრაციის წესები

1. ბიბლიოთეკის რეგისტრაცია და ლიკვიდაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ლიკვიდირებული სახელმწიფო ბიბლიოთეკის ქონება სახელმწიფო საბიბლიოთეკო სისტემის საკუთრებაა.

2. ლიკვიდირებული ბიბლიოთეკის ქონების გადაცემის საკითხს, თუ ის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტია, გადაწყვეტს სახელმწიფო.

3. აკრძალულია სახელმწიფო ბიბლიოთეკის პრივატიზაცია.

თავი 8

საპარტეზლოს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი

მუხრი 30. საქართველოს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდის შექმნის წესები

საქართველოს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი შედგება სახელმწიფო და არასახელმწიფო საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდებისაგან.

მუხრი 31. საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი

საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი საქართველოს საკუთრებაა. ის წარმოადგენს სახელმწიფო საბიბლიოთეკო სისტემის ბიბლიოთეკებში დაცულ ყველა სახის საბიბლიოთეკო დოკუმენტთა ფონდების ერთობლიობას. საბიბლიოთეკო დოკუმენტებით სარგებლობა შეუზღუდავია. შეზღუდვა ხდება მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოებისა და მოქალაქეთა კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის მიზნით კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხრი 32. ავტომატური და ავტარის საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი

ავტომატური და ავტარის საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი წარმოადგენს მათი ბიბლიოთეკების ყველა სახის საბიბლიოთეკო დოკუმენტთა ფონდების ერთობლიობას და არის საქართველოს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდის შემადგენელი ნაწილი.

მუხრი 33. საბიბლიოთეკო დოკუმენტების დაცვის წესები

უფასო სავალდებულო ეგზემპლარების მიღების უფლების მოქმედებას უზღუდავად ნუსხაში შეტანილი ბიბლიოთეკა უფასოდ იღებს და იცავს საქართველოში გამოცემული ყველა დოკუმენტის ეგზე-

მპლარს.

მუხრი 34. საბიბლიოთეკო დოკუმენტების შენახვის წესები

სახელმწიფო ბიბლიოთეკები თანაბარი მატერიალური ანაზღაურების პირობებში სარგებლობენ საბიბლიოთეკო დოკუმენტების პირველ რიგში შექმნის უფლებით.

მუხრი 35. მრეწველობის განვითარების განხორციელების წესები

მეცნიერების გარეშე დარჩენილი საბიბლიოთეკო დოკუმენტები გადადის საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო სისტემის განკარგულებაში.

მუხრი 36. საბიბლიოთეკო დოკუმენტების გაცემა და გაცემა

ბიბლიოთეკებსა და სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს შორის საბიბლიოთეკო დოკუმენტების გადანიჭლება-გაყიდვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხრი 37. სახელმწიფო ბიბლიოთეკის მნიშვნელობის განსაზღვრის წესები

1. სახელმწიფო და არასახელმწიფო საბიბლიოთეკო ფონდების განსაკუთრებული მნიშვნელობის ფასეულობანი შეტანილია საქართველოს კულტურულ ფასეულობათა ნუსხაში და განსაკუთრებული დაცვის ობიექტს წარმოადგენს.

2. სავალდებულო ეგზემპლარებით და განსაკუთრებით ფასეული, იშვიათი დოკუმენტებით შედგენილი საბიბლიოთეკო ფონდი ქვეყნის კულტურული საკუთრებაა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გამოცხადდეს ისტორიისა და კულტურის ძეგლად. ამგვარი ფონდის გამოყენების, შენახვისა და დაცვისათვის წესდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული რეჟიმი.

3. თუ ბიბლიოთეკა ვერ უზრუნველყოფს ისტორიისა და კულტურის ძეგლად გამოცხადებული ფონდის დაცვისა და სარგებლობის საჭირო პირობებს, ასეთი ფონდი შეიძლება გადაეცეს სხვა ბიბლიოთეკას ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოს წარდგენით.

4. იმ ბიბლიოთეკის ლიკვიდაცია, რომელიც ისტორიისა და კულტურის ძეგლებად რეგისტრირებულ ფონდებს ფლობს, დასაშვებია მხოლოდ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოს ნებართვით ამ ფონდების შემდგომი დაცვისა და სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

5. მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების მნიშვნელობის ტოლფასოვანი გამოცემები და კოლექციები, მათი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, უფლება აქვთ ისარგებლონ სახელმწიფოს მხარდაჭერით.

მუხრი 38. საბიბლიოთეკო ფონდების დაცვის წესები

საბიბლიოთეკო ფონდებში დაცულ ფასეულობათა გადაადგილება ან საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

თავი 9

ბიბლიოთეკების საპარტეზლოს თანამშრომლობა

მუხრი 39. ბიბლიოთეკების ურთიერთშეხვედრის წესები

1. საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში შემაჯავლი ბიბლიოთეკები უფლებამოსილი არიან გაწვერიანდნენ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებში, ითანამშრომლონ საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებთან და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკების საერთაშორისო წარმომადგენლობას.

საქართველოს პარლამენტი

იყოფაშვილი შერვაშიძე

თბილისი, 1996 წლის 11 თებერვალი.

წესდება

კავშირი – “საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია”

1999 წლის სექტემბერში ქ. თბილისის მთავრინდ-პრეზიდენტის რაიონულმა სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა კავშირი “საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია”. ასოციაცია დაფუძნდა ირანული ღარიბაშვილმა, ალექსანდრე ლორია, გურამ თაყნიაშვილმა, გულნარა სტურუა, მონა რაყაძემ.

ჩვენი უზრუნველყოფის მიზანშეწონილი ვითარებაში ასოციაციის წესდებას.



ფოტო 1 - სოციალური ცენტრები

- 1.1 ორგანიზაციის სახელწოდება - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია (ინგლისურად Georgian Library Association), შემდგომში - ასოციაცია.
- 1.2 ასოციაცია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კავშირის ტიპის საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც დაფუძნდა და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების შესაბამისად. იგი წარმოადგენს არასამთავრობო და არაკომერციულ (არასამეწარმე) იურიდიულ პირს. მას აქვს საკუთარი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და შესაბამისი ატრიბუტია (ბეჭედი, ლოგო, ბლანკი და სხვა).
- 1.3 ასოციაცია ნებაყოფლობით საფუძველზე აერთიანებს საქართველოს ბიბლიოთეკებს, არქივებს, მუზეუმებს, საინფორმაციო, საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიულ ცენტრებს, ამ სფეროში მომუშავე სხვა ორგანიზაციებს ან კერძო პირებს;
- 1.4 ასოციაციის შტაბ-ბინა მდებარეობს მისამართზე: თბილისი, 380007, გულაშვილის ქ. 7;
- 1.5 ასოციაციის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მოქმედების ვადა განუსაზღვრელია.

მუხლი 2 - მიზნები და მუშაობის მეთოდები

- 2.1 ასოციაციის მიზნებია:
 - v საქართველოს მოქალაქეთათვის თანაბარი და მოსახერხებელი პირობების შექმნა ინფორმაციისა და ცოდნის მიღებისათვის, საყოველთაო ხელმისაწვდომობის დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება;
 - v საქართველოში ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის და საბიბლიოთეკო სისტემის ჩამოყალიბების, მისი ეფექტური მუშაობის და ანალოგიურ საერთაშორისო სისტემებში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
 - v ასოციაციის წევრთა საშუალო გეგმების კოორდინაცია და ერთობლივი პროექტების შემუშავება;
 - v ერთიანი სტანდარტების, ნორმატიული საფუძვლების დადგენა და დაცვა;
 - v აღნიშნულ სფეროში საქონიმდებლო სამუშაოს ხელშეწყობა;
 - v ასოციაციის წევრთა ინტელექტუალური, საავტორო, ქონებრივი და სხვა უფლებების დაცვა.

2.2 ზემოთ დასახელებული მიზნების მისაღწევად ასოციაცია შემდეგი სახის საქმიანობას ეწევა:

- v აწვდის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო საქმის აქტუალურ პრობლემათა ფართო განხილვას და ანალიზს, ხელს უწყობს ამ პრობლემათა ირგვლივ საზოგადოებრივი პირის ჩამოყალიბებასა და შედეგების საჯაროებას; თანამშრომლობს აღნიშნულ სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ორგანიზაციასა თუ კერძო პირთან;
- v ხელს უწყობს აღნიშნულ სფეროში თანამედროვე მიდგომების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების დამკვიდრებას და განვითარებას;
- v აარსებს და დახმარებას უწევს სასწავლო და კვალიფიკაციის ასპარეზობებს, პროფესიული დახელოვნების კურსებს, თანამშრომლობს არსებულ სასწავლო ცენტრებთან;
- v გამოცემს და აერთიანებს სასწავლო, მეთოდურ, ნორმატიულ და სხვა სახის მასალებს, ქმნის საკუთარ საგამომცემლო ბაზას;
- v აწვდის რეგულარულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, სემინარებს, სიმპოზიუმებს და სხვა ღონისძიებებს აქტუალურ პრობლემათა ირგვლივ;
- v მოთხოვნილების შესაბამისად ქმნის ასოციაციის რეგიონალურ ან დარგობრივ ქვეანაწყოებს, რომლებიც შესაბამის რეგიონში ან სფეროში ეწევიან საქმიანობას ასოციაციის საერთო მიზნების მისაღწევად;
- v ეწევა კანონით ნებადართული ნებისმიერი სახის საქმიანობას თავისი მიზნების მისაღწევად, საჭიროების შემთხვევაში ქმნის დაქვემდებარებულ კომერციულ საწარმოებს, რომელთა შემოსავალი ასოციაციის საქმიანობას და განვითარებას ხმარდება;
- v ზრუნავს ასოციაციის წევრთათვის მოსახერხებელი სამუშაო პირობების შექმნასა და გაუმჯობესებაზე.

მუხლი 3 - ასოციაციის წევრები, მათი უფლებები და მოვალეობები

- 3.1 ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბიბლიოთეკა, არქივი, მუზეუმი, საინფორმაციო ცენტრი, აღნიშნულ სფეროში მომუშავე ნებისმიერი ორგანიზაცია და კერძო პირი ეროვნული, რელიგიური ან რასობრივი ნიშნების განურჩევლად, რომელიც აიარებს ასოციაციის მიზნებს, ეთანხმება წესდების დებულებებს.
- 3.2 წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის ნებისმიერ საქმიანობაში, მიიღოს ინფორმაცია პროექტების მიმდინარეობის შესახებ (მათ შორის ფინანსურ საკითხებზე), აირჩიოს ან არჩეულ იქნეს ასოციაციის მმართველ ორგანოებში.
- 3.3 ასოციაციის წევრად მიღების ან წევრობის შეწყვეტის წესები განსაზღვრულია წინამდებარე წესდებში.
- 3.4 ასოციაციის შეიძლება ჰყავდეს შემდეგი კატეგორიის წევრები:
 - 3.4.1 კოლექტიური წევრი - იურიდიული პირი, ორგანიზაცია, რომელიც მოღვაწეობს ასოციაციის საქმიანობის სფეროში. კოლექტიური

წერი იხდის წლიურ საწევრო გადასახადს. კოლექტიურ წევრს ერთი გადაწვევები ხმის უფლება აქვს.

3.4.2 ასოციაციული წევრი - იურიდიული პირი, ორგანიზაცია, რომელიც მოღვაწეობს ასოციაციის საქმიანობის სფეროში. ასოციაციული წევრი არ იხდის წლიურ საწევრო გადასახადს. ასოციირებულ წევრს ერთი სათათბირო ხმის უფლება აქვს.

3.4.3 ინდივიდუალური წევრი - პიროვნება რომელიც თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ასოციაციის ზემოთ მოყვანილი მიზნების მიღწევას. ინდივიდუალური წევრი იხდის წლიურ საწევრო გადასახადს. ინდივიდუალურ წევრს ერთი გადაწვევები ხმის უფლება აქვს.

3.4.4 საპატიო წევრი - პიროვნება რომელსაც თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ასოციაციის ზემოთ მოყვანილი მიზნების მიღწევისათვის.

3.5 საწევრო გადასახის ოდენობას განსაზღვრავს ასოციაციის მმართველი ორგანოები.

3.6 ასოციაციის წევრობის მსურველმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ასოციაციის გამგეობას. წევრად მიღებას და რეგისტრაციას აწარმოებს გამგეობა. ასოციაციის წევრი ჩაითვლება წევრად მანამ, სანამ იგი ასრულებს ასოციაციის წინაშე ხაიხარ ვალდებულებებს, იცავს ასოციაციის წესდებას და სორმებს.

3.7 ასოციაციის წევრი არ არის ინდივიდუალურად პასუხისმგებელი ასოციაციის ვალდებულებებსა და ვარიეტებზე (გარდა 4.3.4-ში განსაზღვრული შემთხვევებისა), ისევე, როგორც ასოციაცია არ აგებს პასუხს თავის წევრთა ინდივიდუალურ საქმიანობაზე.

3.8 ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ხდება:

- ა) თუ წევრი მიმართავს წერილობითი თხოვნით გამგეობას წევრობაზე უარის თაობაზე;
- ბ) თუ იგი არ გადაიხდის საწევრო გადასახადს გადახდის ვადის დადგომიდან 6 თვის განმავლობაში;
- გ) თუ წევრი ჩაიდებს ასოციაციის წესდების შეუსაბამო მძიმე დანაშაულებს;
- დ) სხვა მიზეზით, ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, ხმის უფლების მქონე წევრების საერთო რაოდენობის 2/3-ის უმრავლესობით.

მუხლი 4 - ასოციაციის მმართველი ორგანოები

4.1 ასოციაციის მმართველი ორგანოებია:

- ა) ასოციაციის საერთო კრება
- ბ) გამგეობა
- გ) მუდმივმოქმედი კომიტეტები
- დ) მზრუნველთა საბჭო

4.2 საერთო კრება

4.2.1 ასოციაციის უმაღლესი მმართველი ორგანოა ასოციაციის საერთო კრება. საერთო კრება მოწვეული უნდა იქნეს განახლებული წელიწადში ერთხელ. საერთო კრების თარიღი, ადგილი და განსახილველ საკითხთა ნუსხა წინასწარ უნდა დადგინდეს და დაეზღვეოს ასოციაციის ყველა წევრს კრებამდე არაუგვიანეს 1 თვისა, ნაბეჭდი, ფაქსიმილური თუ ელექტრონული სახით.

4.2.2 საერთო კრება უფლებამოსილია ჩაითვალოს, თუ მას ესწრება ხმის უფლებიან წევრთა 50%-ზე მეტი. დასაშვებია ხმის უფლების დროებითი გადაცემა სხვა წევრებსაც, რომლებიც განცხადების საფუძველზე.

4.2.3 შესაძლებელია რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა, ასოციაციის პრეზიდენტის, გამგეობის, ან წევრთა 1/3-ის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

4.2.4 საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ასოციაციის საქმიანობის ნებისმიერ საკითხზე. მის განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება:

1. ასოციაციის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
2. ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და სტრატეგიული გეგმების და პროექტების დამტკიცება;
3. ასოციაციის პრეზიდენტის, გამგეობის არჩევა და მათგან წლიური ანგარიშის მოსმენა;
4. წლიური გეგმისა და ბიუჯეტის დამტკიცება;
5. მუდმივმოქმედი კომიტეტების შექმნა ან გაუქმება;
6. გადაწყვეტილების მიღება ასოციაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ.

4.2.5 გადაწყვეტილებების მიღება საერთო კრებაზე ხდება უბრალო უმრავლესობით, ხოლო 4.2.4-ში მოყვანილ 1, 2, 6 საკითხებზე - ხმების 2/3-ით.

4.3 გამგეობა

4.3.1 ასოციაციის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს ასოციაციის გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შედის პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი, ხაზინადარი, მდივანი, და სხვა წევრები.

4.3.2 გამგეობის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15-ისა.

4.3.3 გამგეობის კრებები ტარდება თვეში ერთხელ მაინც. კრების თარიღი, ადგილი და განსახილველ საკითხთა ნუსხა წინასწარ უნდა იქნეს დადგინებული და დაეზღვეოს გამგეობის ყველა წევრს კრებამდე არა უგვიანეს 1 კვირისა, ნაბეჭდი, ფაქსიმილური თუ ელექტრონული სახით.

4.3.4 გამგეობის წევრები ვალდებული არიან ასოციაციის საქმიანი წარმართის კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად და მათზე დაყრდნობით მოვალეობის შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი ზარალისათვის აგებენ

პასუხს.

4.3.5 გამგეობის კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა არანაკლებ 2/3-ისა. გადაწყვეტილებების მიღება ხდება და-მსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით.

4.3.6 გამგეობა

- v უზრუნველყოფს საერთო კრების მიერ დამტკიცებული წლიური გეგმების შესრულებას;
- v ღებულობს გადაწყვეტილებას წევრად მიღების ან წევრობის შეწყვეტის შესახებ;
- v განსაზღვრავს საწევრო გადასახადების ოდენობას და გადახდის წესს;
- v ღებულობს გადაწყვეტილებას დროებითი სამუშაო კომიტეტების, ჯგუფების შექმნის შესახებ, განსაზღვრავს მათ შემადგენლობას, მოვალეობებს და მოქმედების პერიოდს;
- v ღებულობს გადაწყვეტილებებს ყველა იმ მიმდინარე საკითხზე, რომელიც საერთო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას არ განეკუთვნება.

4.4 ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე - პრეზიდენტი

4.4.1 ასოციაციის პრეზიდენტი ირჩევს საერთო კრება 5 წლის ვადით.

4.4.2 ასოციაციის პრეზიდენტი უზრუნველყოფს გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას. იგი უფლებამოსილია წარმოადგინდეს ასოციაციას სხვა იურიდიულ და ფინანსურ პირებთან ურთიერთობისას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისევე საზღვარგარეთ. იგი ასოციაციის სახელით აწარმოებს მოლაპარაკებებს, დებს ხელშეკრულებებს, აწარმოებს ვარიეტებს, გასცემს მიზნობრივ ბონუსებს და სხვას საბაზო ანგარიშებს, წარმოადგენს ასოციაციას სასამართლოში.

4.4.3 ასოციაციის პრეზიდენტი წარმართავს ასოციაციის საერთო კრებას და გამგეობის კრებებს;

4.4.4 ასოციაციის პრეზიდენტი წარუდგენს ასოციაციის საერთო კრებას წლიური საქმიანობის ანგარიშს.

4.5 აღმასრულებელი დირექტორი, კორდინირებას უწევს ასოციაციის მიმდინარე საქმიანობას, რეგისტრის მართვას ან შეუძლოდ ყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობებს.

4.6 პასუხისმგებელი მდივანი აწარმოებს გამგეობის და საერთო კრების ოქმებს, ამზადებს საერთო ანგარიშს საერთო კრებაზე წარსაღებნად, ატვიზინებს გამგეობის წევრებს კრების თარიღსა და დღის წესრიგს.

4.7 ხაზინადარი აღრიცხავს საწევრო გადასახადების მიღებას, აწარმოებს ასოციაციის ფინანსურ ანგარიშებს, ამზადებს წლიურ ფინანსურ ანგარიშს საერთო კრებისათვის წარსაღებნად.

4.8 დასაშვებია ხაზინადარისა და პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობების შეთავსება.

4.9 კომიტეტები

4.9.1 ასოციაციასთან შესაძლებელია შეიქმნას მუდმივმოქმედი ან დროებითი კომიტეტები, ან ჯგუფები, რომელთა დანიშნულებაა:

- v კორდინაცია გაუწიოს ასოციაციის საქმიანობის გარკვეულ მიმართულებებს;
- v გამგეობასთან თანამშრომლობით დააზუსტოს ან შეამოწმოს სამუშაო გეგმების შესრულება, საფინანსო აღრიცხვა;
- v უზრუნველყოს ასოციაციის სამეურნეო-მარკეტინგული საქმიანობის მართვა;
- v აწარმოოს წევრთა რეგისტრაცია; და სხვ.

4.10 ასოციაციის მზრუნველთა საბჭო:

4.10.1 ასოციაციის მზრუნველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს ასოციაციის საერთო კრება, ასოციაციის პრეზიდენტის წარდგინებით.

4.10.2 მზრუნველთა საბჭოს წევრებად აირჩევა საზოგადოების წევრები, რომლებიც იწონებენ ასოციაციის მიზნებს და მზად არიან ზღო შეუწყონ მის საქმიანობას, საქართველოში კულტურის, განათლების, საინფორმაციო საქმის და დემოკრატიის განვითარების მიზნით.

4.10.3 მზრუნველთა საბჭოს წევრთა რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 5-ისა და არაუმეტეს 15-ისა.

4.10.4 მზრუნველთა საბჭოს ფუნქციებია:

- v დაეხმაროს ასოციაციას მისი ამოცანებისა და მიზნების შეთანხმებასა და დაწესებულებაში. შესაბამისი რეკომენდაციები გადასცეს ასოციაციის გამგეობას;
- v წელიწადში ერთხელ მაინც მოისმინოს ასოციაციის გამგეობის წლიური ანგარიში შესრულებული საქმიანობის შესახებ და მოძავალი გეგმები, გააკონტროლოს პროექტებისა და გეგმების შესაბამისობა ასოციაციის წესდებისა და მიზნებისადმი. საბჭოს თუქლია შეაწიროს ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებები, თუ იხიონ არ შეესაბამება წესდებს;
- v ხელი შეუწყოს ასოციაციის საქმიანი კავშირების გაფართოებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ;
- v ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებას საბიბლიოთეკო და საინფორმაციო დარგში, მსარი დაუჭიროს ასოციაციის საქმიანობას მისი მიზნების და ქმედების შედეგების ფართოდ გაავრცელების საშუალებით;
- v დაეხმაროს ასოციაციას კონსულტაციებისა და პრობლემ-

საზოგადოებრივი მისია

ბის განხილვის გზით;

v რეგულარულად გამოაქვინოს და სათანადოდ აღნიშნოს (ჯილდოების, პრემიების, და სხვა სახით) ასოციაციისა და მისი წევრების მიღწევები და წვლილი.

4.10.5 მზრუნველთა საბჭოს კრებას იწვევს ასოციაციის გამგეობა, არანაკლებ წელიწადში ერთხელ, კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია წერილობით სახით წინასწარ უნდა მიეწოდოს საბჭოს ყოველ წევრს.

4.10.5 საბჭოს კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის არანაკლებ 1/3-ისა (მაკრამ არანაკლებ 3 წევრისა). გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით.

მუხლი 5 - ასოციაციის ქონება

5.1 ასოციაცია განკარგავს ქონებას (ფულად სახსრებს, ფასიან ქაღალდებს, შენობა-ნაგებობებს, სატრანსპორტო საშუალებებს და სხვა), რომელიც მას ესაჭიროება საქონელზე ამოცანების განსახორციელებლად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2 ასოციაციის ქონება იქნება:

- v საწევრო გადასახადებით,
- v ფისიკურ თუ კერძო პირთა საქველმოქმედო შემოწირულობებით,
- v სხვადასხვა ღონისძიებებისგან მიღებული შემოსავლებით,
- v გრანტებით,
- v საპროცენტო ან წესდებით გათვალისწინებული სხვა სახის სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავლებით.

5.3 ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საერთო კრების გადაწყვეტილებით, მისი ქონება გადაეცემა საქართველოში მოქმედი ერთ ან რამდენიმე ორგანიზაციას, რომელიც იმავე ან მსგავს მიზნებს ემსახურებიან. თუ ასეთი ორგანიზაცია არ არსებობს, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფო სათვის გადაცემის შესახებ.

მუხლი 6 - ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტა

6.1 ასოციაციის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს მისი რეორგანიზაციის (შერთობის, გაყოფის, გარდაქმნის და სხვა) ან ლიკვიდაციის გზით.

6.2 ასოციაციის ლიკვიდაცია ხდება: საერთო კრების გადაწყვეტილებით, რეგისტრაციის გაუქმებისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებით თუ ასოციაციის საქმიანობა არ შეესაბამება წესდებით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს, გაუტრებისას, მიზნების მიღწევის შეუძლებლობაში.

6.3 ლიკვიდაციას ხელმძღვანელობს საერთო კრების მიერ არჩეული ან სასამართლოს აღიარებული ადვოკატის დაფუძველზე შექმნილი სალიკვიდაციო კომიტეტი.

6.4 ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დაითავსდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოისატოს ფულად ერთეულში, დამატებითი დანერგვის სახით. დარჩენილი ქონების გადაცემის საკითხს წვეტს სალიკვიდაციო კომიტეტი.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია წარმოადგენს ნებაყოფლობით საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომლის ძირითადი სამოქმედო პრინციპები შემდეგში მდგომარეობს:

საქართველოს ბიბლიოთეკები ფლობენ კულტურის, განათლების, ინფორმაციის და ცოდნის უდიდეს საგანძურს, რომელიც ესაჭიროება ყოველ ჩვენგანს, ჩვენს ქვეყანას და მის ყოველ მოქალაქეს. მისი აღზრდა და დაცვა ხელს შეუწყობს ამ საგანძურის გამოყენებას ყოველი ჩვენთაგანის საკეთილდღეოდ. ეს ცოდნა, ინფორმაცია განსაკუთრებით გვესაჭიროება პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოკრატიული გარდაქმნების პერიოდში.

ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს მსოფლიოს კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევები და აგრეთვე გაავრცოთ მსოფლიო საზოგადოებას ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური და მატერიალური შემოქმედების მიღწევები.

ამ ამოცანების გადაჭრა შეუძლია მხოლოდ კარგად ორგანიზებულ და საყოველთაოდ მიღებულ თანამედროვე პრინციპებზე მომუშავე საბიბლიოთეკო-საინფორმაციო ქსელს, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოების მოთხოვნებს, ითვალისწინებდეს და ახასიაღებს მათ ცვლილებებს, ინარჩუნებდეს მაღალი იდეალებისადმი ორიენტირებულ ტრადიციას, და ამავე დროს თვითონ სთავაზობდეს და აცხადებდეს საზოგადოებას საინფორმაციო მომსახურების თანამედროვე ორბიტას.

ნებისმიერი ხისტიკების მუშაობა წარმოადგენს მისი შემადგენელი პიროვნების შრომისა და შემოქმედებით გარემო-ბიბლიოთეკარები, რომლებიც ყოველთვის დიდი მნიშვნელობა და მოთმინებით ემსახურებოდნენ და ემსახურებიან როგორც მთელ ერს, თითოეულ მათგანს, ნამდვილად ამასობაზე მათს, რომ მათ შრომის და გახათლების საუკეთესო მიზანს ეძღვნებიან, დაცული იყვნენ სოციალური და სამართლებრივი უზრუნველყოფით.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიზნები და ამოცანებია ჩვენს წინ წინაშე მართლებების გადალახვა:

- ერთობლივ საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციის გზით; საზოგადოებისა და ბიბლიოთეკების შირის დიალოგის, აზრობის გასაღების, განხილვის საშუალებით;
- ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და მათი პოტენციალის ერთობლივი და მიზანდასახული განვითარებისა და გამოყენების, ინოვაციების დანერგვის გზით;
- საერთო მიზნების უზუსტო განსაზღვრით, ხალი განსჯით და მათი განხორციელების რეალური, პრაქტიკული გზების დასახვით; ახალგაზრდობის ნიჭისა და ენერჯის გამოყენებით.

საკონტაქტო ინფორმაცია

ირაკლი ღარიბაშვილი -
ასოციაციის პრეზიდენტი.
ტელ: 385641
ელ. ფოსტა: Ge_LA@posta.ge

მისამართი: თბილისი, საბურთალოს ქუჩა 47,
სახელმწიფო წიგნის პალატა
მშრამ თაყნისაშვილი
ადმინისტრაციული დირექტორი.
ტელ: 932682
მისამართი: თბილისი, 380007, ვუდაშვილის ქ. 7,
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსაღი ზოგადი შიკოვნა

ასოციაციის გამგეობას ხშირად უსვამენ შეკითხვებს ასოციაციის არსის, მიზნების და მუშაობის პრინციპების შესახებ. ამიტომ გადაწყვეტილი ზოგიერთი შეკითხვა და პასუხი გამოაქვეყნებინა.

შეკითხვა: რას ნიშნავს ხიტყვა ასოციაცია?
პასუხი: ასოციაცია არის კანონმდებლობით განსაზღვრული "კავშირის" ტიპის არასამთავრობო ორგანიზაცია. ასეთი კავშირი იქმნება საზოგადოების გარკვეული ჯგუფების (პიროვნების, ორგანიზაციების) მიერ და მისი მართვა თვით ამ ჯგუფების მიერ ხორციელდება. ასოციაციები არ წარმოადგენენ სამთავრობო სტრუქტურას, ამიტომ მისი საქმიანობის დაფინანსება ხდება არა ქვეყნის ბიუჯეტიდან, არამედ იმ წარაგობიდან, რომელიც წესდება მათი მიზნებისთვის. ამავე დროს მას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ორგანიზაციას, აქვს ის ვალდებულებები (მაგ. საგადასახადო და სხვა), რომლებიც კანონმდებლობაშია გათვალისწინებული.

შეკითხვა: ვინ შეიძლება გახდეს ასოციაციის წევრი?
პასუხი: ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი პიროვნება ან ორგანიზაცია, რომელიც ცნობს ასოციაციის წესდებას და მიზნებს. წევრად მიღების წესები, მათი უფლებამოსილებები და წევრობის კატეგორიები (ინდივიდუალური, კოლექტიური და სხვა) განსაზღვრულია წესდებაში.

შეკითხვა: რას ნიშნავს "მისია"?
პასუხი: მისია გამოხატავს იმ მსოფლმხედველობას და ძირითად სამოქმედო პრინციპებს,

რომლებსაც დაფუძნდა ასოციაცია მისი წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

შეკითხვა: რა უპირატესობას მანიჭებს მე (ან ჩემს ორგანიზაციას) ასოციაციის წევრობა?

პასუხი: ასოციაციის წევრობა ნებაყოფლობითია. ასოციაციის წევრს აქვს შემდეგი ორი ძირითადი უპირატესობა:

1. "ეკონომიკური" მხარე - ასოციაციის საქმიანობის შედეგად შექმნილ პროდუქციას ან მომსახურებას წევრი მიიღებს შეღავათიან ფასებში. მაგალითად, ასოციაციის მიერ გამოცემულ წიგნებს, პროგრამებს, ჟურნალებს და სხვა მისი წევრი ან ნაყიბ ფასად შეიძლება, ან, საერთოდ, უფასოდ მიიღებს, ასევე ასოციაციის მიერ დაგეგმილ სასწავლო კურსების დასასრულებლ მის წევრს ნაყიბი გადასახდის გადასადა მოუწევს.
2. "საორგანიზაციო" მხარე - ასოციაციის საქმიანობის შედეგად შექმნილ ნორმატიული დოკუმენტები, სტრუქტურები, შესრულებული პროექტები და პროგრამები, ჩატარდება ღონისძიებები, რომლებიც შემდგომ, მეტად თუ ნაკლებად, შეეხება საბიბლიოთეკო-საინფორმაციო დარგში მომუშავე ყველა ორგანიზაციას და პიროვნებას. ამიტომ, თუ ისინი დაინტერესებული არიან ამ საქმიანობაში ახასიოს და გადაწყვიტოს მათი პრობლემები (და ამასთან უნდა იხე. როგორც ეს მათთვის იქნება უკეთესი), ისინი ამ საქმიანობაში შეიძლება ჩაეხივნ და გაუძღვნენ (სხვა წევრებთან ერთად) მათიანად მიმართულებით. ამის საშუალებას იძლევა ის დემოკრატიული პრინციპები, რომლებიც ასოციაციის წესდებაში და სხვა დოკუმენტებში არის და იქნება ჩადებული.

რვაენი ბიბლიოთეკა: მათი მდგომარეობა საუკუნის დასაწყისში

რვაენი ბიბლიოთეკის გადარჩევითი აქტს, საზოგადოებას თანდათან გააცნოს საქართველოს მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკები. ამ მიზნით შემოქმედდა რუბრიკა "ჩვენი ბიბლიოთეკები". ამჟამად მკითხველებს ვთავაზობთ სტატიებს რამდენიმე ბიბლიოთეკის შესახებ. მომავალ ნომრებში განვაგრძობთ სტატიების ბეჭდვას სხვა ბიბლიოთეკების შესახებაც

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ არსებული და განვითარების ხანგრძლივი და საინტერესო გზა განვლო. ამ ბიბლიოთეკის პირველი წიგნი თბილისში 1846 წელს დაარსებული საჯარო ბიბლიოთეკაში დაიდო. მას შემდეგ ბიბლიოთეკა იზრდებოდა, ფართოვდებოდა; იზრდებოდა მისი ფუნქცია და საზოგადოებრივი დანიშნულება. ბიბლიოთეკაში ორგანიზებული მდიონობით საბიბლიოთეკო დოკუმენტის ფონდი თავისი შინაარსითა და მრავალმხრივობით ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების ინფორმაციული უზრუნველყოფის საქმეში. ბიბლიოთეკა წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი, აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციის მეცნიერულ საფუძვლს, საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელის მთავარ ცენტრს.



ბიბლიოთეკის შესახებ დაბეჭდილია წერილები, სტატიები, გამოკვლევები; ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ ამ ბიბლიოთეკის შესახებ მოკლე ისტორიული ხასიათის ინფორმაციას, წერილის დანარჩენი ნაწილი კი ეძღვნება ბიბლიოთეკის ღვაწლისა და ამავდროულად მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის მანძილზე, იმის შესახებ საუბარს, თუ როგორ დაამთავრა ბიბლიოთეკამ ვასული, მე-20 საუკუნე, და როგორი მონაცემებით შევიდა ახალ, 21-ე საუკუნეში.

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის წინამორბედად ითვლება თბილისში 1846 წელს დაარსებული საჯარო ბიბლიოთეკა; მას საფუძვლად დაედო მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული 6 200 ტომისაგან შემდგარი ბიბლიოთეკა. მომდევნო წლებში ბიბლიოთეკას გადაეცა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი საზოგადო მოღვაწეების: დიმიტრი ფიფიალის, ზაქარია ერისთავის, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანების, ნიკოლოზ ბარათაშვილის, მიხეილ თუმანიშვილის და სხვ. თაოსნობით 1842 წელს თბილისში დაარსებული პირველი კერძო ბიბლიოთეკის 510 ტომისაგან შემდგარი ფონდი.

ბიბლიოთეკა თავდაპირველად იძენდა მხოლოდ კავკასიოლოგიური შინაარსის ლიტერატურას; მალე ბიბლიოთეკამ დაიწყო წიგნების მიღება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებიდან, რამაც დააჩქარა ბიბლიოთეკის ფონდების ზრდა. 1852 წელს ბიბლიოთეკა გადავიდა პოეტ ვახტანგ ორბელიანის დაკვეთით აგებულ შენობაში. ამ დროისათვის მისი ფონდი 13 000 ერთეულს აღემატებოდა. იმავე წლიდან ბიბლიოთეკა იღებდა 2-2 ცალ სავალდებულო ეგზემპლარს

კავკასიის საცენზურო კომიტეტისაგან. 1868 წელს ბიბლიოთეკა შეუერთდა კავკასიის მუზეუმს და ეწოდა „კავკასიის მუზეუმი და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა“. ბიბლიოთეკის ფონდი ივსებოდა წიგნგაცვლის წესით მიღებული გამოცემებით. 1861-1895 წწ. ოთხჯერ გამოიცა საჯარო ბიბლიოთეკის ნაბეჭდი კატალოგები, რომელთა შემდგენლები იყვნენ: ა.ბ. ბერეჟი, მ.ი.სივერსი, პ.ე.მელერი.

1911 წელს მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ახალი შენობის აგებასთან დაკავშირებით საჯარო ბიბლიოთეკა დროებით დაიხურა მკითხველისათვის. ბიბლიოთეკის ფონდის დიდი ნაწილი ყუთებში ჩაალაგეს. 1920-იანი წლებისათვის ბიბლიოთეკის ფონდი აჭარბებდა 52000 ტომს.

1923 წელს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება თბილისში საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ. მას საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან არსებული საჯარო ბიბლიოთეკა და ცენტრალური აკადემიური ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი.

1931 წლიდან საჯარო ბიბლიოთეკამ ბინა დაიღო ყოფილი ქართული სათავადაზნაურო ბანკისათვის განკუთვნილ შენობაში, რომლის ნაწილი მას ადრევე ჰქონდა დაკავებული. იმავე წელს იგი გაიხსნა მკითხველისათვის. მისი ფონდი ამ დროისათვის შედგებოდა 91 000 წიგნისა და 63 000 პერიოდული გამოცემისაგან. შენობა, რომელშიც განთავსდა ბიბლიოთეკა, წარმოადგენს ქართული არქიტექტურის შესანიშნავ ნიმუშს. იგი აიგო ილია ჭავჭავაძის თაოსნობითა და ა.ნ.კალმინის არქიტექტურული შესრულებით. 1955 წლიდან ბიბლიოთეკას ეწოდა „საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა“, 1991 წლიდან საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, 1996 წლიდან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2000 წელს ბიბლიოთეკას მიენიჭა ილია ჭავჭავაძის სახელი

ბიბლიოთეკაში დაცულია უნიკალური გამოცემები და კოლექციები ქართულ და უცხოურ ენებზე. უნიკალური სამხარეთმცოდნეო კოლექციებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია კავკასიოლოგის ე.ვე. იფენბაუის წიგნების კოლექცია 3000 საბიბლიოთეკო დოკუმენტით. 1920-იან წლებში ბიბლიოთეკამ შეიძინა ნ.ნიკოლაძის უნიკალური ფონდი; მეცნიერულად დაამუშავა იგი და გამოსცა კატალოგი 2 ნაწილად. ბიბლიოთეკისათვის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო ლ. და მ. თამაშაშვილების, აგრეთვე მარკოზოვის კოლექცია, რომლებიც ძირითადად ხელოვნების ისტორიის შინაარსის გამოცემებისაგან შედგება. ბიბლიოთეკაში დაცულია ფონდებიდან ყურადღებას იპყრობს პროფესორების გ.ნ.გუგუშვილის, მ.ნ. სიმონოვის კოლექციები, აგრეთვე ბიბლიოფილ რუსლოვის, მწერალ გ.ქეიქოძის, მ.პ.კოლუბაიანის, პროფესორ ვილარის და სხვათა პირადი კოლექციები.

1920-იანი წლებიდან ბიბლიოთეკამ მიიღო ს.კ.ზუბალაშვილის წიგნების კოლექცია; საჩუქრად გადმოცემული გამოცემებიდან აღსანიშნავია დიდროსა და დაღამბერის მიერ 1778-1779 წწ. შედგენილი დიდი ფრანგული ენციკლოპედიის 36 ტომი.

ბიბლიოთეკაში დაცულია სახელმწიფო კოლექციებიდან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნსაცავის 13 000 ტომისაგან შედგენილი კოლექცია, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთე-

ჩვენი ბიბლიოთეკები: მათი მდგომარეობა ახალი საუკუნის დასაწყისში



კას 1937 წელს გადაეცა. ამ ფონდში შედის სამეგრელოს თავად დავით დადიანის წიგნსაცავის ნაწილი, დიმიტრი ბაქრაძის, პლატონ იოსელიანის და სხვათა ფონდები. ამ ფონდში დაცულია ავტოგრაფიანი წიგნები ალექსანდრე ხახანაშვილის, იაკობ გოგებაშვილის, რაფიელ ერისთავის, გრიგოლ ორბელიანის და სხვათა მინაწერებით. ამავე ფონდშია დაცული „მატბერდის კრებული“, „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხები, ვახუშტი და იოანე ბატონიშვილების შრომები. ქ.მ.წ.კ.გ. საზოგადოების წიგნსაცავის ნაწილს შეადგენდა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა, რომლის კატალოგი საჯარო ბიბლიოთეკამ გამოსცა 1957 და 1987 წწ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავი საფუძვლად დაედო 1937 წელს ჩამოყალიბებულ საარქივო ფონდს, რომელიც ცალკე განყოფილების სახით შევიდა ბიბლიოთეკის სტრუქტურაში 1999 წლიდან ქართული ნაბეჭდი ერთეულის საარქივო ფონდის სახელწოდებით.

ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში დაცული მასალებიდან აღსანიშნავია: 1629 წელს რომში ქართველი კათოლიკე ბერის ნიკოლოზ ირბაქის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) მიერ დაარსებულ სტამბაში დაბეჭდილი პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი „ქართულ – იტალიური ლექსიკონი“. იქვე 1670 წელს დაბეჭდილი „ქართული ენის გრამატიკა“, რომლის ავტორია 1637-1649 წწ. საქართველოში მოღვაწე მისიონერი ფრანცისკო მარია მაჯიო.

თბილისში 1709 წელს მეფე ვახტანგ მე-6 მიერ დაარსებული პირველი ქართული სტამბის წიგნებიდან ბიბლიოთეკის ფონდში დაცულია ამ სტამბაში დაბეჭდილი 14 გამოცემა, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს 1709 წლის „სახარება“, 1710 წელს დაბეჭდილი „კონდაკი“, 1711 წელს დაბეჭდილი „დავითნი“ და გერმანე ხუცეს მონაზვნის სახელმძღვანელო „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარს სწავლება მოწაფისა“. ბიბლიოთეკის ფონდში დაცულია ვახტანგის სტამბაში 1712 წელს მხედრული შრიფტით დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ეგზემპლარი, რომელთაგან ერთი ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკიდანაა. ამავე სტამბაში დაბეჭდილი გამოცემებიდან აღსანიშნავია ვახტანგ მე-6 მიერ სპარსულიდან ნათარგმნი და 1721 წელს გამოცემული სამეცნიერო შინაარსის წიგნი „ქმნულების ცოდნის წიგნი“ (ვარსკვლავთმრიცხველობა);

მოსკოვის ქართულ სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან ბიბლიოთეკაში შემონახულია 1743 წელს გამოცემული „ბიბლია“ ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილების წინასიტყვაობით; ერეკლე მე-2-ისა და ანტონ პირველის მიერ აღდგენილ ქართულ სტამბაში დაბე-

ჭდილი წიგნებიდან აღსანიშნავია „კონდაკი“ და „პარაკლიტონი“ 1751 და 1779 წწ. გამოცემული, რომელთაც დაერთვის ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის კომენტარები.

პეტერბურგში დაბეჭდილი ქართული წიგნებიდან ბიბლიოთეკაში დაცულია 1819 წელს გამოცემული დიმიტრი ბაგრატიონის „წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა ლექსად თქმული“, 1841 წლის „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ.

იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში დაცული რუსული წიგნებიდან აღსანიშნავია 1779 წელს დაბეჭდილი „გეორგიანული ისტორია ანუ მოთხრობა ახალგაზრდა ამილახვარზე“. 1814 წელს გამოცემული ვახტანგ ბატონიშვილის „ქართველი ხალხის ისტორიის მიმოხილვა“. სომხურ ენაზე გამოცემული წიგნებიდან ბიბლიოთეკაში დაცულია ევროპის სხვადასხვა სტამბებში დაბეჭდილი წიგნები: „ქრისტიანობის არსი“ 1667 წელს დაბეჭდილი ამსტერდამში, 1673 წელს რომში დაბეჭდილი იოანეს აუოფიანის „სომხური ენის გრამატიკა“, 1675 წელს ასევე ამსტერდამში დასტამბული „ბიბლია“.

ფონდებში დაცული უცხოური წიგნებიდან შეიძლება დავასახელოთ იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის „მოგზაურობა კოლხეთში“, რომელიც ნეპოლშია დაბეჭდილი 1654 წელს; ე. შარდენის „მოგზაურობა კავკასიაში“ 1686 და 1714 წლის გამოცემები; დიუბუა დე მონპერეს „მოგზაურობა კავკასიაში“ ექვს ტომად (პარიზი 1833-1844 წწ.); უძველესი გამოცემებიდან აღსანიშნავია სენეკას „ტრაგედიები“, დაბეჭდილი ფლორენციაში 1506 წელს.

ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მკვლევართა მიერ მე-9 საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული „იერუსალიმის განჩინება“, ანუ „ლაგურკის ლექციონარი“. ასევე საყურადღებოა ხელნაწერებიდან მე-13 საუკუნის „სახარება“, თარგმნილი ექვთიმე მთაწმინდელის მიერ. მე-19 საუკუნის ხელნაწერთაგან აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, ასევე „აბდულმესიანისა“ და „თამარის“ ტექსტების ხელნაწერები;

პერიოდული გამოცემებიდან, რომლებიც ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილებაშია დაცული, აღსანიშნავია პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთის“ სახელწოდებით, დაბეჭდილი 1819 წელს. ბიბლიოთეკაში ინახება აგრეთვე საქართველოში გამოცემული პერიოდიკა რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ,



აფხაზურ, ოსურ და სხვ. ენებზე. ბიბლიოთეკა სათუთად ინახავს „იურიის“, „დროების“, „ცნობის ფურცლის“, „შრომის“ და სხვ. გამოცემების წლიურ კომპლექტებს, აქვეა წარმოდგენილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროინდელი იშვიათი პერიოდიკა, ემიგრანტული გამოცემები და სხვ.

ბიბლიოთეკა მზრუნველობით ეკიდება ასევე საწიგნო და აუდიოვიზუალური გამოცემების მდიდარ კოლექციას, კარტოგრაფიულ გამოცემათა ფონდს, მიკროფილმებისა და მიკროფიშების ფონდებს; ძვირფასი მასალებია დაცული



გრაფიკულ გამოცემათა ფონდში, სადაც წარმოდგენილია პოლიტიკური თუ მხატვრული შინაარსის ალბომები, ნახაზები და დი-აგრამები, ფოტოსურათები, მონოგრაფიები მხატვართა შესახებ. ამ ფონდში ყურადღებას იპყრობს „სახელმწიფო ერმიტაჟის“ 1898 წლის პეტერბურგის გამოცემა (ა.ბუნას რედ-ით), ასევე პეტერბურგში გამოცემული „ხელოვნების საგანძური“, (1904 წ.); ვ.კასნეცოვის ალბომი (მოსკოვი, 1913 წ.) და სხვ. ძვირადღირებული საბიბლიოთეკო დოკუმენტი.

ბიბლიოთეკაში დაუნჯებულ მილიონობით წიგნსა თუ გამოცემის სხვა სახეებზე საუბარი შორს წაგვიყვანდა; ეს სწორედ ის სულიერი სიმდიდრეა, რითაც ამჟამად არა მარტო ეროვნული ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკა ეწევა სამეცნიერო-კვლევით და საგამომცემლო საქმიანობას, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნმცოდნეობის დარგებში. მისი ბიბლიოგრაფიული გამოცემებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ სამი ტომი (1940-1944წწ.), „ქართული განათების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ ექვსი ტომი - რვა წიგნად (1952-1975 წწ.); 1934-1940 წწ. ბიბლიოთეკამ გამოსცა „შრომები“- 5 წიგნად, ბიბლიოთეკის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ცალკეული სტატიები, გამოკვლევები, ბიბლიოგრაფიული ნაშრომები, მუშაობის გამოცდილების ამსახველი მასალები, რაც ნათლად მეტყველებს ეროვნული ბიბლიოთეკის შემოქმედებით პოტენციალზე, მის ღვაწლსა და ამაგზე ქართული წიგნის, როგორც ქართველი ერის წერილობითი მემკვიდრეების შენარჩუნებასა და გამრავლებაზე.

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი ინტენსიურად იზრდებოდა 1990-იან წლებამდე;

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ, ისევე როგორც ქვეყნის სხვა სფეროებში, გარკვეული სიძნელებები გაჩნდა ბიბლიოთეკის ცხოვრებაშიც. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო შენედა სახელმწიფოს ინტერესი ბიბლიოთეკისადმი. ბიბლიოთეკა აღარ იღებს იმ რაოდენობის გამოცემებს, როგორც 1990-იან წლებამდე, მკვეთრად შემცირდა სახელმწიფოს მიერ ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი თანხების რაოდენობა, რამაც უარყოფითი ზეგავლენა იქონია ბიბლიოთეკის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

1990-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის სიძნელებებს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა დაუპირისპირეს შესაშური ერთუზიანობა, პროფესიული ერთგულება, სიყვარული წიგნისა და, რაც

მთავარია, მკითხველისადმი. მათ ერთი დღითაც არ გამოუკეტავთ ბიბლიოთეკის კარები მკითხველისათვის, მსახურობდნენ საკუთარი ხარჯებით, სიცივეში, სიბნელეში, მაგრამ იმის შეგნებით გულანთებულნი, რომ კარგად უწყობდნენ, რას და ვისთვის უფრო ხელდებოდნენ და ინახავდნენ.



ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გააგრძელა თავისი ფუნქციისა და მისიის შესრულება დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობის პირობებში. საქართველოს საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტთა წინაშე მთელი სიმწვავეით დაისვა საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული საფუძვლების დამუშავების პრობლემა. 1990-იან წლებამდე ასეთი ნორმატიული აქტები რუსეთში მუშავდებოდა. ახლა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ეროვნულ ბიბლიოთეკას თვითონ უნდა დაეწერათ ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის არსებობისა და განვითარების სტენარო.

საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის შესახებ კანონპროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ 1994 წელს დაიწყო. ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციალისტთა თაოსნობითა და აქტიური მონაწილეობით შეიქმნა მუშა ვერსია; კანონპროექტის შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ გარდა ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციალისტებისა, კულტურის სამინისტროს, უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა სამეცნიერო ბიბლიოთეკების სპეციალისტები, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა.

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. ამ კანონის მეოთხე თავი მთლიანად ეძღვნება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სტატუსს, მის ფუნქციას და ადგილს ქვეყნის საბიბლიოთეკო სისტემაში. კანონით აღიარებულია, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა არის ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმის კოორდინატორი და მეთოდური ცენტრი; რომ იგი წარმოადგენს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ფასეულ ობიექტს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სტატუსი, მისი დანიშნულება, უფლებები, მოვალეობები და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი ამ ბიბლიოთეკის შესახებ პარლამენტის მიერ 1997 წელს მიღებულ კანონში „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“. კანონის თანახმად, ეროვნული ბიბლიოთეკის ფუნქციონირების გარანტი არის საქართველოს პარლამენტი, რომელიც ბიბლიოთეკას უზრუნველყოფს ფინანსური მხარდაჭერით. ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად ქვეყანაში ატარებს საბიბლიოთეკო პოლიტიკას, ეწევა კოორდინაციულ მუშაობას, უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების შესრულებას.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კანონიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკის დირექციამ 1999 წელს შეიმუშავა ბიბლიოთეკის ახალი დებულება, სადაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მისია, პრიორიტეტები და ინფრასტრუქტურა. ბიბლიოთე-



საპარტეზო
პროფესორ
ბიბლიოთეკა



კაში ამჟამად ფუნქციონირებს 6 დეპარტამენტი, რომლებშიც გაერთიანებულია 26 განყოფილება, 6 ცენტრი და 4 ჯგუფი. ახლადშექმნილი განყოფილებებიდან აღსანიშნავია: სამართლისა და ბიზნესინფორმაციის განყოფილება, საზოგადოებრივი ურთიერთობის განყოფილება, სამოქალაქო განათლების განყოფილება; ახლადშექმნილი ცენტრებია: კავკასიურ კვლევათა, დემოკრატიის საინფორმაციო, გენეალოგიური კვლევის და სამოქალაქო განათლების ცენტრები.

უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ გაააქტიურა მუშაობა საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართუ-

ლებით. სისტემატური ხასიათი მიეცა დიალოგს, წიგნების პრეზენტაციებს, შეხვედრებს საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ამავე პერიოდში და, საერთოდ, ბოლო ათწლეულის მანძილზე, საგრძნობლად შემცირდა საბიბლიოთეკო ფონდის ზრდის მაჩვენებელი, რაზედაც მკითხველებზე გაცემული უარების რაოდენობაც მეტყველებს.

1990 წელთან შედარებით ბოლო 5 წლის მანძილზე ბიბლიოთეკის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლები შემდეგ სურათს გავძლევს:

№	ძირითადი მაჩვენებლები	1990	1996	1997	1998	1999	2000
1.	ბიუჯეტი		755.670	1.443.000	1.376.000	1.014.000	758.2000
2.	წიგნები (ეგზ.)	73.697	7.613	13.749	13.814	13.290	
3.	ჟურნალები (სახელწ.)	2057	307	277	313	122	154 (1 ნახევარი)
4.	გაზეთები (სახელწ.)	330	476	169	182	119	128 (1 ნახევარი)
5.	მკითხველთა რაოდენობა (მომსვლ.)	475.700	596.158	386.037	674.694	466.913	
6.	წიგნების გაცემა	3.702.308	2.372.172	1.051.598	1.013.929	1.815.425	

ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი 2000 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 15.239.200 დაცვის ერთეულს. მათ შორის წიგნები 3.950.428 ეგზ., ჟურნალები – 2.089.653 ერთეული, გაზეთი – 7.599.400 აკინძების ერთეული. სხვა სახის გამოცემები 1.599.800 დაცვის ერთეული.

ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ემსახურება 466.900 – მდე მკითხველს და ადგილზე სარგებლობისათვის გასცემს 1.815.400 – ზე მეტ საბიბლიოთეკო დოკუმენტს.

რა თქმა უნდა, ბიბლიოთეკის ეკონომიური მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებს ბიბლიოთეკის საქმიანობის ყველა მიმართულებაზე.

ბოლო პერიოდში ბიბლიოთეკამ მკვეთრად გააუმჯობესა საქმიანობა კოორდინაციული მუშაობის მიმართულებით. 1999 წლიდან შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომლის სხდომებზე სისტემატურად განიხილება ქვეყნის ყველა უწყების ბიბლიოთეკების მუშაობა. სწორედ საბჭოს სხდომაზე მიეცა დასაბამი საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის შექმნას, პირველი ქართული პროფესიული ჟურნალის დაარსებას; საბჭოს ინიციატივითა და მხარდაჭერით შეიქმნა საქართველოს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო ქსელის კონსორციუმი.


ბიბლიოთეკას ძველი პერიოდიდან დღემდე ხელმძღვანელობდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები: გ.ტოკარევი, ა.ბერეჟი, პ.მელერი, რ.შვილტი, ვიორგი გეზტმანი, ი.ნაკაშიძე, სანდრო ეული-ქურდიე, კ.მგალობლიშვილი, პ.კანდელაკი, ა.აკაკაშიძე, ა.ძიძიური, ა.კარტოზია.

ბიბლიოთეკა IFLA-ს წევრია 1991 წლიდან. ბიბლიოთეკის სპეციალისტები სისტემატურად მონაწილეობენ IFLA-ს და სხვა სა-

ერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო 1989 წლიდან. ამ წელს ბიბლიოთეკაში დაიდგა პირველი კომპიუტერი, ხოლო 1990 წლიდან ბიბლიოთეკამ დაიწყო ელექტრონული ფოსტის გამოყენება.

კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიწყო 1980 წლიდან პერიოდული გამოცემების ხელმოწერის ავტომატიზაციით ტექნიკურების დიდ კომპიუტერზე. 1988 წელს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა ტექნიკურების დიდ კომპიუტერზე აწყობილი ოუნესკოს პროგრამული უზრუნველყოფის CDS/ISIS-ის გამოყენებით საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში უცხოური პერიოდიკის შეერთე-



ჩვენი გიგანტური: ათი მდგომარეობა ახალი საუკუნის დასაწყისში



ბული საძიებელი, რომელიც მონაცემთა ბაზის სახით დღესაც არსებობს. 1989 წელს, როდესაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიდგა პირველი პერსონალური კომპიუტერი IBM PC



ბული ამოცანა შორს არის გადაწვეტიანად, ეროვნული ბიბლიოთეკა წელს უკვე იწყებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და სოროსის ფონდის გრანტების დახმარებით, ოთხი რეგიონალური ბიბლიოთეკის: ფოთის, ზუგდიდის, ქუთაისის და თელავის ცენტრალური ბიბლიოთეკების ავტომატიზაციას.

ძირითადი ლიტერატურა ბიბლიოთეკის შესახებ:

1. საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ // საქართველოს რესპუბლიკა. - 1997. - 22 ნოემბერი. - გვ. 3
2. საქართველოს კმარქის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა: მეგზური / შემდგ. ა. კაკასიძე. - თბ., 1985. - 94 გვ. - ბიბლიოგრ. გვ. 93
3. ლორთქიფანიძე ნ. კმარქის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა // საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები. - თბ., 1938. - წ.4. - გვ. 1 - 14
4. ჯონაძე ე., სხირტლაძე ს. შენი მეგობრების ქალაქი - თბ., 1966. - 100 გვ.
5. Узнაძე В. История Тифлисской Публичной Библиотеки (1846-1917). - Тб., 1957. - 72 с.
6. Государственная Республиканская библиотека Груз. ССР им. К.Маркса: Краткий Справочник / Сост. А. Кавкасиძე ; Ред. П.Кандელი. - Тб., 1963. - 37 с.
7. Мухашаврия Н. Изучение фонда Грузинской книги // Советское Библиотечное дело. - 1980. - №1. - с. 58-68
8. Чхенкели Т. И. Перспективы автоматизации в библиотеках Грузии // Сов. Библиотечное дело. - 1987. - №5. - с. 74-79
9. Картозия А., Чхенкели Т. Доступность публикаций: просто и сложно одновременно // Библиотека. - 1999. - №6. - с. 72-74
10. Chkhenkeli T. Outline of Automation Concept of the National Parliamentary Library of Georgia. // In: Conference Proceedings of Georgia - United States of America II Library Conference. - Tbilisi, 1997. - p. 51-59
11. Chkhenkeli T. Challenges of Library Automation Development in Georgia. // In: Conference Proceedings of Georgia - United States of America II Library Conference. - Tbilisi, 1997. - p. 51-59

AT 286, დაიწყო ქართული წიგნების ელექტრონული კატალოგის შექმნა. ბიბლიოგრაფიული მონაცემების შეტანა წარმოებდა "წიგნის მატანიდან". დღეს უკვე მკითხველისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული კატალოგები და მონაცემთა ბაზები:

- ქართული წიგნები (1988-)
- ქართული ავტორეფერატები (1992-)
- გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მონაცემთა ბაზა (1993 - 2000წწ.)


ზემოთხსენებული ელექტრონული კატალოგები და მონაცემთა ბაზები მაქსიმალურად ითვალისწინებენ ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტებს - ISBD-ებს და ბიბლიოგრაფიული მონაცემების საერთაშორისო გაცვლის სტანდარტს - UNIMARC-ს.

საზღვაგარეთული წიგნების ელექტრონული კატალოგი (1997) ეს არის საზღვაგარეთული წიგნებისა და სხვა მასალების ელექტრონული კატალოგი ძირითადად ეკონომიკის, ბიზნესის, სამართლისა და პოლიტიკის დარგებში. ამ დოკუმენტების უმრავლესობა საჩუქრად არის მიღებული ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსგან, ევრაზიის ფონდისგან, World Vision International-ისგან, მსოფლიო ბანკისგან, ოუნესკოსგან და სხვებისგან. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა არის მსოფლიო ბანკისა და ოუნესკოს გამოცემების დეპოზიტარი ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკაში უკვე 80-ზე მეტი კომპიუტერია. კომპიუტერებით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მომარაგებაში ლომის წილი მიუძღვის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სოროსის ფონდმა, გეტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ, ფოლკსვაგენმა და სხვებმა. მაგრამ ბიბლიოთეკაში კომპიუტერებზე მოთხოვნილება გაცილებით მეტია როგორც თანამშრომლების, ისე მკითხველების მხრიდან. ინტერნეტი მკითხველისათვის ხელმისაწვდომია როგორც უფასოდ (IATP/IREX), ისე ფასიანად (Sanet).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სრული ავტომატიზაციისათვის საჭიროა 300-მდე კომპიუტერი და ინტეგრირებული ავტომატიზებული საბიბლიოთეკო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძვირად ღირებული

ლევან ბერძენიშვილი



ინფორმაცია საქართველოს ბიბლიოთეკების შესახებ ინტერნეტში

სტატია მოამზადეს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ირინა ჭანტურიშვილმა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გურამ თაყნიაშვილმა. გამოქვეყნებულია ინტერნეტში ინგლისურ ენაზე მისამართზე (www.faife.dk->World Report->Georgia).

საბჭოთა კავშირის დაშლამ ისეთივე ზემოქმედება იქონია ბიბლიოთეკებზე საქართველოში, როგორც ყველა დანარჩენ ახლადამოუკიდებელი ქვეყნების ბიბლიოთეკებზე. ცენტრალიზებული დაფინანსება აღარ არსებობდა და ბიბლიოთეკები იძულებული იყვნენ თავად გაერთიანებულ თავი უამრავი პრობლემისათვის, რომლებიც მათ წინაშე წამოიჭრა: ბიუჯეტის შეკვეცა, დაბალი ხელფასები და ისიც თვეობით არ გადახდილი, დაკომპლექტების შეწყვეტა, ბიბლიოთეკათმორისო აბონემენტის გაუქმება, გამოცილებული შენობები და ა.შ. ამ უმძიმეს პერიოდში საქართველოს ბიბლიოთეკარებმა გამოიჩინეს საოცარი ერთგულება თავიანთი პროფესიისადმი და თუ დღეს საქართველოს კვლავაც აქვს ბიბლიოთეკები, ეს მათი აუნაზღაურებელი შრომის დამსახურებაა.

ბიბლიოთეკების დირექტორები ძირითადად უმარტივესი ამოცანის

გადატარებენ დაკავებულნი: ეზოვით ფული შესაბამისი სტრუქტურებიდან თუნდაც განზეთებზე ხელმოსაწერად და ამით მოსახლეობა უზრუნველყოთ მინიმუმით – უახლესი ინფორმაციით. ბიბლიოთეკებისათვის ყველაზე მძიმე საქართველოში მაინც ომი და სხვადასხვა სტიქიური უბედურებები იყო უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, როცა დაიწვა ან დაზიანდა ბიბლიოთეკები თბილისსა და დასავლეთ საქართველოში. 1989 წლის ციფრები მეტყველებს, რომ საქართველოში 8000 ბიბლიოთეკა და 11000 ბიბლიოთეკარი იყო, ახლა კი, არა ზუსტი მონაცემებით, 4674 ბიბლიოთეკა და დაახლოებით 8000 ბიბლიოთეკარია.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა ტიპის ბიბლიოთეკები დაზარალდა ყველაზე მეტად:

1	ბიბლიოთეკების ტიპები	1991-92 წლების მონაცემები	2000 წლის იანვრისათვის
1.	კულტურის სამინისტროს ბიბლიოთეკები	4 100	2 300
2.	საშუალო სკოლების ბიბლიოთეკები (განათლების სამინისტრო)	3 476	2 067
3.	მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკები	48	44
4.	ტექნიკური ბიბლიოთეკები	160	163
5.	ჯანდაცვის სამინისტროს ბიბლიოთეკები	39	39
6.	უმალესი განათლების ბიბლიოთეკები	19	24
7.	სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკები	42	10
8.	სპეციალური ბიბლიოთეკები ინვალიდებისათვის	13	10
9.	ციხის ბიბლიოთეკები	17	17
10.	ჯამი:	7 914	4 674

ჯერაც არაა აღრიცხული, თუ რამდენი სოფელი დარჩა საქართველოში სკოლებისა და ბიბლიოთეკების გარეშე. 90-იანი წლებიდან დაწყებული, მოშლილია არასტატაციონარული მომსახურების საშუალებები, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის ერთი ნაწილი ბიბლიოთეკების გარეშეა დარჩენილი.



ის ბიბლიოთეკებიც, რომლებიც დღესაც ფუნქციონირებენ, ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ მომხმარებლებს ახალი წიგნებით მათი ინტერესების შესაბამისად. როგორც ვახსენეთ, არაა სახსრები დაკომპლექტებისათვის. ყველა შედარებით ახალი წიგნი და ჟურნალი ბიბლიოთეკებში კერძო პირების ან ორგანიზაციებისაგან მიღებული საჩუქარია.

კანონმდებლობა ბიბლიოთეკების შესახებ

საქართველოს მთავრობამ ორი კანონი მიიღო ბიბლიოთეკების შესახებ 1996 და 1997 წწ. ერთი კანონი არის საკუთრივ საქართველოს ეროვნული საპარლამენტო ბიბლიოთეკის შესახებ, ხოლო მეორე – ზოგადად საბიბლიოთეკო კანონი. სხვა საკითხებთან ერთად, ორივე კანონი ითვალისწინებს, რომ

- „ბიბლიოთეკების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:
 - 1) პოლიტეკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი;
 - 2) მკითხველთა თანასწორუფლებიანობა;
 - 3) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდელობა“.

ჩვენი ბიბლიოთეკები: მათი როლი ახალი საუკუნის დასაწყისში



დღესდღეობით საქართველოში მხოლოდ ერთი ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს თავის მეთხველებს ინტერნეტით: ესაა ეროვნული საპარლამენტო ბიბლიოთეკა, რომელიც ადრე ცნობილი იყო როგორც საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა. მოსახლეობა მას დღესაც „საჯაროს“ ეძახის. ბიბლიოთეკაში ორი ინტერნეტის ცენტრია მეთხველთათვის. ერთი დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ და უზრუნველყოფს მეთხველებს უფასო ინტერნეტით, მეორე კი არის ადგილობრივი სერვის-პროვაიდერის და ბიბლიოთეკის ერთობლივი პროექტით, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს ინტერნეტის ნომინალურ ფასებში. თბილისის ზოგიერთ დიდ ბიბლიოთეკას აქვს რამდენიმე კომპიუტერი და ზოგი ინტერნეტშიცაა ჩართული, მაგრამ ეს კომპიუტერები მხოლოდ შიდა მომხმარებლისათვისაა და მათთან მეთხველების დაშვება არ ხდება. თბილისის ბიბლიოთეკებში მომხმარებელთა ინტერნეტით მომსახურების უქონლობის მიზეზი თუ კომპიუტერების უქონლობაა, რეგიონებში საქმე უფრო სერიოზულადაა შეფერხებული, რადგან აქ საქმე გვაქვს მეტ-ნაკლებად დაშლილ სატელეკომუნიკაციო სტრუქტურასთან. ზოგიერთი კომერციული სერვის-პროვაიდერი სხვადასხვა ღირსი ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ცდილობს გამოასწოროს მდგომარეობა საქართველოს რეგიონებში. 2000 წლის ნოემბერში სამი საჯარო ბიბლიოთეკა ფოთში, ქუთაისსა და ბათუმში ჩაერთო ინტერნეტში და მოემსახურება მომხმარებლებს ამ ახლებური მეთოდით. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აფინანსებს პროექტს, რომელიც დასრულდება 2001 წლის ბოლოს. ეს პროექტი ითვალისწინებს საქართველოში პირველი ელექტრონული საბიბლიოთეკო ქსელის შექმნას, რომელიც შესაძლებელს გახდის ელექტრონული მონაცემების გაცემას ეროვნულ საპარლამენტო ბიბლიოთეკასა და საქართველოს 4 რეგიონალურ ბიბლიოთეკას შორის. ამაუბრულად მიმდინარეობს საქართველოს ბიბლიოთეკარების გადამზადება, რათა მათ შეეძლოთ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მეთხველთა მომსახურებისას. კვლევითი ცენტრის ამაღლების კურსებს ახორციელებს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია. 1999 წელს 50 ბიბლიოთეკარმა გაიარა კურსები, ხოლო 2000/2001 წლებში კიდევ 100 ბიბლიოთეკარი გაეცნობა თანამედროვე საბიბლიოთეკო მეთოდებს. გარდა ამისა, ინტერნეტის შესასწავლად არსებობს სემინარები და კურსები, რომელსაც წარმართავს IREX-ის მიერ დაფინანსებული IATR (ინტერნეტის დაშვებისა და ტრენინგის პროგრამა).

IREX IATP და საქართველოში ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაციის ერთობლივი პროექტით, 1998 წელს 2 ბიბლიოთეკაში (საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში) გაიხსნა ინტერნეტის სწავლებისა და გამოყენების პირველი უფასო ცენტრები. 2000 წლის იანვრიდან საქართველოს ბიბლიოთეკებს აქვთ საშუალება ისარგებლონ EBSCO-ს ელექტრონულ მონაცემთა ბაზით (მისამართზე <http://search.epnet.com>), რომელიც მოიცავს 3000-ზე მეტ დანახვების ფუნქციას (პროექტი EIFL, დაფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება - საქართველო“).

ინტელექტუალური თავისუფლება

რაც შეეხება ინტელექტუალური თავისუფლებას, შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთადერთი სფეროა ბიბლიოთეკებში, რომელშიც მოიგო საბჭოთა კავშირის დაშლით. საკვანძოდ ცნობილია საბჭოთა ბიბლიოთეკებში ე.წ. სპეცფონდების არსებობის შესახებ - წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გარკვეული ნაწილი ინახებოდა ფართო მეთხველებისათვის დახურულ საცავებში. ვვლადიმერი, რაც საბჭოთა იდეოლოგიისათვის საშიხად იყო მიჩნეული, საჭიროებდა სპეციალურ უფლებას წასაკითხად. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში, „პერესტროიკის“ დროს, ბიბლიოთეკებში მოვიდა ბრძანება სპეცფონდების გაუქმების შესახებ.

ინტელექტუალური თავისუფლების საკითხები იმ სახით, რომლითაც ისინი არსებობს IFLA/FAIFE-ს მეთვალყურეობის ქვეშ, საქა-

რთველოში ფართო საზოგადოებისათვის არაა ცნობილი და არც ისწავლება ცალკე სახეად საბიბლიოთეკო ფაქტორებზე. ერთადერთი შესაძლებლობა საქართველოს ბიბლიოთეკარებს გაეცნონ ამ საკითხებს, აქვთ ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კვლევითი ცენტრის ამაღლების კურსებზე. საბიბლიოთეკო უფლებების კანონი, კითხვის უფლება, ბიბლიოთეკართა ქვეყნის კოდექსი და სხვა საკითხები გადათარგმნილია ქართულ ენაზე და შესულია „ისა“-ს მიერ გამოცემულ კვლევითი ცენტრის ამაღლების დამხმარე სახელმძღვანელოში ბიბლიოთეკარებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისათვის. სულ ახლახანს ეს კურსები გადაეცადა რეგიონალურ ტრენინგ ცენტრად ბიბლიოთეკარებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისათვის. ამ ინიციატივის ხელშემწყობი და დაფინანსებულია ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქსელური საბიბლიოთეკო პროგრამა ბუდაპეშტში. დაწერილებითი ინფორმაციისათვის, თუ კონკრეტულად რას ეხება ინტელექტუალური თავისუფლების კურსი, ან რა საგნები ითვლება „ისა“-ს მიერ, იხილეთ ინტერნეტ გვერდი: <http://www.ais.org.ge>

გარდა ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციისა, საქართველოში რეგისტრირებულია კიდევ ორი ასოციაცია: საქართველოს ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაცია (LAAG) და საქართველოს ბიბლიოთეკების ასოციაცია. სამეცნიერო ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს საჭიროების შემთხვევაში, თუმცა მათ ვეჯდის თავიანი მოღვაწეობის კონკრეტული სფეროები გააჩნია.

საქართველოს ბიბლიოთეკები იმდენად უყურადღებოდ არის დარჩენილი საქართველოს მთავრობისა თუ მასმედიის მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ინტელექტუალური თავისუფლება არ განიცდის შევიწროებას საქართველოს ბიბლიოთეკებში. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ მხრივ ვეღვაფერი კარგადაა ქვეყანაში. ინტელექტუალური თავისუფლების ერთ-ერთ გაკვეთილზე კურსის მსმენელმა ამოიღო 1997 წელს გამოშვებული მეთხვე კლასის სახელმძღვანელო, სადაც ტექსტის ნაწილი გამაგებელი იყო საბჭოთა ცენზურის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით. ცხლად, ამაზე რეაგირება უნდა მოეხდინა გამომცემლობას და არ დაეშვა ცენზურის ასეთი ჩარევა დაბეჭდილ მასალაში. ეს მაგალითი მიგვანიშნებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ინტელექტუალური თავისუფლების დასაცავად ბევრი რამაა გასაკეთებელი: უნდა შეიქმნას ინტელექტუალური თავისუფლების კომიტეტი, ინტელექტუალური თავისუფლების საკითხები განიხილებოდეს ადგილობრივ და რეგიონალურ კონფერენციებზე, საშუალო კონტაქტები ბიბლიოთეკებსა და გამომცემლობებს შორის საჭიროა იხვეწებოდეს და სხე.

ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია არის IFLA-ს (საბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია) ეროვნული წევრი. იგი კვლავაც გააგრძელებს მუშაობას ინტელექტუალური თავისუფლების საკითხებზე. ახლად გამოქვეყნებული IFLA/FAIFE-ს დებულება ბიბლიოთეკებზე და ინტელექტუალურ თავისუფლებებზე უახლეს ვადებში გადაითარგმნება ქართულ ენაზე, გამოქვეყნდება და შეეა ინტელექტუალური თავისუფლების კურსში, რომელიც ტარდება რეგიონალურ ტრენინგ ცენტრში. საქართველოს ბიბლიოთეკები გამოიმუშავენ საერთო სტრატეგიას ინტელექტუალური თავისუფლების დასაცავად და მზად იქნებიან ერთობლივად აღუდგინონ ცენზურის ნებისმიერ გამოვლენას საქართველოს ბიბლიოთეკებში.

საქართველოში ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაციამ თარგმნა და გამოსცა შემდეგი დოკუმენტები:

1. იუნესკოს „საჯარო ბიბლიოთეკების მანიფესტი“ (1996 წ. გამოცემა ბეჭდური სახით. მოიცავს ინგლისურ, ქართულ და რუსულ ტექსტს).
2. ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის „საბიბლიოთეკო უფლებათა ბილი“ (1999 წ., <http://www.acnet.ge/~library/newspaper/number1.htm>)
3. IFLA/FAIFE-ს „განცხადება ბიბლიოთეკებსა და ინტელექტუალური თავისუფლების შესახებ“ (2000 წ., გამოქვეყნებულია <http://www.acnet.ge/~library/newspaper/number3.htm> და IFLA/FAIFE-ს ინტერნეტ გვერდზე).

ნი წელი მეცნიერების სამსახური

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა დაარსდა 1941 წლის მარტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისთანავე (1941წ. 10 თებერვალი). მაშინ წიგნადი ფონდი 2000 ბეჭდვით ერთეულს აღწევდა და ბიბლიოთეკას 20 კვმ ფართობი ეკავა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობაში - ძეგლისის (ამჟამად პ. ინგოროვას) ქუჩის № 8-ში.

მეცნიერებათა აკადემიის ზრდასთან ერთად, დაისვა ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დაარსების საკითხი.

1944 წლის 3 აგვისტოს კომისიამ აკადემიოს ს.ჯანაშიას თავმჯდომარეობით პრეზიდიუმს წარუდგინა წინადადება ფუნდამენტური ბიბლიოთეკისათვის შტატისა და ბიუჯეტის დამტკიცების, შენობის გამოყოფის, ბეჭდვითი პროდუქციის უფასო სავალდებულო ცალკების მიღებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიბლიოთეკებიდან საღებულო ცალკების გადაცემის შესახებ.

1945 წელს ბიბლიოთეკას დაუმტკიცდა შტატი 14 კაცის რაოდენობით და საკუთარი ბიუჯეტი. იმავე წლის აგვისტოში ბიბლიოთეკის პირველ დირექტორად დაინიშნა დოცენტი გიორგი გიორგიძე.

1949 წლის ივლისში ბიბლიოთეკას სათავეში ჩაუდგა საბიბლიოთეკო საქმის დიდი ენთუზიასტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ უზნაძე, რომელიც 1967 წლის დეკემბრამდე, სიცოცხლის ბოლომდე, მართავდა ბიბლიოთეკას. სწორედ ე.უზნაძის სახელთანაა დაკავშირებული ბიბლიოთეკის შიდა სტრუქტურის ჩამოყალიბების რთული პერიოდი.

1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დაავალბით ბიბლიოთეკის დირექტორმა ვლადიმერ უზნაძემ შეიმუშავა ბიბლიოთეკის ახალი შენობის აგების პროგრამა, რის საფუძველზეც მთავარმა არქიტექტორმა გიორგი ლევაყამ და არქიტექტორმა ილია ლიბურმანმა შეადგინეს ბიბლიოთეკის შენობის პროექტი, რომელიც 1953 წელს დაამტკიცა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა.

1962 წელს აკადემიქალაქის ტერიტორიაზე (მ.ალექსიძის ქ. №1/4) დაიწყო ბიბლიოთეკისათვის სპეციალური შენობის აგება, რომელიც 1970 წელს დასრულდა.

ვლადიმერ უზნაძის ამ დიდი ღვაწლის გამო ამჟამად ბიბლიოთეკაში არსებულ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კაბინეტს ვლადიმერ უზნაძის სახელი აქვს მინიჭებული.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობა ხუთ სართულიანია, აქვს 87 სამუშაო ოთახი, საერთო სამკითხველო დარბაზი 200 მკითხველისათვის და 6 დარბობრივი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკის წიგნსაცავი გათვლილია 3 მილიონ ბეჭდვით ერთეულზე, ბიბლიოთეკის შენობის საერთო ფართობი 12283 კვმ-ია, ენობის კ - 1,25 პა.

ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოთეკაა. მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც მეცნიერებათა აკადემიის, ისე მთელი ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სისტემაში. ბიბლიოთეკა მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ინსტიტუტების ბიბლიოთეკებს.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სამ მილიონ-ნახევარს აღწევს, რომელთაგან ექვსას ათასზე მეტი უცხოური გამოცემაა. ბიბლიოთეკას ჰყავს 28 ათასზე მეტი მკითხველი.

მიღმარი და მრავალფეროვანია ცენტრალური სამეცნიერო ბი-

ბლიოთეკის წიგნადი ფონდი. ამ ფონდის ჩამოყალიბება 1948 წლიდან დაიწყო, როცა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ლიტერატურის შესარჩევად და მისაღებად მოსოვლას და ლენინგრადში მივლინებულ იქნა მეცნიერ-მუშაკთა დიდი ჯგუფი, რომელმაც საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტების - დოც. ნიკოლორთქიფანიძისა და ელენე ყუყუნაძის ხელმძღვანელობით შეარჩია წიგნები და პერიოდული გამოცემები სსრკ მეცნიერებათა აკადემიის, მ.სალტაგოვ-სტედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის, ტიმირიაზევის სახელობის სსრკ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა სარეზერვო ფონდებიდან.

1955 წლიდან, როდესაც საკავშირო მთავრობის დადგენილებით ცალკეული უწყების დიდ ბიბლიოთეკებსა და მათ შორის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკასაც საერთაშორისო წიგნთგაცვლის უფლება მიეცა, ბიბლიოთეკამ კავშირი დაამყარა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ათასზე მეტ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასა და გამომცემლობასთან და საერთაშორისო წიგნთგაცვლის უდიდეს ცენტრად იქცა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა საქართველოს დიდ ბიბლიოთეკებს შორის ყველაზე მდიდარია უცხოური სამეცნიერო ლიტერატურით.

წიგნად ფონდში დაცულია გამოჩენილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების - ექვთიმე თაყაიშვილის, ვუკოლ ბერიძის, სერგი სარიანაშვილის, ალექსანდრე ბაიოვის, ვლადიმერ ვორონინის, მიხეილ პოლივექტოვის, გიორგი ლომთათიძის, ნიკოლორთქიფანიძის, ვლადიმერ ფანჯიძის, ძმების იოსებ და ვახტანგ ასლანიშვილების პირადი ბიბლიოთეკები, რომლებიც სხვადასხვა დროს ანდერძით ან შესყიდვით იქნა მიღებული.

ფონდში ინახება შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" ყველა ქართული გამოცემა და პოემის ყველა თარგმანი. აქვეა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკიდან მიღებული IX-XV საუკუნეების ე.წ. სინური და იერუსალიმური ქართული ხელნაწერების მკროფილშები და ბევრი სხვა უნიკალური გამოცემა.

ბიბლიოთეკის სამაგო სიმდიდრეა პოეტ-აკადემიოს იოსებ გრიშაშვილის პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უანდერძა. ბიბლიოთეკა-მუზეუმში 60 000 ბეჭდვით ერთეულია დაცული. მათ შორის ბევრი ისეთი გამოცემა, რომელიც საქართველოს არც ერთ ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება და ბევრი ისეთიც, რომლის მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარია შემორჩენილი.

მეცნიერებისა და კულტურის დიდი აღმავლობით აღინიშნა საქართველოში 70-80-იანი წლები. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფი ზრდა ბიბლიოთეკის მოღვაწეობის ყველა სფეროში აისახა. გაიზარდა ლიტერატურის შესაძენი თანხები, ბეჭდვითი პროდუქციის ფასიანი საგაღებულო ცალკების მიღება, საკავშირო და საერთაშორისო გაცვლით შეუფერხებლად და სრულად კომპლექტდებოდა წიგნადი ფონდები. გაიზარდა მკითხველთა რაოდენობა, რასაც შესაბამისად თანამშრომელთა რაოდენობის ზრდა მოჰყვა. გამართულად მუშაობდა წიგნსაცავების სამაცივრო და სავენტილაციო დანადგარები, სრულ მწყობრში იყო ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა, თბებოდა შენობა. წიგნსაცავებში დაცული იყო ტემპერატურისა და ტენიანობის დადგენილი ნორმები, პერიოდულად იწმინდებოდა წიგნობრივი ფონდი. ეწყობოდა უცხოური გამომცემლობების წიგნის გამოფენები, ქვეყნდებოდა შრომები ბიბლიოთეკათმცო-



დნობასა და წიგნის ისტორიაში, იბეჭდებოდა ბიბლიოგრაფიული საძიებლები. ბიბლიოთეკა მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების დეპონირებული დაცვის ცენტრად იქცა.

80-იანი წლების დასასრულს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკებით დაინტერესდა საქართველოს მინისტრთა საბჭო, რომელმაც შეისწავლა მათი საქმიანობა და დასახა ღონისძიებები მუშაობის გასაუმჯობესებლად. დაისვა საკითხი ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ახალი კორპუსის მშენებლობის შესახებ, შედგა საპროექტო დავალება, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მინისტრთა საბჭოს ამ მცდელობას - გაუუმჯობესებინა საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში, ასრულება არ ეწერა.

90-იანი წლების საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების შემდეგ საქართველოში შექმნილმა უკიდურესად მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პირობებმა თავისი დადი დაასვა მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკებს, მათ შორის მათი მოთავე ბიბლიოთეკის მუშაობასაც.

ბიბლიოთეკა თითქმის ათი წელია სრულფასოვნად ვეღარ კომპლექტდება ქართული და რუსული სამეცნიერო ლიტერატურით. საზღვარგარეთის პარტნიორი ბიბლიოთეკების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, გამომცემლობებისა და ქართველოლოგებისათვის ვეღარ იძენს მათთვის საინტერესო სამეცნიერო ლიტერატურას, რის გამოც სერიოზული საფრთხე გაუჩნდა ბეჭდვითი გამოცემების საერთაშორისო გაცვლის ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებულ სისტემას, თუმცა საზღვარგარეთის პარტნიორი ბიბლიოთეკები ჰუმანიტარული დახმარებითა და საერთაშორისო გაცვლით მას კვლავ უზმავნიან სამეცნიერო წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებს.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდების დაკომპლექტებაში შექმნილი უძიმესი პირობები ერთგვარად შეამსუბუქა ჯორჯ სოროსის საერთაშორისო ფონდმა, რომელიც 1994 წლიდან ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგში ბიბლიოთეკას 60 დასახელების ჟურნალს აწვდის. ბიბლიოთეკა ინტერნეტის საშუალებით იღებს აგრეთვე ჯ.სოროსის ფონდის მიერ გამოწერილი 3500-ზე მეტი დასახელების პერიოდული გამოცემის ელექტრონულ დოკუმენტს.

1996 წელს ბიბლიოთეკამ მოიპოვა ვერანის გრანტი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს დიდი ბიბლიოთეკების, მათ შორის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის, წიგნადი ფონდების შევსებას რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ეკონომიკური და იურიდიული დარგების საცნობარო ხასიათის ლიტერატურით. იმავე წელს ამერიკა-საქართველოს ერთობლივი ფონდის - "ბიბლიოთეკების დახმარების ღია საზოგადოების" ინიციატივით ბიბლიოთეკამ მიიღო 23000 ევგვლარი ინგლისურენოვანი სამეცნიერო წიგნი, რომელთა უდიდესი ნაწილი ბიბლიოთეკაში დარჩა, ნაწილი კი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ქვეყნის სხვა ბიბლიოთეკებს გადაეცა.

1998 წელს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან 10685 ბეჭდვითი ერთეულით შეივსო.

1998-99 წლებში ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბიბლიოთეკიდან მიიღო 1996-1999 წლებში გამოქვეყნებული რუსული სამეცნიერო ჟურნალები. მიზანშეწონილია, ურთიერთობა რუსეთის სამეცნიერო ბიბლიოთეკებთან და გამომცემლობებთან მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდეს და განვითარდეს, რათა შე-

საძლებელი გახდეს არა მხოლოდ რუსული პერიოდული გამოცემების, არამედ სამეცნიერო ხასიათის მონოგრაფიებისა და კრებულების მიღებაც.

ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს დადებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ბრემენის სახელმწიფო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებთან, რასაც საფუძვლად დაედო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოში მოხვედრილი 80000 გერმანული წიგნის ქ. ბრემენის სახელმწიფო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებისათვის დაბრუნება. ბიბლიოთეკები თანამშრომლობენ მკითხველთა წიგნით უზრუნველყოფის, ინფორმაციის მოპოვებაში, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და გერმანიაში არსებული მატერიალური დახმარებისა და პროგრამების მოძიების საქმეში. ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა ქ.ბრემენის სახელმწიფო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებიდან ინტერნეტით იღებს სტატიების ქსეროასლებს გერმანიის სხვადასხვა ქალაქების ბიბლიოთეკებში დაცული პერიოდული გამოცემებიდან.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებასა და საგამომცემლო საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის განყოფილება, სულ ბიბლიოთეკის გრიფით გამოქვეყნებულია 127 დასახელების ნაშრომი, მათ შორის 67 ქართველი მეცნიერის ბიობიბლიოგრაფია, ფუნდამენტური ბიბლიოგრაფიული ნაშრომის - "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემათა ბიბლიოგრაფიის" 7 ნაკვეთი, პოეტ-აკადემიოს ი.გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგის 3 ტომი, ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგის პირველი და მეორე ნაწილები, ვ.უზნაძის "საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა", გ. მიქაძის "ფსევდონიმების ლექსიკონი ქართული წიგნის" გაუშიფრავი ფსევდონიმები, გ. გიორგიძისა და გ. კარტოზიას "საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი", ნ. გურგენიძის "მოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" გამოცემები და ხელნაწერები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში" და ბევრი სხვა. მკითხველთა თხოვნით, განყოფილებაში მზადდება და გაიცემა ათასობით წერილობითი და ზეპირი ცნობა.

"გეორგიის" განყოფილება საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველებისა და ქართველოლოგების დიდი მცდელობით იღებს საქართველოსა და კავკასიის შესახებ უცხოეთში გამოქვეყნებულ წიგნებს, საჟურნალო და საგანთო სტატიების ქსეროასლებსა და ვიდეომასალას.

ინფორმაციისა და ელექტრონული კატალოგის განყოფილების მეშვეობით ბიბლიოთეკას ელექტრონულ კატალოგში შეაქვს ბოლო ათწლეულში შემოსული უცხოური ჟურნალების აღწერილობები.

ინტერნეტით, რომლის ქსელშიც ბიბლიოთეკა 1997 წლიდანაა ჩართული, ბიბლიოთეკის მომხმარებლები იღებენ მათთვის საჭირო სხვადასხვა სახის ინფორმაციას. ბიბლიოთეკის თანამშრომლები მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებისა და სემინარების მუშაობაში, ასევე ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" მიერ მოწოდებულ ღონისძიებებში, სადაც იხილება საბიბლიოთეკო დარგის უმნიშვნელოვანესი პრობლემები და ისახება მათი გადაწყვეტის გზები.

ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მუშაობს პიეინისა და რესტავრაციის განყოფილება, რომლის თანამშრომლებიც აღადგენენ დაზიანებულ წიგნებსა და ცალკეულ ფურცლებს, კინძავეწ წიგნებსა და განუთის კომპლექტებს, აყვირდებიან და შეძლებისდა-



გვარად არეგულირებენ წიგნსაცავის მიკროკლიმატს.

ბიბლიოთეკის ვესტიბიულებში სისტემატურად ეწყობა გამოფენები. სტენდებზე გამოფენილია მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის გრიფით გამოქვეყნებული ნაშრომები, ახალშემოსული ავტორიფერატები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამუშაო მასალები. მიმდინარე პერიოდის დარბაზში ეწყობა ქართული პერიოდული გამოცემების, ჯორჯ სოროსის საერთაშორისო ფონდით, საერთაშორისო გაცვლით, ჰუმანიტარული დახმარებითა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბიბლიოთეკიდან მიღებული უცხოური და რუსული სამეცნიერო ჟურნალების გამოფენები.

ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილება მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს მეცნიერებათა აკადემიის 49 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ბიბლიოთეკას, რომელთა წიგნადი ფონდი 2.420.498 ბეჭდვით ერთეულს შეადგენს. მათგან 747.778 ბეჭდვით ერთეული უცხოური გამოცემაა.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევიან. ბიბლიოთეკაში ყოველწლიურად საწარმოო პრაქტიკას გადიან თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის კულტურისა და ესთეტიკური აღზრდის ფაკულტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის და კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის სტუდენტები.

ბოლო ათწლეულში ბიბლიოთეკის თანამშრომელთა რაოდენობამ საბიუჯეტო დაწესებულებებში განხორციელებული საშტატო ერთეულების რამდენჯერმე შემცირებასთან დაკავშირებით მკვეთრად იკლო. სწორედ ამ კლების პირდაპირპროპორციულია ბიბლიოთეკის მიერ ბოლო წლებში გაწეული მუშაობის ციფრობრივი მაჩვენებლებიც. დღეს ბიბლიოთეკას საშტატო განრიგით 133 თანამშრომელი ემსახურება.


ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას შემუშავებული აქვს მომავალი განვითარების კონცეფცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ის არის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის უმთავრესი ბიბლიოთეკა და გააჩნია დიდი ტრადიციები, რომ ის დღემდე მოქმედებს ამ ტრადიციების საფუძველზე და გარკვეულ წარმატებებს აღწევს, მაგრამ ახალი საბიბლიოთეკო და საინფორმაციო კონცეფციები, მიმართულებები, ტექნოლოგიები, განვითარების ტენდენციები და რეფორმაციული გადაწყვეტილებები მისი საქმიანობის გარდაქმნასა და მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს. ამოტომაც საჭიროა წინასწარ იქნეს განჭვრეტილი და დაგეგმილი, თუ რა მიმართულებით უნდა მოხდეს ბიბლიოთეკის განვითარება მომავალში, როგორი უნდა იყოს ბიბლიოთეკის შემდგომი განვითარების ეტაპები, როგორ უნდა მოხდეს საბიბლიოთეკო პროცესების დაგეგმვა, აღრიცხვა, ანგარიშგება და პროგრამირება; როგორ უნდა შეიცვალოს ბიბლიოთეკის სრტუქტურა, მართვა, ხელმძღვანელობა და დაფინანსება; როგორი რეფორმები უნდა მოხდეს კატალოგინაციაში, წიგნობრივი ფონდების ფორმირებაში; რა სიახლეები იქნება მეთხველთა მომსახურებაში, ინფორმაციული სამსახურების ორგანიზაციაში, კადრებთან მუშაობაში, მათი კვალიფიკაციის ამაღლებაში; როგორ უნდა განვითარდეს ბიბლიოთეკის საგამომცემლო საქმიანობა, სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა; როგორ უნდა დაინერგოს საბიბლიოთეკო-ინფორმაციული ცოდნა მეთხველებში, და ბოლოს, რა ვადებში უნდა განხორციელდეს ეს გარდაქმნები. მაგრამ დღეს ბიბლიოთეკის მეთხველთა ნორმალურად მომსახურებისათვის, თა-

ნამშრომლებისათვის ასე თუ ისე ასტანნი სამუშაო პირობების შესაქმნელად აუცილებელია უძძიმესი სოციალური პირობების გაუმჯობესება. წიგნებისა და პერიოდული გამოცემების შესაქმნელად და საერთაშორისო გაცვლისათვის საჭიროა ბიბლიოთეკის სათანადოდ დაფინანსება, შენობის გათბობის სისტემის მოწესრიგება, სამაცივრო-საყოფიციონერო და სავენტილაციო სისტემების შეცვლა ან შეკეთება, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემის აღდგენა და შენობის დაზიანებული სახურავის შეკეთება, რათა დავიცვათ ბიბლიოთეკის თანამშრომლები, წიგნადი ფონდი და შენობა. ამასთანავე გადაწყვეტილი გვაქვს დაენერგოთ ახალი არატრადიციული მეთოდები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება ჰუმანიტარულ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებში მსოფლიოში გამოქვეყნებული ყველა უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემით. ამისათვის კი აუცილებელია ბიბლიოთეკაში ავტომატიზაციისა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და ინტერნეტის ქსელის გაფართოება, რის შემდეგაც მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა გადაიქცევა საქართველოს პირველ ელექტრონულ სამეცნიერო ბიბლიოთეკად, რომელიც მოემსახურება როგორც მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მეცნიერ-თანამშრომლებს, ასევე უნივერსიტეტებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

აი, ამ პრობლემებით, აუცილებელად გადასატრევი ამოცანებითა და დღევანდელი დიდი გასაჭირის დაძლევის იმედით ხელედა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა თავის საიუბილეო თარიღს.

მალხაზ ზაალიშვილი, ჟურნალისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

ნანა შირიძე-სალაშა, ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო რაზმში





უაღეს სსსრულიანი ბიბლიოთეკის დღევანდელი, ამჟამინდელი და პიროვნული



განათლებულ, ცივილიზებულ ქვეყნებში ყოველთვის თვლიდნენ, რომ ნებისმიერი ქვეყნის კულტურულ დონეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამ ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობა. ეს კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული ჩვენი ერის მოწინავე ადამიანებს; 1918 წლის 8 თებერვალს გაისხნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო მეორე დღეს – 9

ეროვნულ საქმეს შეუდგნენ.

1990 წლის 8 თებერვალს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენა გამოაცხადა. უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენა ახალ ამოცანებს აყენებს მისი სამეცნიერო ბიბლიოთეკის წინაშე. მრავალპარტიული სისტემის შემოღებით, უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებს მუშაობის კიდევ უფრო კარგი საშუალება შეექმნათ.

უნივერსიტეტის და, საერთოდ, დამოუკიდებელი სასწავლებლების ავტონომია აუცილებლობით იყო განპირობებული. უმაღლეს განათლებაში დამკვიდრებულმა მართვის ცენტრალიზებულმა სისტემამ აშკარად ამოწურა თავისი შესაძლებლობები. ეროვნული განათლების სისტემისა და ეროვნული მეცნიერების გადარჩენისათვის აუცილებელია მართვის ახალ სტრუქტურებზე სასწრაფოდ გადასვლა. მცდარი იყო წლების მანძილზე ცენტრიდან დანერგილი გამოყენებითი მეცნიერებების უპირატესად განვითარების კურსი და, აქედან გამომდინარე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართ უყურადღებობა.

თებერვალს ბიბლიოთეკის დირექტორად დაინიშნა გიორგი ახველიდანი.

ქართული უნივერსიტეტი დაარსდა დამოუკიდებელ ეროვნულ ნიადაგზე. რა მეგვიდრეობა მიიღეს უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკარებმა ქართული ავტონომიური უნივერსიტეტისაგან? სწორედ ეს მომენტი უნდა გავითვალისწინოთ დღევანდელი უმაღლესი სკოლისა და მისი ბიბლიოთეკის როლის გარკვევისას.



ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ ქართული უნივერსიტეტი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე ოთხი თვით ადრე დაარსდა. თანამედროვე უმაღლესი სკოლის ბიბლიოთეკის როლი და ამოცანები განსაზღვრულია იმ რეალობით, რომ განათლების სისტემა უნდა ემსახურებოდეს ერის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების და დამოუკიდებლად არსებობის სასიცოცხლო ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ბიბლიოთეკის საქმიანობის ყველა საკითხი საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს შესაბამისი დაწესებულებების კომპეტენციაა. მის ფუნქციონირებას უნდა განსაზღვრავდეს ქართველი ერის ნება და მისი სახელმწიფოებრივი ინტერესები, პირველყოვლისა, მამულიშვილთა აღზრდის, ერის ერთგული, განსწავლული, მაღალხეობრივი პიროვნების ჩამოყალიბების საპატიო საქმე.

ყველა დონის სასწავლო ბიბლიოთეკის მუშაობის განმსაზღვრელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ქართული უნივერსიტეტი დაარსდა ჭეშმარიტებისა და სიმართლის სამსახურად. იგი ყოველთვის იყო "ერთიანობა მოძღვართა და დასამოძღვრთა". "ჩვენი უნიკალური კულტურა, სხვა ქვეყნების ასევე უნიკალურ კულტურებთან ერთად, მსოფლიო კულტურის განვითარების აუცილებელ ფაქტორად უნდა იქცეს" – ასეა ჩაწერილი ქართული ეროვნული სკოლის კონცეფციაში. ამასთან, სასწავლო პროცესი ხელშეუხებელია, სტუდენტის ფსიქოაზზე პოლიტიზებული ზემოქმედება დაუშვებელია. საუნივერსიტეტო ცხოვრება არ უნდა იყოფოდეს ცალკე ცოდნის შექმნისა და ცალკე აღზრდის პროცესებად. ახალგაზრდის პიროვნებად ჩამოყალიბება ერთიანი პროცესია. ყოველივე ეს გათვალისწინებული ჰქონდათ უნივერსიტეტის დამაარსებლებს, როცა ამ დიდ

საქართველო არ უნდა შეეწიროს გიგანტომანიას. უნდა ვიცოდეთ, მეცნიერების და ტექნიკის რომელ დარგებს და რა მასშტაბებით შევეჭდეთ და რომელი მათგანი დავასხოთ ჩვენთვის პერსპექტიულად. სამოთხედ ჩათვლილი ქვეყანა არ უნდა დაკაპინძუროთ რეაქტორებისა და სხვა მსგავსი საწარმოების ნარჩენებით. ცენტრიდან კარნახის სავალალო შედეგებს უნდა მიეწიროს ის, რომ ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყნის უნივერსიტეტში სულ ახლახან მოხერხდა ქრისტიანული კვლევის ლაბორატორიის გახსნა.

ჩვენი უნივერსიტეტის მისია თავისი ხალხის წინაშე – ესაა ეროვნული მეცნიერების, - ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის საგანგებო პირობების შექმნა. სწორედ აქ ჩაყვარა საფუძველი მთელ რიგ ქართველოლოგიურ დარგებს. სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს ბიბლიოთეკების დაკომპლექტების მეტად საპასუხისმგებლო საქმეც.

მეცნიერება ძიების, ექსპერიმენტის, მიგნების სფეროს განეკუთვნება. ეს კი იმთავითვე გულისხმობს მეცნიერული კვლევის მრავალპლანანობას, საკითხის დასმისა და გადაწყვეტის ყველა შესაძლო გზის გადასინჯვას. ჩვენი მეცნიერების პროვინციალურ მეცნიერებად გადაქცევის საფრთხე კი არსებობს. ამ სენის წინააღმდეგ ეფექტური გზა სწორედ უნივერსიტეტის ავტონომიაა. ავტონომიის გზაზე გაუბედავი ნაბიჯები ადრეც რამდენჯერმე გადაიდგა. ქ. იენაში (გერმანია) გამოდიოდა ჟურნალი "გეორგია", 1987 და 1988 წლებში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი ქართველოლოგიაში. ყველაფერს ამას გაძლიერება და გაღრმავება სჭირდება. ჩვენი ბიბლიოთეკის გაცვლითი კავშირები აუცილებლად უნდა გაფართოვდეს. ამ საქმეს ქართული წიგნის პროპაგანდის გარდა აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარე - იგი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შექმნის მნიშვნელოვანი წყაროა. 1920 წელს ბიბლიოთეკის მამინდელმა დირექტორმა პროფ. აკაკი შანიძემ უნივერსიტეტის პირველი გამოცემები რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, მოსკოვის უნივერსიტეტებს და ლაზარევის ინსტიტუტს გაუგზავნა 1919-1920



წლებში ბიბლიოთეკას გაცვლითი წესით 70 წიგნი მიუღია.

დღეს სამეცნიერო ბიბლიოთეკის 27 ათასამდე მითხველის განკარგულებაშია 3,5 მილიონი საბიბლიოთეკო ერთეული, ქართულ და მსოფლიოს მრავალ ენაზე ჟურნალები, გაზეთები, წიგნები, ბროშურები, დისერტაციები და მიკროფიჩები. უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას დაარსების პირველი დღიდან არ მოკლებია მისი მესვეურებისა და ხალხის ზრუნვა. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, თუ როგორ იქმნებოდა ბიბლიოთეკის ფონდები. ბიბლიოთეკისათვის წიგნების მოპოვების ინციტატორებად გამოვიდნენ, პირველ ყოვლისა, უნივერსიტეტის დამაარსებლები – ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, იოსებ ყიფშიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი და სხვები. საიდან არ მოჰქონდათ წიგნები. ბიბლიოთეკის პირველი დირექტორი აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი თავის ერთ-ერთ მოკონებაში წერდა: “შეკუდგეთ ისეთ დაწესებულებათა დაზვერვას, საიდანაც ფონდები თუ არა, რამდენიმე წიგნი მაინც შეიძლება მიგველო... ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია... უხვად გვაწვდიდა უნივერსიტეტისათვის საჭირო წიგნებს ფასით თუ უფასოდ. “დაზვერვას” ხშირად მოჰყოლია ბრძოლა შეძენის უფლებისათვის, რაც, ჩვენდა საბედნიეროდ, თითქმის ყოველთვის მშვიდობიანად და უნივერსიტეტის სასარგებლოდ თავდებოდა”. ქართულ უნივერსიტეტს ბევრი მოამაგე საზღვარგარეთაც გამოუჩნდა. ბევრი წიგნი იქნა შეძენილი საზღვარგარეთ. 1918 წელს ვახტანგ დამბაშიძემ, ხოლო შემდეგ ივანე ჯავახიშვილმა სტამბოლში შეიძინეს აღმოსავლური წიგნები. საგანგებოდ გაიგზავნა (1926) ევროპაში ფილიპე გოგინაიშვილი, რომელმაც მრავალი უცხოური ჟურნალის მთლიანი კომპლექტები შეიძინა უნივერსიტეტის წიგნსაცავისათვის.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის ფრიად ნაყოფიერი იყო მისი დირექტორების, აკადემიკოსების: გიორგი ახვლედიანის, აკაკი შანიძის, გრიგოლ წერეთლის და შალვა ნუცუბიძის მოღვაწეობის წლები. სწორედ მათი თავდადებული საქმიანობის შედეგია ის, რომ დღეს თბილისის უნივერსიტეტს დიდი ავტორიტეტის მქონე სამეცნიერო ბიბლიოთეკა აქვს, რომლის ფონდებით სარგებლობს მთელი ქვეყნის სამეცნიერო ინტელიგენცია და უცხოეთის ქვეყნებიდან სტაჟირებაზე მოუღწილი სპეციალისტები.

უმაღლესი სკოლის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ თავის მუშაობაში უნდა გაითვალისწინოს არაქართული სექტორის სტრუქტურებთან მუშაობის სპეციფიკა. მათ ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს, რომ შეუფერხებლად ჩაერთონ რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, სრულყოფილად დაეუფლონ ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას, შეისწავლონ ქართული კულტურა და ისტორია, გეოგრაფია.

აუცილებლად მიგვაჩნია უმაღლეს სასწავლებლებში 10-12 საათის ოდენობით პირველ და დამამთავრებელ კურსებზე საბიბლიოთეკო – ბიბლიოგრაფიული საფუძვლების სწავლება იქნეს შემოღებული. თუ ადრე პრობლემა იყო ამისათვის საათების გამონახვა, ამჟამად, როდესაც ბევრი ზედმეტი საგნისაგან განთავისუფლდა სასწავლო გეგმები, შედარებით შესაძლებლად მიგვაჩნია ამის გაკეთება. ბევრია გასაკეთებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად. არის პრობლემები ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეშიც. სამწუხაროდ, ჩვენს რიგებშიც ვგვხვდება თანამშრომლები, რომლებიც არ არიან მოწოდებით ბიბლიოთეკარები, არა აქვთ უნარი კონტაქტი დაამყარონ მკითხველთან, არ

ძალუთ მოიხილონ მკითხველი, შეაყვარონ წიგნი და ბიბლიოთეკა.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომამდე ბიბლიოთეკარები ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. სამწუხაროდ, 50-იანი წლებიდან დაწყებული, იცვლება ხელმძღვანელთა დამოკიდებულება ბიბლიოთეკებისადმი. მასხენდება: ერთხელ ბიბლიოთეკართა თავკრილობაზე ერთ-ერთ ბიბლიოთეკის დირექტორი ამბობდა: “ზოგიერთ ხელმძღვანელს ბიბლიოთეკის საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე ზრუნვა სრულიად შედმეტად მიაჩნია”. აკადემიკოსმა დიმიტრი ლიხაჩოვმა ასეთ ხელმძღვანელებზე დაახლოებით ასე თქვა: “ისინი ფიქრობენ, რომ რაკი ქვეყანას ასე უჭირს, წინა პლანზე ეკოლოგიური, კატასტროფების შედეგების თავიდან აცილება, დაშლილი ეკონომიკის შევლაა წამოწეული, ბიბლიოთეკები კი მოიცდიან”. ლიხაჩოვის აზრით, ბიბლიოთეკების როლის შეუფასებლობა უკულტურობის შედეგია. სამწუხაროდ, ბიბლიოთეკების მიმართ არც თუ ისე შორეულ წარსულში დამკვიდრებული უპატივცემული დამოკიდებულება დღესაც გრძელდება. ბოლო აღარ უჩანს წიგნისა და წიგნებთან დაკავშირებული დაწესებულებების თანამშრომელთა მიმართ ქედმაღლურ დამოკიდებულებას.

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობებისა, ბიბლიოთეკის თანამშრომლები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მკითხველს ბიბლიოთეკებში ნორმალური მუშაობის პირობები ჰქონდეს. უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკარები გრძნობენ, რომ ბიბლიოთეკართა დღევანდელ თაობას მეტად მძიმე პასუხისმგებლობა ზედა წილად საბიბლიოთეკო საქმის პრესტიჟის ამაღლებისათვის. ამ მისიის შესასრულებლად აუცილებელია ყველა ბიბლიოთეკარის ძალისხმევის შეკავშირება, ყველა იმათი თანადგომა, ვინც მათი საქმიანობით დაკავშირებულია საბიბლიოთეკო საქმესთან. უნდა მოვითხოვოთ ბიბლიოთეკართა პროფესიული და სოციალური უფლებების, მათი ავტორიტეტის, ღირსების დაცვა, აგრეთვე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა ყოველთვის ფართო საშეფო მუშაობას აწარმოებდა რესპუბლიკის საშუალო სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკათა, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებისათვის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნების და სამეცნიერო შრომების გადაცემით. შეგვიძლია გარკვეული დახმარება გაუწიოთ ეკოლოგიური ბიბლიოთეკის შექმნის საქმეს. ჩვენ გვაქვს ამ მხრივ კარგი ტრადიციები, გამოცდილება. მიუხედავად მძიმე ეკონომიკური პირობებისა, ჩვენ მაინც უნდა გავაგრძელოთ ამ მიმართულებით მიზანდასახული საქმიანობა. ახალ თაობებს, სკოლის მოსწავლეებს, სტრუქტურებს შევუმსუბუქოთ სახელმძღვანელოების, საერთოდ, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის დეფიციტით გამოწვეული მდგომარეობა. ასეთივე დახმარება შეუძლია გაუწიონ სკოლებს რესპუბლიკის სხვა დიდმა ბიბლიოთეკებმა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ქვეყანაში დღევანდელი რთული არასტაბილური მდგომარეობის გამოსწორების კვალდაკვალ ქვეყნის ხელმძღვანელებს მეტი საშუალება მიეცემა, სახელმწიფოს ერთ-ერთ უპირველეს ზრუნვის საგნად ბიბლიოთეკები აქციონ. ამის იმედს იძლევა ის დადგენილებები და გადაწყვეტილებანი, ის კანონები, რომლებიც მიღებულია საბიბლიოთეკო დარგში.

შოთა ავაშიძე
თბილისის ოქტომბრის რევოლუციის წახალისების ცენტრის
ფორმალური დირექტორი
სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი



ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთა ძალისხმევითა და საზოგადოების თანადგომით ბიბლიოთეკის წინადადი ფონდები კვლავაც მდიდრდება ახალი, მეტად საჭირო ლიტერატურით. სპონსორთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს გამომცემლობათა ასოციაცია, საქართველოს ტექნიკური, აშშ საელჩო, გამომცემლობა „მერანი“ – ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება. მიმდინარე წელს ბრიტანეთის საელჩომ ბიბლიოთეკას საჩუქრად 1000 ამერიკული დოლარის ღირებულების ინგლისურენოვანი ეკონომიკური და საფინანსო დარგის უახლესი ლიტერატურა გადასცა, რომელიც უშუალოდ ინგლისიდან ჩამოიტანეს. ბიბლიოთეკას ასევე სპონსორობას უწევენ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოსა“ და ჟურნალ „დილას“ ქუთაისში გამოქვეყნებული გაზეთების რედაქციები, რომლებიც საჩუქრად გადასცემენ მას მათ მიერ გამოცემულ გაზეთებსა და ჟურნალებს. საბედნიეროდ, ბიბლიოთეკას ასევე თანადგომას უცხადებენ ცალკეული პიროვნებებიც, რომლებიც უსასყიდლოდ გადასცემენ მას საკუთარ წიგნებს. სულ ახლახან საბიბლიოთეკო ფონდები შეივსო მოსკოვში ბოლო წლებში დაბეჭდილი ახალი, მეტად საჭირო სამედიცინო, იურიდიული, ეკონომიკური, უცხო ენების სახელმძღვანელოებითა და სხვა სახის ლიტერატურით.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ასევე დიდ ყურადღებას უთმობს ფონდების აღრიცხვიანობის მოწესრიგების, დაცვისა და გაწმენდის საქმეს. ამჟამად საბიბლიოთეკო ფონდების სწორი ორგანიზაციის, მისი სრულყოფილად აღრიცხვის, წიგნების ინდივიდუალურად აფასებისა და ახალ საკლასიფიკაციო ცხრილებზე გადასვლასთან დაკავშირებით სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის რიგ განყოფილებებსა და ყველა ბიბლიოთეკა-ფილიალში მიმდინარეობს წინადადი ფონდების შემოწმება, რეინვენტარიზაცია, რეკლასიფიკაცია, კატალოგების ორგანიზაცია და წიგნების აფასება.


იმის გამო, რომ ბიბლიოთეკაში დიდი რაოდენობითაა გამოწერილი საქართველოსა და მოსკოვში გამოქვეყნებული პრესა, გაიზარდა მკითხველთა რაოდენობაც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბოლო წლებში ქუთაისსა და იმერეთის მხარეში საგრძნობლად გაიზარდა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებათა რიცხვი, გაფართოვდა საქმიანი წრე, რამაც შესაბამისად გამოიწვია ბეჭდურ პროდუქციასა და ინფორმაციაზე მოთხოვნილების ზრდა, გასაკეები ხდება ბიბლიოთეკის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა. ბიბლიოთეკა სისტემატურად მონაწილეობს ქალაქში ჩატარებულ კულტურულ და სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებებში. იგი ცდილობს, განახორციელოს ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია – ხელი შეუწყოს მოსახლეობის ზნეობრივი პრინციპების ფორმირებას, მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას. ამიტომ შემთხვევითი არ არის, დღეს სამეცნიერო ბიბლიოთეკა ქალაქის სულიერების ცენტრს რომ წარმოადგენს.

ბიბლიოთეკის პოპულარიზაციის, მისი პრესტიჟის ამაღლების, საბიბლიოთეკო პრობლემებისადმი ყურადღების მიპყრობისათვის ადგილობრივი ტელევიზიის მეშვეობით ეწყობა სპეციალური გადაცემები, აგრეთვე იბეჭდება სტატიები საქალაქო, სამხარეო თუ რესპუბლიკურ პერიოდულ პრესაში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საცნობო-ბიბლიოგრაფიულმა განყოფილებამ. მუშაობის სრულყოფის თვალსაზრისით, უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საფინანსო და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ სახელეებთან დაკავშირებით, გაიხსნა ახალი რუბრიკები, პარალელურად თემატური კარტოთეკები გაიწმინდა ძველი ბარათებისაგან. იგივე სამუშაო ჩატარდა მხარეთმცოდნეობის განყოფილებაში. ამჟამად განყოფილება მუშაობას წარმართავს არა მარტო ქალაქის, არამედ იმერეთის რეგიონის მასშტაბით.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების მუშაობის ნაყოფი-

ერებაზე მეტყველებს მის მიერ სხვადასხვა დროს მომზადებული ბიბლიოგრაფიული მარჯვენებლები; მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: ქუთაისის საავტომობილო ქარხანა და მისი ადამიანები (1945-1965); ნ.ახვლედიანი - ლაღო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ანოტირებული ბიბლიოგრაფია. შემდგ. მ.სამხარაძე, (1972); პირველი ქართველი კინემატოგრაფისტი ვასილ ამაშუკელი და მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანი. ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული საძიებელი. შემდგ. ნ. ახვლედიანი, ი. ბეროშვილი, ლ. რურუა, (1977); გალაკტიონი და ქუთაისი. ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი, 1891-1973 წ.წ. შემდგ. ნ. ახვლედიანი, ნ. ტრაპაძე, (1973); რუსი და უცხოელი ავტორები ქუთაისის შესახებ (უძველესი დროიდან ჩვენს დღეებ-



მდე). ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი. შემდგ. ნ. ახვლედიანი, ნ. ტრაპაძე, (1971); ქუთაისელი ქორეოგრაფები. ბიბლიოგრაფიული საძიებელი მოკლე ანოტაციით. შემდგ. ნ. ახვლედიანი, ნ.ტრაპაძე (1974); საჯარო ბიბლიოთეკის ისტორია. შემდგ. ნ. ახვლედიანი, ი. ბეროშვილი, ლ.რურუა, ე.გოგინაშვილი, (1984); ეს შენი მშობლიური ქალაქია. მოკლე ანოტირებული საძიებელი მე-4-მე-8 კლ. მოსწავლეებისათვის. შემდგ. ნ.ახვლედიანი, ი.ბეროშვილი, ლ.რურუა (1978) და სხვ. გაკეთდა ჟურნალ „განთიადის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია.


ბიბლიოთეკის სტატუსისა და ფუნქციების გაზრდის შემდეგ სამეცნიერო მუშაობა ბიბლიოთეკის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. პირველად ბიბლიოთეკის ისტორიაში საცნობო-ბიბლიოგრაფიული და მხარეთმცოდნეობის განყოფილების ერთობლივი ძალისხმევით მიმდინარეობს ქუთაისში გამოქვეყნებული რეკლამული პერიოდის გაზეთების - „ფონი“ (1909) „კოლხიდა“, (1911), „იმერეთი“, (1912), „სიმათლის ხმა“, (1914) ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერული თვალსაზრისით. სამეცნიერო საქმიანობას უძღვება სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს ა.წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, აკად. აეთანდლი ნიკოლეიშვილი. საბჭოს წევრები არიან ქალაქის საზოგადოებისა და სამეცნიერო ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები.

საფუძველი ჩაეყარა ღონისძიებათა ციკლს „ილიას საუბრები“. შეხვედრების დროს მსჯელობა მიმდინარეობს ილიას მოღვაწეობის პერიოდისა და დღევანდელ პირობებში ქართველი ერისათვის მეტად საჭირობო და მტკივნეულ საკითხებზე, როგორცაა რელიგიის, ეროვნული იდეოლოგიის, ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, განათლების, ეკონო-



მივისა და სხვათა ურთიერთობების კანონზომიერებანი. ყოველი შეხვედრა განისაზღვრება კონკრეტული თემატიკით. მზადდება მასალები ილია ჭავჭავაძის კაბინეტის გასახსნელად.

ძალზე მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკის მეთოდური ფუნქცია. ბიბლიოთეკა მეთოდურ დახმარებას უწევს ქუთაისში და, საერთოდ, იმერეთში არსებულ სხვა უწყებრივ ბიბლიოთეკებსაც. ინდივიდუ-



ალურად მუშაობს მცირე გამოცდილების ბიბლიოთეკარების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სამეცნიერო-უნივერსალურ ბიბლიოთეკას საქმიანი ურთიერთობები აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე ქალაქის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან და სხვა ტიპის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან. მათთან ერთად ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ ორი წლის წინ დააარსა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მხარდამჭერი საერთაშორისო საზოგადოება - „V I A - იუნესკოს მეგობრები“, ბიბლიოთეკა ხშირად იღებს მონაწილეობას არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში. იღება ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები. ასე მაგალითად, საქართველოს გამომცემელთა ასოციაციის მიერ სამეცნიერო-უნივერსალურ ბიბლიოთეკაში 1999-2000 წლებში რამდენჯერმე მოეწყო გამოფენა ახალი წიგნებისა, რომლებიც შემდგომში ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა.

თანამედროვე ბიბლიოთეკები ნაციონალური ინფორმაციული ინფრასტრუქტურის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სულ უფრო იზრდება მკითხველის მოთხოვნილება სწრაფ და ამომწურავ ინფორმაციაზე. ამის გაკეთება კი ტექნიკის გარეშე წარმოსაუძლებელია. ბიბლიოთეკამ ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაწყვიტა. ბიბლიოთეკის შესაბამისი სტრუქტურის მიერ მომზადებულმა პროექტებმა გაიმარჯვეს სხვადასხვა ფონდების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში და სულ ახლახან იაპონიიდან ბიბლიოთეკამ მიიღო ასლგადამღები აპარატი და ფაქსი. ასევე სულ მალე ბიბლიოთეკას გადმოეცემა ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, რაც თანდათან შეუწყობს ხელს საბიბლიოთეკო პროცესების კომპიუტერინაზიას.

მუშაობის ერთ-ერთი მიმართულებაა აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთკავშირები. სულ უფრო ღრმავდება ბიბლიოთეკის საერთაშორისო კონტაქტები. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის ინიციატივით ქუთაისთან დაძმობილებულ ისრაელის ქალაქ აშკელონში ურთიერთგაცვლის წესით 469 წიგნი გაიგზავნა ქართული ბიბლიოთეკის გასახსნელად, რაც თავისთავად უდიდეს კულტურულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

თანამედროვე პირობებში ბიბლიოთეკა ცდილობს არა მხოლოდ შეინარჩუნოს თავი, არამედ ეძებს კიდევ გზებს განვითარებისათვის.

ამაში ლომის წილი მიუძღვის ბიბლიოთეკის კოლექტივს.

ბიბლიოთეკარებს არ სურთ დათმონ თავისი პოზიციები და ახლაც ძირითადად გულისკარნახით მუშაობენ; სათანადო უკუკვება ხელფასის სახით არც არასოდეს ჰქონიათ, მით უფრო ახლა, როცა ასეთი დაბალი ცხოვრების დონე. ამიტომ დღეს ბიბლიოთეკები, მათ შორის ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკა და მისი ფილიალები წესიერ, თავისი საქმის მოყვარულ, მკითხველებისათვის თავდადებულ ბიბლიოთეკარებს ეყრდნობიან.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ბიბლიოთეკას მუშაობა უხდებოდა ქვეყანაში არსებულ უძიმეს ფინანსურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბიბლიოთეკის საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებელი მაინც ყველაზე აქტუალური იყო. სწორედ ახლაა აუცილებელი საბიბლიოთეკო მოღვაწეობის სრულყოფის მოფიქრებული სისტემა, რომლის აგება შეუძლებელია არსებული სიტუაციის ანალიზის გარეშე. უნდა ვაღიაროთ, რომ ბიბლიოთეკები დღეს იტანჯებიან არა მარტო 90-იანი წლების ღრმა კრიზისით, არამედ საკუთარი უმწევით და არასაკმარისი პროფესიონალიზმით, განსაკუთრებით მართვის სფეროში, რაც გულისხმობს დაგეგმვისა და ანგარიშგების ფუნქციებს, ძირითად ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

სრულად არასაკმარისია საბიბლიოთეკო ფონდების შევსება ახალი, მეტად საჭირო ლიტერატურით; პრობლემატურია ბიბლიოთეკის უნიკალური, რეკოლუციამდელი პერიოდული პრესის აკინძვა, რესტავრაცია, ბიბლიოთეკართა სოციალური დაცვა და მატერიალური სტიმულირება და სხვ. საბიბლიოთეკო საქმის შესახებ არსებული კანონის არასრულყოფილება, საბიბლიოთეკო დარგის განვითარების თაობაზე საჭირო ნორმატიული დოკუმენტების არარსებობა ამუხრუჭებს საბიბლიოთეკო საქმის სრულყოფას.

საბიბლიოთეკო საქმის სწორი ორგანიზაციის, პირველ რიგში გადასაწყვეტ პრობლემათა მოწესრიგებისათვის ბიბლიოთეკა ამუშავეს ძირითად პრიორიტეტებს, რომლებიც საფუძვლად ედება



სამუშაო გეგმებს; პრიორიტეტების რეალიზაცია ხდება პროგრამების სახით. გვახარებს ის ფაქტი, რომ კულტურის სფეროს დაწესებულებათა საყოველთაო გაჭირვების ფონზე, ჩვენი ბიბლიოთეკები არცთუ ურიგოდ გამოიყურება.

გულნარა ჟიკაშვილი

ქუთაისის ი.ჭავჭავაძის სახ. სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის დირექტორი

მოგაკლის განჭვრებით... აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა


როცა არსებულს აფასებენ, წარსულის ხედსაც გადაავლებენ თვალს. ამიტომაც არ შეიძლება დღეს, როდესაც აჭარაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობაზე ვლაპარაკობთ, არ გავიხსენოთ თუნდაც ახლო წარსული, საუკუნოვან გზაზე რომ არაფერი ვთქვათ.

პირველი ბიბლიოთეკები აჭარაში სასწავლებლების საქმიანობასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, მდაბიო ხალხისა და მუშებისათვის ღია ყოფილა მჭველიძის კერძო სასწავლებელთან არსებული ბიბლიოთეკა, რასაც „კაკალი“ გვატყობინებს 1895 წელს. ეტყობა, ეს სრულებითაც ვერ აკმაყოფილებდა მაშინდელ მოთხოვნილებებს და 1896 წ. დ. კლდიაშვილის, მ. შარაშიძისა და ტ. წერეთლის თაოსნობით საკმაოდ დიდი თანხა შეგროვებულა იმისათვის, რომ ბათუმის საქალაქო სასწავლებელთან უფასო საჯარო ბიბლიოთეკა გახსნილიყო. მაგრამ არც ეს იყო საკმარისი. ქალაქის გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო როგორმე ერთი დამოუკიდებელი ბიბლიოთეკა მაინც დაარსებულიყო. ამ ოცნებას ფრთები 1900 წელს შეეხსა, როდესაც ნურიის ბაზართან (ამჟამად ხელოვნების მუზეუმის ტერიტორიაზე) პირველი სახალხო ბიბლიოთეკა-სამეთხველო გაიხსნა. 1902 წ. მ. მხეიძის, ვის სახელზეც იყო გახსნილი ეს ბიბლიოთეკა, ქუთაისში გადასვლის გამო, არსებული წესების თანახმად, ბიბლიოთეკა დაინხურა, მაგრამ იმავე წელს ეს ბიბლიოთეკა გადაკეთდა თუ ახალი გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკის სტატუსით, ბათუმის მოსახლეობას კვლავ გაუზნდა საშუალება საბიბლიოთეკო მომსახურებით ესარგებლა. ასე ჩაეყარა საფუძველი დღევანდელ აჭარის უმთავრეს ბიბლიოთეკას.

თავდაპირველად ბიბლიოთეკა იმავე უბანში ერთსართულიან შენობაში იყო მოთავსებული. 1937 წელს მას მიენიჭა აკაკი წერეთლის სახელი. 1959 წელს გარდაიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკად და რეგიონში საბიბლიოთეკო მუშაობის კოორდინაციისა და მეთოდურ-პრაქტიკული დახმარების ცენტრად. 1959-1963 წლებში ძველ შენობას რეკონსტრუქცია გაუკეთდა და დამატებითი სასვები ახალი ნაგებობა მიუშენდა, რომლის საერთო ფართობი 1.500 კვ. მეტრს შეადგენს. მაგრამ მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო და ბიბლიოთეკა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა – დაკარგა თავისი პირვანდელი სახე და ელვარება. ამიტომაც ორიოდე წლის წინ ბიბლიოთეკას კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა. ამჟამად ის ერთ-ერთ საუკეთესო მდგომარეობაში მყოფ დაწესებულებას წარმოადგენს, რაც ასე უცხოა ჩვენი დღევანდელი ფინანსური კრიზისის პირობებში. ამდენად კიდევ უფრო დასაფასებელია ადგილობრივი ხელისუფლების ზრუნვა, რასაც ის ბიბლიოთეკის მიმართ იჩენს.

1998 წლიდან ბიბლიოთეკაში დაიწყო და განხორციელდა მისი

სრული რეორგანიზაცია – შემუშავდა და დამტკიცდა ახალი დებულება, გარდაიქმნა სტრუქტურა, მოწესრიგდა საშტატო განრიგი, გაუმჯობესდა შრომის პირობები. რეორგანიზაცია შეეხო ყოველ განყოფილებას, რომლებსაც ახალი დებულებები შემუშავდა, რაციონალური გახდა მუშაობის რეჟიმიც. ვიდრე ტრადიციული ნორმატივები არსებობდა 1991 წლამდე, ბიბლიოთეკა კვირაში 6 დღეს მუშაობდა 10 საათიდან 21 საათამდე და ორშაბათს ჰქონდა გამოსასვლელი დღე. 1992-1997 წლებში იგი იმავე დღეებში მუშაობდა, მაგრამ მხოლოდ 18 საათამდე. 1998 წლის 1-ლი იანვრიდან კვლავ შეიცვალა გრაფიკი – დღიური მუშაობის საათები იგივე დარჩა, მაგრამ ბიბლიოთეკა ყოველ დღე ემსახურება მკითხველებს გამოსასვლელი დღისა და შესვენების საათების გარეშე. ყოველივე ეს კეთდებოდა იმ მოთხოვნილებების შესაბამისად, რაც დროისა და ვითარების კარნახით იყო გამოწვეული. ამან თავისთავად განაპირობა მკითხველთა მოზიდვა ბიბლიოთეკაში. ყოველდღიურად საშუალოდ 400-მდე მკითხველი სარგებლობდა ბიბლიოთეკის მომსახურებით.



ბიბლიოთეკის ფონდი 363.400 ერთეულს შეადგენს. აქ თავმოყრილია უძლიერესი ლიტერატურა, რომელიც სხვადასხვა ქალაქებში, სხვადასხვა ენებზე და სხვადასხვა დროსაა გამოცემული. მათი განთავსება დიფერენცირებულად ხდება. ცალკე გამოყოფილი ქართული, რუსული, სხვა უცხოური ლიტერატურა, იშვიათი და უნიკალური გამოცემები, საცნობო-ბიბლიოგრაფიული ფონდი, მხარეთმცოდნეობითი, სანოტო-მუსიკალური წიგნები და პერიოდული გამოცემები. ისინი 6 საცავშია თავმოყრილი და მათი გამოყენება, გარდა აბონემენტისა, 3 სამეთხველო დარბაზშია გათვალისწინებული – საერთო, პერიოდულ და უცხოური ლიტერატურის დარბაზებში.

2000 წლისათვის ბიბლიოთეკა 105 დასახელების ჟურნალ-გაზეთებს ღებულობდა. 54-ს თბილისიდან, 31-ს მოსკოვიდან, დანარჩენი – ადგილობრივი გამოცემებია. როგორც ავტონომიური რესპუბლიკის უმთავრესი ბიბლიოთეკა, იგი აგრეთვე მთელი მხარის წიგნსაცავსაც წარმოადგენს და ამიტომაც ფონდების შეესების დროს განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივი გამოცემებს ეთმობა. საგულისხმოა, რომ ბიბლიოთეკა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთებისა და აჭარაში გამოცემული წიგნების 3-3 ეგზემპლარს უფასოდ ღებულობს. ეს უდავოდ დიდი მსწვევაა, მით უმეტეს, რომ ქვეყანას ჯერ კიდევ არა აქვს გამოცემათა სავალდებულო ცალკების კანონი, რომელიც დაარეგულირებდა ამ მოვლენას. ამის გარდა, ფონდი ივსება ავტორთა მონაძლევნითა და სხვადასხვა ორგანიზაცია – დაწესებულებებისა და გაერთიანებთა შემოწირულობებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მიერ გადმოცემული ლიტერატურა, აგრეთვე წიგნების დიდი პარტია საზოგადო-



ება "მამულისაგან", რომლის პრეზიდენტი თემურ კობახიძე, დიდი ბრიტანეთის ელჩმა ბატონ რიჩარდ ტომას ჯენინსმა 97 დასახელების 219 ინგლისურენოვანი წიგნი გადასცა ბიბლიოთეკას, გერმანიიდან გოეთეს ინსტიტუტის მიერ ფონდი შეიქმნა ძირითადად გერმანულენოვანი პერიოდიკით. 1999 წ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან 400 წიგნი იქნა მიღებული, საქართველოს გამომცემელთა ასოციაციიდან - 137 და სხვ.

მიუხედავად შედარებით წარმატებისა, დაკომპლექტების მდგომარეობა მთლიანად, ალბათ, მეტ ორგანიზებულობას მოითხოვს. გასაუმჯობესებელია დაკომპლექტების გეგმიურად წარმართვის პროცესი, რის გარეშეც არ შეიძლება ბიბლიოთეკას ჩაეარდნები არ ჰქონდეს და ბევრი მეტად მნიშვნელოვანი გამოცემა არ აკლდეს; ეს ნაკლი დღეს საერთოა საქართველოს ბიბლიოთეკებისათვის, მაგრამ აჭარის უმთავრეს ბიბლიოთეკას აქვს პირობები, მლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, გააუმჯობესოს დაკომპლექტების გეგმიურად წარმართვის საქმე. დღეს ამის გაკეთება ახალი ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე შეუძლებელია, აქ კი ამ მხრივ მხოლოდ მოკრძალებული საწყისი ნაბიჯებია გადადგმული.

ბიბლიოთეკა აქტიურად ეწევა კულტურულ-საგანმანათლებლო მასობრივ საქმიანობას. განმკურნებით საყურადღებოა მის მიერ ჩატარებული კონფერენციები და სემინარები, როგორც საერთაშორისო, ისე რესპუბლიკური; იგი ხშირად ატარებს ღონისძიებებს, როგორცაა ახალი წიგნების პრეზენტაცია, შეხვედრები მეცნიერებთან და მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და სხვ., აწყობს ლიტერატურის გამოფენებს. ყოველივე ეს, უპირველეს ყოვლისა, ეძღვნება საიუბილეო და მნიშვნელოვან თარიღებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ღირსშესანიშნაო იყო გამოფენები, რომლებიც მიეძღვნა ვ. გაფინინაშვილს, გ. ლეონიძეს, რომერტ ბერნსს, შექსპირს, იოსებ გრიშაშვილს, ბალზაკს, პაოლო იაშვილს, გრიგოლ ორბელიანს, გალაკტიონს, ტერენტი გრანელს, ა. გრიბოედოვს, ბესიკს, დავით აღმაშენებლის ზეობას, შოპენს, ტიციან ტაბიძეს, ალფონს დოდეს, სოლომონ დოდაშვილს, აკაკი წერეთელს, ვ. მაიაკოვსკის, ნ. ლორთქიფანიძეს, იაკობ გოგებაშვილს, მიხეილ ჯავახიშვილს, ალექსანდრე დიუმასა და მრავალ სხვას. დიდი რაოდენობით წიგნები იქნა გამოფენილი სხვადასხვა თემატიკით - "ღირსეული მამულიშვილები", "საქართველო, ღამაზო!", "უცხოეთშიც საქართველოზე ფიქრობენ", "ჭოროხს მუწამულ ზღვაში უვლია" და სხვ.




აშკარად ჩანს, რომ ბიბლიოთეკა დიდ სამსახურს უწევს ადგილობრივი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეს. ისეთი გამოჩენილი მწერლების გვერდით, როგორებიც არიან ფრ. ხალვაში, ნ. გვარიშვილი - ბევრი ღონისძიება ახალგაზრდა შემოქმედთა და მათ მიერ გამოცემულ წიგნებს მიეძღვნა.

ჩატარებული ღონისძიებების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ბიბლიოთეკა უდიდეს საქმეს აკეთებს აჭარაში წიგნიერი გარემოს შექმნისათვის. განუსაზღვრელია ამ ღონისძიებათა მასშტაბები - იგი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებს ეხმაურება. ბიბლიოთეკა კარჩაკეტილად რომ არ მოქმედებს, ამას ადასტურებს ის კავშირები და ურთიერთობები, რომელიც მას საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქვს. მნიშვნელოვანია, რომ აქ ინერგება საერთაშორისო ღონისძიებების ტრადიცია. ასეთია, მაგალითად, შეხვედრა ბერლინის კუმპოლდტის უნივერსიტეტის პროფ. ენგელბერტ პლასმანთან, ინგლისური ენის მასწავლებელთა მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია. წარმატებულად უნდა ჩაითვალოს ის საქმიანობებიც ბიბლიოთეკას დამყარებული აქვს უცხოეთის წარმომადგენლებთან, კერძოდ, აშშ, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის საელჩოებთან. მათი მეშვეობით ბიბლიოთეკას მრავალი პერიოდული გამოცემა აქვს მიღებული. მჭიდრო კავშირია დამყარებული რუსეთის სახელმწიფო და ეროვნულ ბიბლიოთეკებთანაც.



ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი ბიბლიოთეკა აჭარაში არსებული ყველა სახისა და უწყების ბიბლიოთეკათა კოორდინატორია. საყოველთაოდ ცნობილია, უსახსრობის დროს რაოდენ მწილია ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მასობრივ ბიბლიოთეკასთან პირადი კონტაქტების დამყარება მეთოდური მუშაობის საწარმოებლად. მიუხედავად ამისა, დრო და დრო მაინც ხერხდება საქმიანი შეხვედრების გამართვა, როგორცაა, მაგალითად, სემინარები. აჭარაში საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ამოცანების შემუშავებასა და ხელშეწყობის საკითხებს შეხებოდა ისეთი მეთოდური ღონისძიება, როგორც იყო სემინარი თემაზე "საქართველოში საბიბლიოთეკო სისტემის განვითარებისა და ინფორმაციულ-მეთოდური უზრუნველყოფის პრობლემები", რომელშიც თბილისიდან ჩამოსული 12 სპეციალისტი მონაწილეობდა.

ბიბლიოთეკა წარმატებით ეწევა თავისი საქმიანობის პოპულარიზაციას, რისთვისაც იყენებს ადგილობრივ პრესასა და ტელე-



ვიზიას. დიდი ხანი არაა, რაც მან დაარსების 95 წელი იდღესასწაულა, რასაც მიუძღვნა საკმაოდ მაღალხარისხის მქონე გამოცემული ბროშურა. მასში ამომწურავადაა მოცემული ბიბლიოთეკის მიხედვით საქმიანობა.

თანამედროვე პირობებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. ეს დიდადაა დამოკიდებული ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების ყურადღებასა და მხარდაჭერაზე. ამ მხრივ ბიბლიოთეკა საუკეთესო მდგომარეობაშია. საქმარისა და ვასახელოთ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1998 წლის გადაწყვეტილება აჭარაში გამოცემული ბეჭდური პროდუქციის გადანიჭილების შესახებ. ხელისუფლების, კულტურისა და განათლების ცენტრებისათვის. განსაკუთრებულად ნაყოფიერია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის გაბუდმებული ზრუნვა და დახმარება. პროფ. თეიმურაზ კობახიძე, რომელიც მეტად რთულ თანამდებობას წარმატებით უთავსებს მეცნიერულ მოღვაწეობას, საქართველოში ცნობილი ბიბლიოფილი და კულტურის დაცვის მემკვიდრე ქობია. მისი ინიციატივით არაერთი მნიშვნელოვანი რამ გაკეთებულა ბიბლიოთეკისათვის.

სხვადასვა დროს ამ სახელოვან დაწესებულებას საყოველთაოდ ცნობილი მოღვაწეები ხელმძღვანელობდნენ - მ. გუსევა, ნ. გვარამია, ჯ. ჯაყელი, მ. ბერძენიშვილი, ე. ცივაძე, ს. ჯორბენაძე. ამჟამად წარმატებით უძღვება ისტ. მეცნ. კანდ. გენადი მახარაძე.

ბიბლიოთეკა უაღრესად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს - გარეგნულად მშვენიერ ფსიქოლოგიურ გარემოს ქმნის. სისუფთავე, სიწყნარე,

ლამაზი გაფორმება, მომსახურე პერსონალის თავანობა და გულისყური - სრულყოფილ პირობებს ქმნის წიგნზე მუშაობისათვის. აქ სასურველი სამსახურებრივი ატმოსფეროა, ყოველივე თავისი რიგით მიდის, მაგრამ დღევანდელი ბიბლიოთეკა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ იმით, რა იყო და ახლა რა არის, არამედ იმით, თუ რა პერსპექტივები გააჩნია. პერსპექტივებს აწყო განსაზღვრავს - რა კეთდება დღეს სამომავლოდ.

ამ თვალსაზრისით არ შეიძლება გული არ გვატკინოს სიახლეთა დანერგვის არსებულმა ტემპებმა. ძნელად მიდის საქმე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მხრივ. ვერ დავიჯერებთ, რომ ბიბლიოთეკას აქამდე არ ჰქონდა იმის პირობები,

კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება დაეწყო, ახალგაზრდა კადრების მომზადებაზე ეზრუნა. უკვე 5 წელია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტში მზადდებიან ბიბლიოთეკარები უცხო ენის სპეციალიზაციითა და გაძლიერებული კომპიუტერული სწავლებით, მაგრამ არც ერთი სტუდენტი აჭარიდან არ მომზადებულა. დღეს ბიბლიოთეკა ფასდება არა იმდენად ბიბლიოთეკის ფონდების სიმრავლით, რამდენადაც მომხმარებელთა ინფორმაციული უზრუნველყოფით, რაც თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გარეშე წარმოუდგენელია. ამ მიმართულებებით პრობლემები საკმაოა. ბიბლიოთეკების საანგარიშო მასალების ანალიზისას, სამწუხაროა, რომ ამაზე ვერაფერს ნახავთ; ეს არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩეს.


რაც არ უნდა ენერგიულად იმუშაოს ბიბლიოთეკამ, როგორადაც არ უნდა ეცადოს, აამაღლოს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც არ უნდა ჩაატაროს და რა ღონესაც არ უნდა მიადწიოს, თუკი ის მხოლოდ ტრადიციული მეთოდებისა და ფორმების აშარად რჩება და ახლე-

ბურ ტექნოლოგიებს არ მიმართავს, სიახლეებს არ ენერგავს, თუ არ ახდენს მატერიალურ-ტექნიკური პირობების გარდაქმნას, ფეხს ვერ უბამს თანამედროვე მოთხოვნილებებს და სისტემატურად არ ახდენს კადრების პროფესიონალიზაციას, ძნელია ამგვარმა ბიბლიოთეკამ მომავალში რაიმე წარმატებას მიადწიოს. ის განწირულია ჩამორჩენისათვის. ადგილზე დგომა, დღეს, ვიდრე არასდროს, ჩამორჩენას ნიშნავს.

რამდენადაც ვიცით, ეს კარგად ესმის ბი-

ბლიოთეკის ხელმძღვანელობას და კიდევ დგამს ნაბიჯებს, რაც უდავოდ იმედის მანიშნებელია. მაგრამ საჭიროა უფრო ენერგიული და გვემამეწონილი მოქმედება. აუცილებელია არსებობდეს მოქმედების კონკრეტული პროგრამა და გვემა, რაც უფრო მაღალი შედეგების მიღწევების საწინდარი იქნება.

მასალა მოწოდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის, მეცნ. კანდ. გენო მახარაძის მიერ. სტატია წარმოადგენს მასალის სარედაქციო დაბუშვებას.




ჩვენი ბიბლიოთეკები: მათი მდგომარეობა ახალი საუკუნის დასაწყისში

**ზოგი რამ თელავის
საბიბლიოთეკო
ცნობრებიდან**

თელავში ბიბლიოთეკა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაარსდა. მას სულ სხვა შენობა ეჭირა მამინ ქალაქის ცენტრში. უძველესი ფონდის ეგზემპლარები რარიტეტების სახით დღემდე შემონახულია ბიბლიოთეკაში. ახლანდელი ბიბლიოთეკის დირექტორის - მაყვალა წივლაურის წინამორბედი ქალბატონი ლეილა მირიანაშვილი გახლდათ, რომლის განათლებამ, ჰუმანურობამ, მკითხველებთან მუშაობის სტილმა და სწორად წარმართულმა საქმიანობამ საფუძველი ჩაუყარა ბიბლიოთეკის წარმატებულ წინსვლას და ავტორიტეტს. სოფლის ბიბლიოთეკებთან (სულ 27 სოფლის ბიბლიოთეკა) სწრაფი კონტაქტისა თუ სხვა საბიბლიოთეკო საქმიანობისათვის ბიბლიოთეკას ემსახურებოდა ტრანსპორტი. თითოეულ სემინარს წინ უძღოდა აქტიურ მკითხველთა მონაწილეობით მოწყობილი დიდი ღონისძიებები. თელავის ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები იყვნენ საქართველოს და რუსეთის საბიბლიოთეკო დარგის ცნობილი სპეციალისტები. აქ ტარდებოდა რესპუბლიკური და საკავშირო მასშტაბის სემინარები. თელავის ბიბლიოთეკის წარმომადგენლები ხშირად მონაწილეობდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ რესპუბლიკური ხასიათის ღონისძიებებშიც. 90-იან წლებამდე ბიბლიოთეკას საშუალება ჰქონდა დაეკომპლექტებინა ფონდი და გაემდიდრებინა იგი სასურველი ახალი ლიტერატურით... ასე მიაღწია მან 70 ათას (მთელს რაიონში კი - 500.000 ეგზ.) წიგნად ფონდს.

**ამ პატარა ბუდეში სულის დიდი საზრდოა
(ბიბლიოთეკის დღევანდელი შენობა)**

1975 წელს ბიბლიოთეკას გადაეცა ახალი შენობა, რომელიც ამჟამად უჭირავს და მოიცავს 420 კვ.მ. ეს სათავსო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზეა განთავსებული. მაგრამ მისი მოპირკეთებული ფასადი, შემადგენელი ადგილიდან ისე მომხიბლავად გამოიყურება, რომ ერთი შეხედვით დამოუკიდებელი შენობის შთაბეჭდილებას ტოვებს. აღნიშნული ფართობი, რასაკვირველია, ცოტაა ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკისათვის, რომელიც 35 ბიბლიოთეკას კურირებს, მაგრამ, მაქსიმალურად, რაციონალურად არის ათვისებული, კაბინეტები, განყოფილებები, საცავები - მომგებიანად განთავსებულ-განლაგებული. ესეთიური თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბიბლიოთეკის ინტერიერის ყოველი კუნჭული, თავისი გამწვანებით, სადა, უბრალო, მაგრამ გემოვნებით გაწყობილი ავეჯით, დიზაინით.



**ზინ მართავს
ბიბლიოთეკას...
ანუ ეს მიზიდველი,
პატარა ქალბატონი**

იგი პროფესიით მათემატიკოსია. ბიბლიოთეკაში შემთხვევით მოხვდა, მათემატიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ უმუშევარი რომ არ დარჩენილიყო, აქ დაიწყო მუშაობა. უნდოდა სამეცნიერო ხაზით წარმართა თავისი მომავალი კარიერა, მაგრამ ყოველდღიურმა საბიბლიოთეკო საქმიანობამ ამის საშუალება არ მისცა. იმ ხანებში ცენტრალური ციხის დაიწყო, უამრავი მოსაწყისრიგებელი საქმეც გამოჩნდა, რასაც ვერ გაექცეოდა. ასეთი იყო მისი ბუნება: საქმე უნდა ეტვირთა და გასაკეთებელი გაეკეთებინა. არ ეგონა, ასეთი შრომატევადი თუ იყო საბიბლიოთეკო საქმიანობა. წიგნების კითხვის სიყვარული ერთია, მაგრამ კარგად ააწყო საბიბლიოთეკო საქმე, ეს სულ სხვა რამ ყოფილა. ინტერესმა და საქმის დაძლევის სურვილმა აიყოლია და ღრმად შეასწავლა საბიბლიოთეკო სპეციალობა, მალე მეთოდური განყოფილების უფროსადაც დაინიშნა.

“ნიჭიერი ყოფილა ეს პატარა ქალი. - ვეფიქრობდით ჩვენ, როდესაც მის საზრიან მუშაობას ვუყურებდით”, - იგონებენ გასული წლების თანამშრომლები. დიას, უკვე ეჭვი არავის ეპარებოდა, პატარა ქალბატონის - მაყვალა წივლაურის უნარსა და შესაძლებლობებში. მალე იგი თელავის ცენტრალური სარაიონო ბიბლიოთეკის დირექტორი გახდა. ბიბლიოთეკის ჭირ-ვარამზე ფიქრი, საქმისადმი შემოქმედებითად მიდგომა და ერთუხიანში, კოლეგებისა და მკითხველებისადმი გულთბილი დამოკიდებულება, მათზე ზრუნვა - აი, ის თვისებები, რომლებმაც მაყვალა წივლაურს ავტორიტეტი მოუპოვა მთელს რაიონში. ეს სანიშნოდ აწყობილი ბიბლიოთეკა, ნებისმიერ მკითხველს რომ ხიბლავს არა მარტო წიგნადი ფონდის სიმდიდრით და მომსახურებით, არამედ სილამაზით, სისუფთავით, წესრიგით, ქალბატონი მაყვალას ზრუნვის, მისი შემოქმედებითი ნიჭის შედეგია.


საკუთესო სპეციალისტი და ორგანიზატორი, დირსების ორდენის კავალერი - მაყვალა წივლაური ასეთივე ნიჭიერი დიასახლისია, ორი ფრადოსანი ქალიშვილის დედაა, საყვარელი და ერთგული მეუღლე, მზრუნველი რძალია და ყოველივე ამასთან ერთად, იგი საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ასწრებს: ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს - ქალბატონ მაყვალას ბევრი საქველმოქმედო საქმე აქვს გაკეთებული და გასაკეთებელიც... მას მოეწონა თელავის “სათნოების სახლში”, სადაც ასამდე მზრუნველობას მოკლებული ადამიანი ცხოვრობს. ქ-ნ მაყვალას შესწავლილი აქვს თელავის ინვალიდთა საზოგადოება. ხშირად უგზავნის მათ ინფორმაციებს, აწვდის საკითხავ წიგნებს, აწვობს მათთვის საღამოებს და სონსორებთან მოპოვებული სახსრებით მცირედი ნობათითაც ასაჩუქრებს მათ.

როგორ დამთავრდა დარბაზის მოპოვების ცდა

ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის შენობის გვერდით “საჩაიე” იყო. დროთა განმავლობაში იგი თავისთავად გაუქმდა. ბიბლიოთეკის საკითხველო და-



ჩვენი გიგლიოთეკა: მათი მდგომარეობა ახალი საუკუნის დასაწყისში



რბაზის სიეწროვით შეწუხებულ მაყვალა წიკლაურს ეს მომენტი არ გამოპარვია და აღნიშნული ფართის მოსაპოვებლად მოღვაწეობა დაიწყო. ჯერ რაიადმასკომს მიმართა (ასე ერქვა მაშინდელი ქალაქის გამგეობას), ეს საქმე საქართველოს ვაჭრობის მინისტრსაც ეხებოდა, მისი ნებართვაც იყო საჭირო. ქალბატონმა მაყვალამ პატარა ეშმაკობა იხმარა და ბატონ ელდარ შენგელაიას (იგი უფრო ადვილად სანახავი იყო კინოს სახლში) დახმარება სთხოვა, ვაჭრობის მინისტრზე გადასაცემი განცხადება დაუტოვა. ბატონმა ელდარმა საქმე მალე “ჩააწყო” – მინისტრის დადებითი რეზოლუციით განცხადება თელავში მოაფრიალეს, მაგრამ თურმე საქმოსნები უფრო კარგად მოქმედებდნენ, აღნიშნული “საჩაიე” პრევატიზაციის სიაში აღმოჩნდა! რა თქმა უნდა, ბიბლიოთეკამ მისი ყიდვა ვერ შესძლო...

ამ ეპიზოდში მთავარი ის არის, რომ ბიბლიოთეკის დირექტორი თავის ტერიტორიის გაფართოებისათვის იღვწის, “წართმევით კი ვერაფერს წაგვართმევს, არც ერთ მტკაველს ჩვენ არავის არ დაეუთმობთ!”- ასეთია მისი გადაწყვეტილება.

თელავის გიგლიოთეკას შიგნით... ქურდები!


ეს იყო 1996 წელს. ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკა გატეხეს. დირექტორის კაბინეტიდან ტექნიკა და ინვენტარი წაიღეს. შემდეგ წიგნის “ნამდვილი” ქურდები ახალგაზრდულ ბიბლიოთეკას მიაღწენ. იქიდან ძვირფასი წიგნები გაიტანეს. პოლიცია გულგრილი აღმოჩნდა ბიბლიოთეკის დაცვის საკითხისადმი, ამიტომ დირექტორმა მაყვალა წიკლაურმა სხვა გზა გამოიხატა; ჯერ იყო და, ქსელში არსებული ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს ძვირფასი ღირებულების წიგნები სახლებში გაატანინა, შემდეგ კი შეაწუხა და დაიბარა რაიონის ხელმძღვანელობა და მათი დახმარებით თითოეულ ბიბლიოთეკას რეინის გისოსები შემოავლო. გადამალული წიგნები საცავეებს დაუბრუნეს...

ახალგაზრდული ბიბლიოთეკის ქურდი პოლიციამ დაიჭირა, საუბედროდ, იგი ერთ-ერთი მკითხველი აღმოჩნდა, მიმდინარეობს სასამართლო...

რელიგია და გიგლიოთეკა

რელიგიის თემით დაინტერესებულ მკითხველთა შეკითხვებს არ ვარიღებია ბიბლიოთეკა. ჯერ კიდევ 90-იან წლებში მამინდელი რაიონის მესამე მდივანთან ერთად მოაწყო საშობაო საღამო. ერთად იყვნენ ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლები და პარტიული მუშაკები. ბიბლიოთეკაში გამართულ საღამოს სამოქალაქო იერი ჰქონდა, მაგრამ გაიჭრა ნაცის და გაქრა იმ უხერხულობის კომპლექსი, რომელიც წლების განმავლობაში სუფევდა სამოქალაქო საზოგადოებასა და ეკლესიას შორის. მოძღვარი მკითხველთა ფართო საზოგადოებას ესაუბრა, რელიგი-

ური ინფორმაცია მიაწოდა. კონტაქტები თანდათანობით მყარდებოდა და მჭიდროვდებოდა. კითხვა-პასუხის საღამოები რელიგიურ თემებზე ამაღლებდა მკითხველის ცოდნას და აფართოებდა თვალსაწიერს. გასულ წელს მარიამობის მიძინების დღესაც ყავდათ მიწვეული მოძღვარი. საუბარი იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობის როლზე საქართველოს კულტურის ისტორიაში. რელიგიასა და რელიგიურ თემებზე საუბრის ტრადიცია გრძელდება.




გიგლიოთეკა – კულტურული მოღვაწეობის კირა

ბიბლიოთეკაში მრავალი შემოქმედებითი მკითხველი დადის, მაგრამ ამ ჯერზე უფრო დიდი ენთუზიაზმი თეატრის მოყვარულებმა გამოამჟღავნეს. ლიტერატურული თეატრი “ჭადარი” – ასე დაარქვეს მკითხველებმა თავიანთ შემოქმედებით გაერთიანებას და ხელმძღვანელად მკითხველი ქალბატონი ნინო ჭიკაძე (სკოლის პედაგოგი) აირჩიეს.

ამ მკითხველ-შემოქმედთა მიერ გაიმართა ილია ჭავჭავაძის, გიორგი ლეონიძისა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა საიუბილეო საღამოები. ილიას იუბილესთან დაკავშირებულმა ღონისძიებამ თელავის საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ბიბლიოთეკიდან ილიას ძეგლამდე სვლით შემოქმედებმა შეასრულეს პოეტის ლექსებზე აგებული მონტაჟი, ხოლო ძეგლთან თავმოყრილებმა სიმღერები დააგუგუნეს.

ფილოლოგიის მეცნიერბათა დოქტორი, პროფესორ ლეილა შალვაშვილთან თანამშრომლობით თეატრს განზრახული აქვს მოკლე ხანში მოამზადოს სპექტაკლი “ცხოვრება და ზღაპარი”. შემოქმედთა შორის აქტიურობენ: სცენარისტი ნინო მღვებრიშვილი, პედაგოგები: მზია ურთმელიძე, ნუნუ ნაზირიშვილი, მსახიობი კარლო ქართველიშვილი და სხვები. ამ შემოქმედებით საქმიანობაში ბიბლიოთეკას ეხმარებიან თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის



სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობებიც...

გიგლიოთეკა და რაიონის ხელმძღვანელობა

თელავის რაიონს (როგორც საქართველოს ნებისმიერ კუთხეს) ბიბლიოთეკები ისე სჭირდება, როგორც სინათლე და წყალი, მაგრამ თავად ბიბლიოთეკასაც სჭირდება რაიონი. თუ რაიონისაგან დახმარება და ყურადღება არა, ბიბლიოთეკები ვერ გაუძლებენ დროს.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკას, შეიძლება ითქვას, წიგნი არ შეუძენია, დარღვეულია წიგნის შეძენის ძველებური მექანიზმი. ახალი მექანიზმის შექმნა კი იგვიანებს ...

ოთხი წლის უკან გამოცემლობა “მერანმა”, პირადად ბატონმა გურამ გვერდწითელმა ბიბლიოთეკას 5 ათასამდე ეგზ. წიგნი გამოუგზავნა. ეს წიგნები თელავის რაიონის საბიბლიოთეკო ქსელზე გადანაწილდა.

აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონის მაშინდელმა გუბერნატორმა – ბატონმა გია არსენიშვილმა თელავის რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ფულადი საჩუქარი – 300 ლარი გადასცა. მაშინ იყო რომ ბიბლიოთეკამ გარკვეული რაოდენობის ლიტერატურა და სამკითხველო დარბაზისათვის ფარდები შეიძინა.

ვერ ვიტყვით, რომ დღევანდელი ხელმძღვანელობა უყურადღებოდ ტოვებს ბიბლიოთეკას; ზრუნავენ, რომ ბიბლიოთეკას მუდმივი დენი ჰქონდეს. მილიანად რაიონის ქსელის ბიბლიოთეკებისათვის ყურნალ-გაზეთების გამოსაწერად ბიუჯეტში გამოყოფილია წელიწადში ოთხი ათას ლარი.


ქალაქის გამგებელი მედია მენეჯერი, რა მედეაა, რომ ბიბლიოთეკას ყურადღება არ მიაქციოს... მისი გულისხმიერების შედეგად, ბიბლიოთეკას აუცილებელი რემონტი ჩაუტარდა.

ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ღონისძიებებში ბიბლიოთეკების წარმომადგენლებიც ღებულობენ მონაწილეობას. ასე რომ, ერთად არიან, მაგრამ მატერიალური დახმარების ფორმა მინც იმპულსურია და სრულიად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასული ქვეყნის სვლას და მიმართულებას ფეხი აუწყოს, გახდეს ახალი მკითხველისათვის საჭირო ახალი ინფორმაციის წყარო. არა და, თელავს ისე, როგორც მთელ საქართველოს, ასეთი კურსი აქვს აღებული.

თანამდებარეობისადმი მიძღვნილი წერილი, რომელიც არ განიხილეს... ანუ იმედი, რომელიც გიგლიოთეკარებს უსაფუძვლოდ არ ბააჩნიათ

“ჩვენთვის ბატონი გია არსენიშვილ გაცილებით მეტია, ვიდრე თანამდებობის პირი, მას ჩვენ ქომაგად და მეგობრად ვთვლით. კახეთის რეგიონის გუბერნატორობისას ხშირად შემოუვლია ჩვენთან და დახმარებაც გაუწევია – გვისახსოვრა წიგნები და უცხოენოვანი ყურნალები, დაგვეხმარა ფინანსური და სამეურნეო საქმეების მოგვარებაში. სამწუხაროდ, საქართველოში ბევრი არ არის თანამდებობის პირი, რომელიც ისეთი “უმნიშვნელო” დაწესებულებით დაინტერესებულიყოს...

სახელმწიფო მინისტრად დანიშნამდე რამდენიმე დღით ადრე ბატონი გია ბიბლიოთეკის დირექტორს - მყვალა წიკლაურს შეხვდა და მოიციტა, ხომ არაფერი გიჭირთ, მხარში ვიდგევართ და



ჩემი იმედი გქონდეთო.

გმადლობთ, ბატონო გია! ჩვენ გვაქვს თქვენი იმედი...

თელაველი ბიბლიოთეკარები.

P. S. ჩვენ, ბიბლიოთეკაში დაეარსეთ ბატონი გია არსენიშვილის წიგნების ფონდი, რომლის შევსების და გამდიდრების იმედიც გვაქვს”...

თელავის საბავშვო გიგლიოთეკა

დაარსდა 1939 წელს იმ შენობაში, სადაც ამჟამად თელავის სამხატვრო სკოლა მუშაობს.

60-იან წლებში თელავის მკვიდრმა ელენე ოგანეზოვამ საკუთარი სახსრებით ააშენა ახალი შენობა. შეიძინა ინვენტარი და გადასცა საბავშვო ბიბლიოთეკას, ის თავად იყო აქტიური მკითხველიც და ბიბლიოთეკის ქველმოქმედიც.

იმ ხანებში ბიბლიოთეკის დირექტორად მუშაობდა ქალბატონი ქეთევან ლუხუტაშვილი, რომელიც მეტად საინტერესო ბიბლიოთეკარ-ორგანიზატორი გახლდათ. მისი ინიციატივით დაკომპლექტდა ბიბლიოთეკა საუკეთესო საბავშვო ფონდით და გაცხოველდა ბავშვთა ინტერესი ბიბლიოთეკისადმი.

ამჟამად ბიბლიოთეკას ახალგაზრდა ქალბატონი მანანა ქისიკაშვილი ხელმძღვანელობს.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი – 35.000, ჰყავს 700 მკითხველი. რაიმე წრე აქ არ მუშაობს. ქ-ნ მანანას დაკვირვებით, ბავშვებს არ უყვართ წერითი და ვალებების აღება, გამოკითხვა, ამ დროს ისინი კონტაქტში ნაკლებად შემოდიან. სამაგიეროდ უყვართ და მოსწონთ ღონისძიებები. ამიტომ ხშირად აწვობენ თემატურ საღამოებს, დიდი წარმატება მოიპოვა საღამომ “მოგზაურობა თამარის ეპოქაში”, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მოაწვეეს ღონისძიება “მამული”.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკის ფონდი ბავშვებისათვის დია არის, თაროსთან თავისუფალი დაშვებით თითოეულ მკითხველს შეუძლია სასურველი წიგნის შერჩევა. ქალბატონი მანანა მწარედ იგონებს ბოლო ათი წლის მუშაობის პერიოდს, როდესაც “ყველაფერი არაა”. სიცოცხლეში, უმუშაობაში. მატერიალურ სიდუხჭირეში ჩავარდნილი აღმზრდელითი კრები: სკოლები, ოჯახები ბავშვებს სათანადოდ ვერ უძღვებოდნენ, ვერ ზრდიდნენ. რა თქმა უნდა, ერთ ხანს ბიბლიოთეკაშიც იყო მკითხველმა...

მანანა ქირიაშვილი: ჩვენს ბავშვებში მე აღმოვაჩინე ერთი “საკვირველი” რამ. მათ ისევე აინტერესებთ იმ ცნობილ კლასიკოსთა ნაწარმოებები, რომლებიც მათ ასაკში ჩვენც გვაინტერესებდა, მაგრამ, საუბედუროდ, არა გვაქვს საკმარისი ლიტერატურა. დღეს მარც ტვენის “უფლისწული და მათხოვარი”-ს ბოლო ეგზემპლარი გავყვით...

დიახ, როგორც ყველგან საქართველოში, აქაც, თელავის საბავშვო ბიბლიოთეკაში ფონდის დაკომპლექტების პრობლემა დგას. საუბედუროდ, ეს ერთ-ერთი პრობლემაა... და არა ერთი.

გულნარა სტურუა

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი

ტექნიკური დოკუმენტაციის სახელმწიფო წიგნსაცავი

(გ.მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკა თანამედროვე ეტაპზე)

გ. მიქელაძის სახელობის ტექნიკური ბიბლიოთეკა დაარსებულია 1965 წელს. იგი დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი ტექნიკური პროფილის უნივერსალური ბიბლიოთეკაა.

მის ფონდებში 21 მლნ. ერთეული უნიკალური ლიტერატურაა. მათ შორის მსოფლიოს 63 ქვეყნის 19 მლნ. საპატენტო დოკუმენტი, 160 ათასი სამრეწველო კატალოგი, 500 ათასი ნორმატიულ-ტექნიკური ლიტერატურა, 550 ათასი პერიოდული გამოცემა, მათ შორის 30 ათასი მოწინავე ქვეყნების წიგნები და ჟურნალები, რეფერატები და სხვ.

სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკის მთავარი ამოცანაა საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის ხელშეწყობა, ორგანიზაციათა და ინდივიდუალურ მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება.

ტექნიკური ინტელიგენციისა და ინჟინერ-ტექნიკური პოტენციალის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობამ 1972-1985 წლებში ქალაქის ცენტრში ააშენა ახალი კეთილმოწყობილი შენობა 1.5 მლნ. პირობით ტომზე. დღეისათვის ბიბლიოთეკის ფართი შეადგენს 6 600 კვ.მ.

ბიბლიოთეკაში 7 სამკითხველო დარბაზი: საერთო სამკითხველო დარბაზი 100 კაცზე, საპატენტო პერიოდიკის თავისუფალი დარბაზის, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციით მომსახურების, მიკროფირების, სამსახურებრივი ლიტერატურის, მეთოდური სემინარების, ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის.

ბიბლიოთეკის ძირითადი ფონდსაცავები განლაგებულია მიწისქვეშა სივრცეში, სადაც დღეისათვის ვერ ხერხდება საჭირო მეორეული მატის დაცვა.

ბიბლიოთეკა გამუდმებით ცდილობს, როგორც გადარჩინოს უნიკალური ფონდი. მაგალითად, უცხოური წიგნები(ენციკლოპედია „ბრიტანიკა“, ამერიკის, ინგლისის, გერმანიის და სხვა ქვეყნების საცნობარო ლიტერატურა) ამოვიტანეთ და განვაღებთ მიწისზედა საცავებში, მაგრამ აქვს ტყვედობა საკმაოდ შეზღუდულია. პერიოდულად ვანიავებთ მიწისზედა საცავებს, მღრღნელებსა და ბიოლოგიური დაავადებების აღმოსაფხვრელად ვატარებთ ფონდების ბიოპროტექციური ნივთიერებებით დამუშავებას და სხვ.

ბიბლიოთეკის ფონდის ის ნაწილი, რომელიც მიწისზედა საცავებშია, კარგად არის შენახული (შენობის მე-2 მე-4 სართულებზე). აქედან გამომდინარე, ბიბლიოთეკა ცდილობს მთელი ფონდი თუ არა, ნაწილი მაინც ამოიტანოს მიწისზედა საცავებში.

იმის გამო, რომ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ვეღარ ვიღებთ ნორმატიულ-ტექნიკურ ლიტერატურას (სახელმწიფო და დარგობრივი სტანდარტები), ფაქტობრივად, ლიტერატურის ამ სახეობის გაცემა ვერ ხერხდება. ამ სახის ლიტერატურის შექმნა საკმაოდ ძვირია. უკანასკნელ წლებში მთლიონად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან შეიზღუდა წიგნებისა და პერიოდული გამოცემების შემოსვლა.

ჩვენი ბიბლიოთეკა საპატენტო ფონდის საქართველოს ტერიტორიულ ფონდსაცავს წარმოადგენს. საპატენტო რეფერატიულ და ბიბლიოგრაფიულ ბიულეტენებში ასახულია მსოფლიოს 63 ქვეყნის დოკუმენტაცია, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, ევროპის საპატენტო უწყების, აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის და ინგლისის საინფორმაციო ფირმა „დერვენტის“ დოკუმენტაცია.

სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით ფონდის სისრულე სხვადასხვაა. სსრ კავშირის საავტორო მოწმობები ბიბლიოთეკის ფონდში

არსებობს 1924-1991 წლების. მოყოლებული სხვადასხვა წლებიდან 1991 წლამდე პატენტები შემოსულია ისეთი განვითარებული ქვეყნებიდან, როგორცაა: გერმანია, აშშ, საფრანგეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია. ზოგიერთი ქვეყნის დოკუმენტაცია წარმოდგენილია ამ ქვეყნების საპატენტო უწყებების საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული გამოცემებით, რომლებშიც მონაცემები გამოგონებებზე, სასარგებლო მოდელებზე, სამრეწველო ნიმუშებზე და სასაქონლო ნიშნებზე რეფერატების, ანოტაციების ან ბიბლიოგრაფიული მონაცემების სახით იბეჭდება.

ჩვენი ბიბლიოთეკის საპატენტო ფონდი ორგანიზებულია გეოგრაფიულ-სისტემატურ-ნუმერაციული სისტემით, ანუ გამოგონებების ადწერილობანი დალაგებულია ქვეყნებისა და საპატენტო კლასიფიკაციის რუბრიკების მიხედვით, საავტორო მოწმობებისა და პატენტების და განაცხადების ნომრების ზრდის მიხედვით.

ბიბლიოთეკის ფონდებშია აგრეთვე საპატენტო-საკანონმდებლო ლიტერატურა სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო კანონებზე, საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ მოღვაწეობაზე, საპატენტო ლიცენზიურ და სხვა საკითხებზე.

მძიმე მდგომარეობაა პატენტების ფონდის შევსების მხრივ. საქმე ისაა, რომ საქართველოში მცხოვრებმა გამომგონებლებმა იმიტომ, რომ გამოგონებამზე პატენტი მიიღონ, მსოფლიოს საპატენტო ფონდში უნდა მოიძიონ პატენტ-ანალოგები. ადრე ამას ყველა გამოგონებელი ჩვენს ბიბლიოთეკაში აკეთებდა, მაგრამ 1992 წლიდან ბიბლიოთეკაში ზემოაღნიშნული მიზეზებით ფონდის შევსება ფაქტიურად შეწყვეტილია. ბოლო წლებში ამ სახის მასალა შექმნილი აქვს თვითდაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციას „საქპატენტს“ და ის მას თვითონ იყენებს გამოგონებათა ექსპერტიზისათვის.

ბიბლიოთეკაში დაგროვილი 21 მლნ. ერთეული ლიტერატურის სათანადო დამუშავებას, გაცემას, მის მოვლას ბოლო წლებში ემსახურებოდა 220 ადამიანი. შტატების შემცირების შედეგად, დღეისათვის ბიბლიოთეკაში 97 ადამიანი მუშაობს. განხვევებულმა შტატებმა ძალაუქმებურად გამოიწვია ძვირფასი ფონდის განხვევებული მოვლა-პატრონობა. ბიბლიოთეკაში აღარ არის ბიოლოგიური ლაბორატორიისა და რესტავრაციის განყოფილებები.

ბიბლიოთეკაში არის სახანძრო სიგნალიზაციისა და ავტომატური აირქრობის თანამედროვე საშუალებები, მაგრამ ამ სისტემების მომსახურებისათვის საჭიროა თანხები.

თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ტექნიკური ბიბლიოთეკის მაჩვენებლები სხვა ბიბლიოთეკებთან შედარებით, დაბალია. თანხების უქონლობის გამო აღარ შეიძლება სახელმწიფო სისტემების პატენტები, ახალი წიგნები, სამრეწველო კატალოგები, სამრეწველო ნიმუშები და სასაქონლო ნიშნები, სახელმწიფო სტანდარტები და სხვა.





ბიბლიოთეკას გააჩნია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა (მათ შორის სოროსის ფონდიდან გრანტით მიღებული), ჩართული ვართ ინტერნეტში (ელ. ფოსტა - <kvariani@hotmail.com>)

ექსპობრივად მიმდინარეობს ფონდში არსებული უცხოური ლიტერატურის რეკატალოგიზაცია და კომპიუტერინაზაცია, კომპიუტერში შეყვანილი უცხოური ჟურნალების მონაცემთა ბაზის დაზუსტება და კორექტირება, უცხოური ლიტერატურის დამუშავება (აღწერა, კლასიფიკაცია, სისტემატიზაცია, ტექნიკური გაფორმება) და სხვა. ჩვენი ბიბლიოთეკის მიერ 1971-1992 წწ. მომზადებულ წელიწადულის - „რესპუბლიკის ორგანიზაცია-დაწესებულებების ბიბლიოთეკებში შემოსული უცხოური სამეცნიერო-ტექნიკური პერიოდულ გამოცემათა საბიბლიოთეკის“ შედგენა შეწყვეტილია, ვინაიდან რესპუბლიკის ტექნიკურ ბიბლიოთეკებს 1992 წლიდან არ გააჩნიათ უცხოური ლიტერატურა (ან მათგან ვერ ვიღებთ მონაცემებს), გარდა ამისა, არა გვაქვს გამოცემებისათვის საჭირო თანხა. აღნიშნული გამოცემა სპეციალისტებისათვის მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური ლიტერატურით ბიბლიოთეკის სრულყოფილი დაკომპლექტებისათვის არსებული თანხები მინიმალურ მოთხოვნასაც ვერ აკმაყოფილებს.

სამსახურებრივი ლიტერატურის ფონდი შედგება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეფერატული ჟურნალებით, სამსახურებრივი სარგებლობის წიგნებით, უცხოურ გამოცემებთან აღწერილობით. სპეც-ფონდის დაკომპლექტება ხდებოდა მოსკოვის საკავშირო საპატენტო ბიბლიოთეკიდან.

სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკა ტექნიკური ბიბლიოთეკების მეთოდურ ცენტრს წამოადგენს. ბოლო წლებში ასეთი ბიბლიოთეკების ნაწილი დაიხურა და ამჟამად მიმდინარეობს მათი რაოდენობის შესწავლა-დაზუსტება.

ბიბლიოთეკაში ერთ-ერთი წამყვანია ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის განყოფილება. მისი ფონდები მოიცავს საბჭოთა კავშირის, საქართველოს, აგრეთვე ეკონომიკურ ურთიერთობის ქვეყნებისა და საერთაშორისო ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას. ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციაში შედის შემდეგი სახის დოკუმენტები: სახელმწიფო სტანდარტები, რესპუბლიკური სტანდარტები, საერთაშორისო სტანდარტები, ტექნიკური პირობები, სამრეწველო კატალოგები.

1992 წლიდან ბიბლიოთეკა იშვიათად ღებულობს სტანდარტების ყოველწლიურ მაჩვენებლებს; მაგალითად, მოვიდით 1997 წლის მაჩვენებლების ბოლო გამოცემა (4 ტომული, გამოც. 1996 წ.) და ნუმერაციული მაჩვენებელი (1 ტომი, გამოც. 1997 წ.). თანამშრომლები ამ ტომულს კატალოგებს უდარებენ და ფონდი თანდათან იწმინდება შეცვლილი და გაუქმებული სტანდარტებისაგან.

ბიბლიოთეკა ცდილობს შეიძინოს ახალი და 1992-1998 წლების ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რადგან საქართველოს ეკონომიკის და რესპუბლიკის საწარმოების აღორძინებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დოკუმენტაციას, რაზედაც ყოველთვის იყო და არის დიდი მოთხოვნა.

საპატენტო განყოფილებაში ძირითადად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცემებთან ამსახველი მასალების დამუშავება ხდება, რომლებიც მიღებულია მიეროფორებისა და ორიგინალების სახით.

მომსახურების განყოფილება ბიბლიოთეკის ძირითად სტრუქტურულ განყოფის წარმოადგენს. მისი მუშაობის მთავარი ფუნქციაა სამკითხველო დარბაზებში მკითხველთა მომსახურება ფონდებში არსებული ლიტერატურით. ბიბლიოთეკის მიერ 1999 წელს გაცემულია 162 478 ბეჭდური ერთეული.

ბიბლიოთეკის პრობლემების დიდი ნაწილი დაკავშირებულია დაფინანსებასთან. სახელმწიფო ბიუჯეტის სიმწირის გამო საჭიროა ალტერნატიული, კანონით დაშვებული დაფინანსების წყაროების მოძიება. ჩვენს ბიბლიოთეკაში ამ პრობლემას შემდეგნაირად ვწყვეტთ: მიმდინარე წელს ფინანსთა სამინისტროში გავხსენით სპეცსახსრების ანგარიში. ფასიანი მომსახურების (ანალიტიკური ძიების ჩატარება, ქსეროასლების დამზადება, კომპიუტერული მომსახურება და სხვა) ფორმების დანერგვამ უკვე გარკვეული შედეგი მოგვცა. დაფარეთ კომუნალური დავალიანებების ნაწილი, ზოგიერთი განყოფილებისათვის შევიძინეთ ნაეთი. განზრახული გვაქვს ქსელის ბიბლიოთეკების აღრიცხვა-დაზუსტებისათვის თანამშრომელთა მივლინება ქვეყნის რეგიონებში და სხვა. ბიბლიოთეკის ლიტერატურით დაკომპლექტებას, ცხადია, ეს თანხები არ ეყოფა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს პარლამენტისაგან ველოთ ლიტერატურის სავალდებულო ეგზემპლარების შესახებ კანონს. ბიბლიოთეკის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა შენობის მცირე ნაწილის გაქირავებიდან მიღებული შემოსავლები. ასეთი შემოსავლები გარკვეულ როლს თამაშობდა ბიბლიოთეკის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 სექტემბრის №487 ბრძანებულებით იჯარის თანხები შედის ქონების მართვის სამინისტროში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს პრეზიდენტი გაითვალისწინებს ბიბლიოთეკების მატერიალურ გაჭირვებას და სახელმწიფო ბიბლიოთეკებს, გამონაკლისის სახით, ნებას დაერთავს გაქირავებული ფართიდან მიღებული თანხა მათვე მოხმარდეს, ისევე, როგორც ასეთი გამოწვევის იქნა გაკეთებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებებისა და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის. საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულების გამოსვლამდე ჩვენი ბიბლიოთეკა ფართის გაქირავებიდან მიღებული თანხით ახერხებდა საჭირო საკანცელარო მასალის, ზოგიერთი სახის ლიტერატურის შექმნას, კომუნალური მომსახურების თანხის ნაწილის დაფარვას და უხელფასობის პირობებში თანამშრომელთა მცირე თანხით დახმარებას.

აღნიშნულ პრობლემებს ემატება ქვეყანაში არსებული სოციალური, ეკონომიკური, ენერგეტიკული პრობლემები, რაც მოქმედებს თანამშრომლებზე და მკითხველებზე. ყოველივე ეს იწვევს ბიბლიოთეკის ძირითადი მაჩვენებლების (ლიტერატურის გაცემა, მკითხველთა დასწრება) დაქვეითებას.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. უკანასკნელ ათწლეულში ჩვენი ბიბლიოთეკის არცერთ თანამშრომელს არავითარი სახელმწიფო ჯილდო არ მიუღია. ბიბლიოთეკართა შრომა ზემოაღნიშნულ პირობებში დიდ პატრიოტულ მოვლენად მივიჩნევთ. ჩვენი აზრით, დასახვეწია სახელმწიფო ჯილდოებზე მუშაობა წარდგენის სისტემა. კერძოდ, სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენის უფლება სამინისტროებისა და უწყებების გარდა, ჩვენი აზრით, უნდა მიენიჭოს საქართველოს ბიბლიოთეკართა ასოციაციას ან საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებულ საკოორდინაციო საბჭოს. ამ ორგანიზაციებში საქართველოს ბიბლიოთეკების დიდი უმრავლესობაა წარმოდგენილი.

ბოლოს, გვინდა გამოთქვათ იმედი, რომ საქართველოს პრეზიდენტის და სახელმწიფო მინისტრის დაინტერესება ბიბლიოთეკების მდგომარეობით სასიკეთო ძეგლებს მოიტანს საქართველოს ბიბლიოთეკების ცხოვრებაში.

ნუმზარ გოგსაძე,
გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო
ტექნიკური ბიბლიოთეკის დირექტორი



საბიბლიოთეკო კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა თანამედროვე ეტაპზე

საბიბლიოთეკო საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენება და ოპტიმალური შედეგების მიღება შეუძლებელია საბიბლიოთეკო კადრების მომზადებისა და სისტემატური გადამზადების გარეშე. „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ დიდ როლს ანიჭებს სახელმწიფოში პროფესიული კადრების მომზადების, მათი გადამზადების, დასაქმების, შრომის ანაზღაურების, სოციალური გარანტიებისა და შეღავათების საქმეს. სახელმწიფო უზრუნველყოფს კადრების მომზადებელ სასწავლებელთა შექმნას, დაფინანსებას და მართვას, ხელშეწყობას ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერულ და მეთოდურ მოღვაწეობას, საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციულ სრულყოფას.¹

საბიბლიოთეკო განათლების ისტორია საქართველოში მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება. ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა საბიბლიოთეკო საქმიანობის შესწავლის, მეცნიერული ანალიზისა და განზოგადების ამოცანები. ბიბლიოთეკათმცოდნეობითი საკითხების მეცნიერული კვლევა მაღალი კვალიფიკაციის მქონე საბიბლიოთეკო კადრების მომზადებასა და ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლებას მოითხოვდა.

იმ დროისათვის საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, ბიბლიოთეკართა მომზადების ვადა განისაზღვრებოდა 6 თვით, ხოლო მათ გადასამზადებლად ეწყობოდა ერთი ან ორთვიანი კურსები.²

პირველი დადგენილება საბჭოთა კავშირში, რომლის საფუძველზე სახელმწიფო თავის თავზე იღებდა საბიბლიოთეკო კადრების მომზადებას, მიღებულ იქნა 1934 წლის 27 მარტს, მასში ნათქვამია, რომ საბიბლიოთეკო კადრების მომზადებასა და გადამზადებას დააფინანსებს სახელმწიფო.

სრულიად საქართველოს სახკომსაბჭოს 1934 წლის 14 მაისის დადგენილებაში „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საქართველოში“ მითითებული იყო, რომ 1935 წლის 1 იანვრიდან თბილისში გახსნილიყო სპეციალური ტექნიკური საშუალო განათლების ბიბლიოთეკართა მომზადებლად.³ ამავე დროს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს დაევადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტის შემადგენლობაში გამოეყო ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობა ერთ ჯგუფად, დამტკიცებული კონტინენტისა და ასიგნებთა ფარგლებში.

ამ დადგენილების საფუძველზე დამოუკიდებელი ტექნიკუმის ნაცვლად თბილისის პედაგოგიურ ტექნიკუმთან 1935 წელს გაიხსნა საბიბლიოთეკო სექტორი სამწლიანი სწავლების კურსით, რომლის პირველი გამოშვება იყო 1938 წელს.⁴

პირველი დამოუკიდებელი კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი თბილისში 1938 წელს გაიხსნა. მასში გაერთიანებული იყო ორი განყოფილება, რომლებიც ამზადებდა საკლუბო დაწესებულებების სპეციალისტებს და საბიბლიოთეკო საქმის მუშაკებს.

ამ სასწავლებელს 1963 წელს ეწოდა საბიბლიოთეკო სა-

სწავლებელი. ამ სასწავლებელმა თავისი ფილიალების ჩათვლით სოხუმსა და ბათუმში 813 ბიბლიოთეკარ-ბიბლიოგრაფი მოამზადა. მათი განაწილების და დასაქმების საქმეს კულტურის სამინისტრო ხელმძღვანელობდა.⁵

სასწავლებელში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის გამოჩენილი მუშაკები: გიორგი გიორგიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ფილიმონ ყურაშვილი. შემდგომი მათ შექმნეს ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის ძირითადი ბირთვი.⁶

შემდგომი საბიბლიოთეკო განათლების ისტორია საქართველოში იწყება 1938 წლიდან, როდესაც თბილისის ა.ს.პუშკინის სახ. სამასწავლებლო ინსტიტუტთან შეიქმნა ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი და კათედრა ჩამოყალიბდა.

ინსტიტუტში შექმნილი ფაკულტეტი ორწლიანი იყო. 1946 წელს სამასწავლებლო ინსტიტუტი პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა და სწავლების ხანგრძლივობა 4 წლით განისაზღვრა. შესაბამისად შეიქმნა ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი დღისა და საღამოს სწავლების განყოფილებებით, ხოლო მოგვიანებით დაუსწრებელი განყოფილებაც დაარსდა.



კათედრის პირველი გამგე იყო გიორგი გიორგიძე, წევრები: ი. ციციშვილი, გ. ბაქრაძე, ნ. ლორთქიფანიძე. კათედრის პირველი სხდომა შედგა 1938 წლის 17 სექტემბერს. კათედრის გადაწყვეტილებით, ლექციების ჩატარება დაევადა ბიბლოგრაფიაში – გიორგი ბაქრაძეს, წიგნადი ფონდების და კატალოგების ორგანიზაციაში – ივანე ციციშვილს, ზოგად ბიბლიოთეკათმცოდნეობაში – ნიკო ლორთქიფანიძეს, ხოლო მკითხველთა მომსახურების კურსში – გიორგი გიორგიძეს.⁷ კათედრის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სპეციალურ საგნებში სასწავლო პროგრამების შედგენის შესახებ.

ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება 1940 წელს შედგა. გამოშვებული იქნა 15 სტუდენტი.⁸

ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი ა.ს.პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 1980 წლამდე დამოუკიდებლად არსებობდა, ხოლო აღნიშნულ წელს ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტს შეუერთდა, როგორც დამოუკიდებელი სპეციალობა. ინსტიტუტი ათასობით უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრებს უშვებდა ბიბლიოთეკარ-ბიბლიოგრაფის კვალიფიკაციით, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ საქართველოს ყველა კუთხეში.

კურსდამთავრებულთა განაწილება-დასაქმების პრობლემას საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველო განაგებდა, რომელიც მიზნობრივად აკომპლექტებდა საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემას უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით. ამ პრობლემას დღეისათვის ამავე დაწესებულების კვლავ დიდი ყურადღება ესაჭიროება.

ამჟამად საბიბლიოთეკო კადრების მომზადება უმაღლესი



სპეციალური განათლებით თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის კულტურისა და ესთეტიკური აღზრდის ფაკულტეტზე წარმოებს, როგორც დამოუკიდებელი სპეციალობა, აგრეთვე თბილისის კულტურის ინსტიტუტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, სადაც მხოლოდ დღის განყოფილებაა. პედაგოგიურ უნივერსიტეტში 5-წლიანი სწავლების ვადა შემოღებული, კულტურის ინსტიტუტში-4 წლიანი. მიმდინარე სასწავლო წლისათვის აქ მიღება წინმცოდნეობისა და ბიბლიოცოდნეობა- ბიბლიოგრაფიის სპეციალობით ჩატარდა, რაც აგრეთვე 5-წლიან სწავლებას ითვალისწინებს.

1995 წლის იანვარში პედაგოგიური ინსტიტუტის, პედაგოგიურ უნივერსიტეტად გადაკეთების შემდეგ, საბიბლიოთეკო კადრების მომზადების საქმეში კარდინალური ცვლილებები მოხდა. პროგრესულ მოვლენად მიგვაჩნია უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე სტუდენტთა მიღება უცხო ენების სპეციალიზაციით, ხოლო მათთვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბიბლიოთეკათმცოდნე-ბიბლიოგრაფიის კვალიფიკაციის მინიჭება უცხო ენების სპეციალიზაციით. აღნიშნული კვალიფიკაციით კადრების პირველი გამოშვება 2000 წლის ზაფხულში იყო.

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ ძლიერდება კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნების ბიბლიოთეკებთან. საქართველოში გახსნილი უცხო ქვეყნების საელჩოებს სჭირდება უცხო ენების მცოდნე ბიბლიოთეკარ-ბიბლიოგრაფები და ამ პროფილით სპეციალური კადრების მომზადება მეტად აქტუალურია.

ამ მოვლენიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ - 1996 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ პირველ საბიბლიოთეკო კანონში შეტანილია შემდეგი მუხლი:

1. საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკები უფლებამოსილი არიან გაწვერიანდნენ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებში, ითანამშრომლონ საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებთან და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში.
2. სახელმწიფო უზრუნველყოფს საქართველოს ბიბლიოთეკების საერთაშორისო წარმომადგენლობას.

აღნიშნულის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა სათანადო კადრების მომზადების გარეშე, ამიტომ ამ პროფილით საბიბლიოთეკო კადრების მომზადება პროგრესულ მოვლენად მიგვაჩნია, მაგრამ ამ კადრების მიზნობრივად დასაქმებას კომპენტენტური ორგანიზაციების, უნივერსიტეტის დეკანატისა და კათედრის კოორდინირებული მუშაობა სჭირდება.

ცალკე პრობლემად მიგვაჩნია დღეისათვის სპეციალური კადრების გადამზადების საკითხი. როგორც ვთქვით, ჯერ კიდევ 30-იან წლებში სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობდა საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას,

რაც გადამზადების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო. პირველ ხანებში კურსები პერიოდულად საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ეტაპობრივი მოთხოვნების შესაბამისად ეწყობოდა, რადგან გარდაქმნები თავისთავად მოითხოვს შესაბამის კვალიფიკაციის მქონე კადრებს. შემდგომ წლებში ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ბიბლიოთეკის მუშაკთა გადამზადება მუდმივმოქმედი კურსების მეშვეობით. 70-იან წლებში საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი კურსები, რომელზეც ბიბლიოთეკის მუშაკთა გადამზადება ხდებოდა. აღნიშნულ კურსებზე ლექციებს კითხულობდნენ და საბიბლიოთეკო საქმიანობის სიახლეებს აცნობდნენ ბიბლიოთეკარებსა და ბიბლიოგრაფებს ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპეციალური კათედრის წამყვანი ლექტორები. აღნიშნულმა კურსებმა 90-იან წლებამდე იარსება, ხოლო შემდეგ დაიხურა, რაც, ჩვენი აზრით, დიდ დაბრკოლებებს უქმნის პრაქტიკის მუშაკებს საბიბლიოთეკო საქმიანობის სიახლეების გაცნობისა და მათი დროული დანერგვისათვის თავიანთ საქმიანობაში.

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ კვალიფიკაციის ამაღლების ძველი აპრობირებული ფორმები მოიშალა ობიექტური მიზეზებით. დღეისათვის შემორჩენილია სპეციალური კადრების გადამზადების ისეთი ფორმები, როგორცაა ბიბლიოთეკის მუშაკთა თათბირ-სემინარები, საწარმოო თათბირები, სადაც განიხილება მეთოდური საკითხები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, მაგრამ ეს ფორმები სტიქიურ ხასიათს ატარებს და ცალკეულ მუშაკთა ინციტატივაზე არის დამოკიდებული. საბიბლიოთეკო საქმიანობის თანამედროვე პირობები მოითხოვს საბიბლიოთეკო საქმიანობის კომპიუტერნიზაციას, თანამშრომელთა გადამზადებას, იმ სიახლეების გაცნობას, რომლებიც დამახასიათებელია არა მარტო ყოფილ საბჭოთა სივრცეში შემავალი რესპუბლიკებისათვის, არამედ მსოფლიო საბიბლიოთეკო საქმიანობისათვის. ამიტომ დღეისათვის აუცილებლობად მიგვაჩნია პროფესიული კადრების მუდმივმოქმედი კურსების განახლება, რასაც ხელმძღვანელობას და ხელშეწყობას გაუწევნ საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილება და საქართველოში ერთადერთი სპეციალური კათედრა.

გუნა ტოზონიკა
ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და
ბიბლიოგრაფიის კათედრის
უფროსი მასწავლებელი

1. საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ. // საქართველოს რესპუბლიკა - 1996. - 29 ივნ.
2. ვურაშვილი ფ. ე. საბიბლიოთეკო საქმის განვითარება საბჭოთა საქართველოში: (1921-1974 წ.წ.) - თბ., 1976. - გვ. 97
3. საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ. - თავი მე-9, მუხლი 39-ე.



პირველი გამოშვება

ზუსტად 60 წლის წინ თბილისის სამასწავლებლო სასწავლებელმა (ამჟამად თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი) 15 ახალგაზრდა სპეციალისტი გამოუშვა. ეს იყო პირველი გამოშვება. თითქოს ნიშანდობლივია, რომ ჩვენ დღესაც ვლაპარაკობთ პირველ გამოშვებაზე, მაგრამ უკვე სულ სხვა გაგებით. საქმე იმაშია, რომ 1940 წლის შემდეგ ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე მრავალი რამ შეიცვალა – გაიზარდა სწავლების ვადა, კადრების მომზადება სხვადასხვა დროს სხვადასხვა სპეციალიზაციით ხდებოდა – ხან უნივერსალური, ჰუმანიტარული, მასობრივი ბიბლიოთეკების, ხანაც საბავშვო ბიბლიოთეკების სპეციალიზაციით, მაგრამ უცხო ენის სპეციალიზაციით აქამდე გამოშვება არ გვექონია.



2000 წლის გაზაფხულზე სპეციალისტთა მომზადების ისტორიაში პირველად გამოვუშვით ბიბლიოთეკათმცოდნე – ბიბლიოგრაფები უცხო ენის სპეციალიზაციით. ისინი 5 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკათმცოდნეობასა და ბიბლიოგრაფიასთან ერთად ერთ-ერთ ევროპულ უცხო ენასაც ეუფლებოდნენ. საამისოდ ჩვენს უნივერსიტეტში ყოველგვარი პირობაა შექმნილი – საათების საკმარისობა, პრაქტიკუმები, რომლებზედაც ხდება უცხოური წიგნების აღწერა და კლასიფიკაცია, პედაგოგთა მა-

ღალკვალიფიციური კადრები, უცხოეთიდან ჩამოსული ლექტორების ლექცია-სემინარები. ამან განაპირობა ის, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა თავისუფლად ფლობს უცხო ენას, შეუძლია, უპირველეს ყოვლისა, უცხოური ლიტერატურის შერჩევა-დაკომპლექტება, მათი აღწერა-კლასიფიკაცია, სისტემატურად გაწყობა, ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში ორიენტაცია, კატალოგებში ძიება, ანოტაციების შედგენა, უცხოელებთან მიმოწერა თუ პირადი კონტაქტების დამყარება. ექვსი სტუდენტი, რომლებიც გერმანულ ენას ეუფლებოდნენ, სტაჟირებაზე იყვნენ მივლინებული გერმანიაში. სტუდენტთა ერთი ნაწილი სისტემატურად სარგებლობდა ამერიკული ბიბლიოთეკითა და საფრანგეთის კულტურის ცენტრით. სტუდენტები გაბლიერებულად სწავლობდნენ კომპიუტერულ ტექნიკას. მათ განკარგულებაში იყო პედუნივერსიტეტის საუცხოოდ

მოწყობილი და ორგანიზებული კომპიუტერული კლასი. დასაძინებია, რომ აქ სრულყოფილად ვერ ხერხდება პროფესიული განხრით სტუდენტთა დაოსტატება და ზოგადი კომპიუტერული ცოდნის დაუფლებით კმაყოფილდებიან.

ყოველივე ამასთან ერთად, სტუდენტები ოთხი წლის განმავლობაში საწარმოო პრაქტიკას გადიოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და პრეზიდენტის ბიბლიოთეკაში. წარჩინებული სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო წრეში, მოსხენებებით გამოდიოდნენ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში, თარგმნიდნენ სტატიებს უცხოური ჟურნალებიდან. მათი სტუდენტური ცხოვრება მხოლოდ სწავლებით არ შემოიფარგლებოდა, მონაწილეობდნენ სტუდენტურ დღეებში, უცხო ენაზე დგამდნენ წარმოდგენებს, გაერთიანებული იყვნენ შემოქმედებით წრეებში, აწყობდნენ ექსკურსიებს, ესწავებოდნენ სპექტაკლებს.

კარგად ორგანიზებულმა სასწავლო-აღმზრდელობითმა პროცესმა თავისი ნაყოფი გამოიღო – უმრავლესობამ წარჩინებით ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, ოთხმა მათგანმა უმაღლესი ხარისხის დიპლომი მიიღო. სულ 25 ახალგაზრდა სპეციალისტი შეემატა ჩვენს რიგებს. უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა გამოირჩევა იმ მონაცემებით, რაც თანამედროვე ახალგაზრდა ბიბლიოთეკარის პროფესიოგრაფიით არის გათვალისწინებული.

ამ ფონზე ფრიალ დასანანია, რომ მათ ძალიან მძიმე პირობებში მოუხდათ ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა. ფაქტობრივად, იქსაქსება ძალები და ახალგაზრდები ვერ იყენებენ თავიანთ პროფესიულ შესაძლებლობებს. ჩვენს მიერ მოპოვებული ცნობებით, კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი სიამოვნებით მიიღეს სხვადასხვა ოფისებში სამუშაოდ, ჩვენი ბიბლიოთეკებიდან კი მოთხოვნები ნაკლებადაა. მხოლოდ ორიოდე მათგანი მუშაობს სპეციალობით, არადა, როგორ სჭირდება დღეს ბიბლიოთეკებს ამგვარი ახალგაზრდები.

ერთია: იმედი გვრჩება, რომ ასეთი ვითარება დროებითია. უეჭველად მოვა დრო, როცა ჩვენს ბიბლიოთეკებს მცოდნე, საქმიანი, თავისი პროფესიის მოყვარული ახალგაზრდები შეავსებენ.

ინგა ფილასური,
ბიბლიოთეკათმცოდნეობის
და ბიბლიოგრაფიის
კათედრის დოცენტი

ინტერნეტი საქართველოს ბიბლიოთეკებში

დემოკრატიის განვითარებაში კონსტრუქციული მონაწილეობა დამოკიდებულია როგორც განათლების დონეზე, ისე ცოდნის, იდეების, კულტურისა და ინფორმაციის შეუზღუდავ მიღებაზე. ბიბლიოთეკა, როგორც ცოდნის შექმნის კერა, უზრუნველყოფს ინდივიდისა და სოციალური ჯგუფების კულტურის დონის ამაღლებას, ცოდნის მუდმივი განახლებისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების პირობას.

ინტერნეტის ფასიან და უფასო საინფორმაციო რესურსებში აკუმულირებულია კაცობრიობის თანამედროვე ცოდნის, იდეებისა და კულტურის უმეტესი ნაწილი. ამიტომ განვითარებული ქვეყნების ბიბლიოთეკებში ინტერნეტი ფართოდ არის გამოყენებული, როგორც ბიბლიოთეკაში მოსული, ასევე ბიბლიოთეკის სერვერთან პერსონალური კომპიუტერთა და საკომუნიკაციო არხით მიერთებული მკითხველის მომსახურებისათვის. ბიბლიოთეკებს გამალებით გადააქვთ თავიანთი საინფორმაციო რესურსები – კატალოგები და გამოცემების სრული ტექსტები ელექტრონულ ფორმატში და ათავსებენ მათ საკუთარ სერვერებზე. ამგვარად, ბიბლიოთეკის ფონდის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანასთან ერთად, მისი გამოყენება აღარ იქნება დამოკიდებული არც ფონდში არსებული გამოცემის ეგზემპლარების რაოდენობაზე, არც ქაღალდის ცვეთაზე და არც სამკითხველო დარბაზში ადგილების რაოდენობაზე.

საქართველოს ბიბლიოთეკებშიც არის უკვე ინტერნეტი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი. ელექტრონულ ფოსტას საქართველოს ბიბლიოთეკები 1990 წლიდან იყენებენ. 1996 წლიდან ღია საზოგადოება – საქართველოს გრანტების მეშვეობით საქართველოს დიდი ბიბლიოთეკები ჩართულია ინტერნეტში. 1997 წლიდან IATP/IREX პროგრამის დახმარებითა და ევრაზიის ფონდის გრანტით ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაციის მიერ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში განხილვ კომპიუტერულ კლასში, ხოლო 1998 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მკითხველებისათვის გაიხსნა ინტერნეტ-ცენტრები. 2000 წელს IATP/IREX პროგრამისა და ღია საზოგადოება – საქართველოს გრანტების დახმარებით ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდა მკითხველებისათვის ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის მთავარ ბიბლიოთეკებში. 2001 წლიდან კი USIS-ისა და ღია საზოგადოება – საქართველოს გრანტებით ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდება ზუგდიდისა და თელავის მთავარ ბიბლიოთეკებში, ხოლო ფოთისა და ქუთაისის ბიბლიოთეკებს დაემატებათ 3-3 კომპიუტერი.

განსაკუთრებული მიღწევები აქვს ინტერნეტის გამოყენებაში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. ეროვნული ბიბლიოთეკის მკითხველებმა სწრაფად აუღეს ალღო ინტერნეტის გამოყენებით უახლესი ინფორმაციის მიღების ხერხებს. მათი მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ბიბლიოთეკის დიდ სამკითხველო დარბაზში ინტერნეტის მოწოდებელმა ფორმამ “სანეტმა” დააყენა თავისი 7

კომპიუტერი და ძალიან დაბალ ფასებში დაიწყო მკითხველების ფასიანი მომსახურება ინტერნეტით. გარდა ამისა, IATP-ის ინტერნეტ-ცენტრში განახლდა ინტერნეტში ჩართული 6 კომპიუტერი ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახურის (USIS) გრანტის დახმარებით.

გეტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დახმარებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ წელს მიიღო “ფოლკსვაგენის” გრანტი 1 ძალიან მძლავრი სერვერისა და 6 პერსონალური კომპიუტერის სახით, რომლებიც აგრეთვე იქნება ჩართული ინტერნეტში. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების რაოდენობა წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახურის (USIS) გრანტის დახმარებით. თუმცა მოთხოვნილება კომპიუტერებზე და ინტერნეტზე ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად აღემატება არსებულ მდგომარეობას არა მარტო ეროვნულ ბიბლიოთეკაში, არამედ მთელს საქართველოში.

ინტერნეტის გამოყენება ბიბლიოთეკაში მრავალგვარად ხდება. პირველ რიგში, ინტერნეტი ბიბლიოთეკაში გამოიყენება საცნობარო-საინფორმაციო მომსახურებისათვის. ინტერნეტში განთავსებულია მსოფლიოს უდიდესი ბიბლიოთეკების ელექტრონული კატალოგები და ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზები. საინფორმაციო ინდუსტრიის პროდუქტების დიდი ნაწილი გამოიცემა როგორც ბეჭდური სახით, ასევე ელექტრონული სახით ინტერნეტში. ბევრია ისეთი ინდუსტრიული გამოცემა, რომელიც მხოლოდ ინტერნეტშია გამოქვეყნებული. ხოლო თუ ამას დაემატებთ ინდივიდუალურ გამოცემებს ინტერნეტში, რომლებიც არც რეცენზირებას და არც რედაქტირებას გადაიან, მაშინ ინტერნეტი გადაიტყვევს ინფორმაციის უზარმაზარ და დაუშრეტელ რესურსად. ინტერნეტის საინფორმაციო რესურსებში ძიებისათვის იქნება შესაბამისი საინფორმაციო სისტემები.

ბიბლიოთეკარი, რომელსაც ევალება საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება, ვალდებულია კარგად იცნობდეს ინტერნეტის საინფორმაციო რესურსებს და ათვისებული ჰქონდეს ინტერნეტის საინფორმაციო სისტემების გამოყენება.

ამ მხრივ შემთხვევითი არ არის, რომ ინტერნეტში ქართული საინფორმაციო რესურსების დღეისათვის საუკეთესო საინფორმაციო სისტემა GeREs-ი [1] შეიქმნა სწორედ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ავტომატიზაციის განყოფილების გამგის





დავით მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით, რომ პირველი ქართული წიგნი ინტერნეტზე შედგენილ იქნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის ლევან ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით [2], რომ მეორე ქართული წიგნი ინტერნეტზე გამოსცეს ამ სტატიის ავტორმა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსმა თეიმურაზ ჩხენკელმა [3].

ქართულ-ინგლისური საინფორმაციო სისტემა GeREs – ში თავმოყრილია მსოფლიო ქსელის 1000-ზე მეტი ვებ გვერდი, რომლებიც ნაწილობრივ მაინც შეეხება საქართველოს. GeREs-ი მუშაობს Windows NT პლატფორმაზე ASP ტექნოლოგიის გამოყენებით და განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სერვერზე. GeREs-ის მონაცემთა ბაზების სტრუქტურა, ადმინისტრაციული სამსახურები, ვებ გვერდების დიზაინი და ნავიგაცია შემუშავებულია ქართული და ინგლისური ენების სპეციფიკაციის გათვალისწინებით. მონაცემების შესანახად და მათთან სამუშაოდ გამოყენებულია Microsoft Access-ის ბაზები. GeREs-ის მონაცემთა ბაზის შევსება მიმდინარეობს სისტემატიურად და ის დიდ დახმარებას უწევს ყველას, ვისაც აინტერესებს ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

ინტერნეტის საინფორმაციო რესურსებს მკითხველები ძირითადად დამოუკიდებლად იყენებენ, ამიტომ მათ სჭირდებათ სწავლება, ინსტრუქციები და რჩევები, რაც თანამედროვე ბიბლიოთეკარის მოვალეობაა. IATP, ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო და სხვები თავიანთ ინტერნეტ-ცენტრებში ასწავლიან მკითხველებს, მაგრამ ეს გაცილებით ნაკლებია იმ მოთხოვნილებაზე, რომელიც არსებობს მკითხველებში. ბიბლიოთეკარები უფრო აქტიურად უნდა ასრულებდნენ ამ ფუნქციას.

ბიბლიოთეკარები ინტერნეტში წერთნას დღეისათვის ძირითადად ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, სულხან – საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში და IATP-ის ცენტრებში გადიან. ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციამ ბიბლიოთეკარებისათვის გამოაქვეყნა თანამედროვე დამხმარე სახელმძღვანელოები [4, 5], რომლებიც ძირითადად შედგენილი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში ნასწავლი სპეციალისტების მიერ. ინტერნეტს ამ სახელმძღვანელოებში სათანადო ადგილი უკავია.

ბიბლიოთეკარები მკითხველებს უნდა ეხმარებოდნენ არა მარტო უშუალოდ, არამედ ისინი თავიანთი ბიბლიოთეკების ვებ-საიტებზე უნდა ათავსებდნენ ინტერნეტის საინფორმაციო რესურსების ანალიტიკურ და ანოტირებულ მიმოხილვებს, სარეკომენდაციო სიებს და ა.შ. ინტერნეტის ეპოქაში, როდესაც ფართოდ ვრცელდება ელექტრონული წიგნების, ელექტრონული პერიოდული გამოცემების, ჰიპერტექსტური დოკუმენტების, მულტიმედიისა და სხვა ტიპის ელექტრონული მასალების გამოყენება, ახალ მნიშვნელობას იძენს ლექტოლო-

გია – მეცნიერება კითხვის შესახებ, რომელიც ყოველმხრივად და ფუნდამენტალურად არის ჩამოყალიბებული ჟურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” მთავარი რედაქტორის ალექსანდრე ლორიას მონოგრაფიაში [6].

ბიბლიოთეკის ვებ-საიტი არის არა მარტო დაშორებული მომხმარებლის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების წერტილი, არამედ დოკუმენტების სრული ტექსტების შეკვეთის, მიწოდებისა და მიღების საშუალება.

ღია საზოგადოება – საქართველოს დახმარებით საქართველოს ბიბლიოთეკებს, რომელნიც ჩართული არიან ინტერნეტში, შესაძლებლობა აქვთ უფასოდ მოემსახურონ მკითხველებს ელექტრონული დოკუმენტების მოძიების ფორმის – EBSCO-ს მონაცემთა ბაზებითა და ელექტრონული დოკუმენტებით ბიზნესის, მედიცინის და საზოგადოებრივი ინფორმაციის სფეროებში.

გარდა ამისა, საქართველოს ბიბლიოთეკებს შეუძლიათ მოემსახურონ დაშორებულ მომხმარებელს ელექტრონული დოკუმენტებით საქართველოში ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაციის დახმარებით. ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია შეუკვეთოს ნებისმიერ დიდ ქართულ ბიბლიოთეკას საავტორო უფლებების ვადაგასული ნებისმიერი დოკუმენტის ელექტრონული ასლი; ასეთ დოკუმენტს გადაიღებენ სკანერზე და ინტერნეტით გადაუგზავნიან შემკვეთს [7].

მიმართვა

1. <http://www.geres.ge>
2. ინტერნეტი ჟურნალისტებისათვის / მთ. რედ. ლ. ბერძენიშვილი. – თბ.: ცის ნამი, 1998. – 122 გვ.
3. ჩხენკელი თ., ჩხენკელი ნ. ინტერნეტი: ინფორმაციის ძიება მსოფლიო აბლაბუდაში: დამხმარე სახელმძღვანელო. – თბ.: ცის ნამი, 1999. – 126 გვ.
4. დამხმარე სახელმძღვანელო ბიბლიოთეკარებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისათვის. – თბ.: ისა, 2000.
5. Учебное пособие для участников регионального воркшопа “Региональный центр повышения квалификации для информационных работников и библиотечкарей”. – Тб.: АИС, 2000.
6. ლორია ა. კითხვა როგორც კვლევის საგანი. – თბ.: მეცნიერება, 1993. – 151 გვ.
7. <http://www.georgia.net.ge/laag>

ნიკო ჩხენკელი
აზნაურის სახელობის ინფორმაციის
განყოფილების სპეციალისტი



ზიგლიოთოჟა, წიგნები და სიყუით ოჟი...



ცნება „ცივი ომი“ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე წარმოიშვა. 40-იან წლებში, როდესაც ორი პოლიტიკური სისტემის სუპერ ძალების – შტატებისა და საბჭოთა კავშირის მსოფლმხედველობა და საპირისპირო ინტერესები ნათელი გახდა, ბრძოლა ძირითადად იდეოლოგიურ ფრონტზე იქნა გადატანილი. ერთ მხარეს იდგა ეკონომიკური პრობლემათა დატვირთული და დამძიმებული ამერიკის კაპიტალიზმი, რომელმაც იმ დროს მსოფლიოს პოლიტიკის როლი იკისრა, რათა ახალი რესურსები და იაფი მუშახელი ეშოვა. მეორე მხარეს – ავტორიტარული ანუ ტოტალიტარული ტიპის ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემა, რომლის სათავეში ახლად ჩამოყალიბებული კლასი იდგა, პოლიტიკურად ანგაჟირებული ხელმძღვანელობითა და პარტიული მუშაკებით. აი ეს კლასი, თავისი სახელმწიფო მოხელეების აღზრდაში, წიგნს მნიშვნელოვან ფუნქციას აკისრებდა, მით უფრო იმ დროს, როდესაც ახლადდაარსებული ტელევიზია მხოლოდ კულტურულ დელეგატებს განეკუთვნებოდა. წიგნის მეშვეობით აღმოცენდა და მრავალი წლების მანძილზე წარმატებით ფუნქციონირებდა სოციალისტური მითოსი, რომლის ცენტრშიც ადამიანის ახალი ტიპი – ე.წ. „კომო საბჭოელი“ იმყოფებოდა, რომელსაც შეეძლო ყველანაირ გარემოში და ყოველთვის მისი კლასობრივი მტრის იდენტიფიცირება, დარწმუნება და გადაწმუნება, ნებისმიერი მსჯელობის დროს იდეოლოგიური მოტივების დანახვა და, რაც მთავარია, „კომო საბჭოელი“ თავს თვლიდა უბედნიერეს ადამიანად, რომელიც უბედნიერეს ქვეყანაში დაიბადა.

ამგვარი მითოლოგიური არსების შესაქმნელად წიგნი და ბიბლიოთეკის სფერო იქნა გამოყენებული. წიგნი კი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომელიც ესთეტიკურ, რელიგიურ და ეკონომიკურ ინტერესებს არ გააღვიძებდა. ამ მიზნით შეიქმნა წიგნის სახელმწიფოებრივი ხასიათის განმსაზღვრელი კანონები. სახელმწიფო და პარტიული ხელმძღვანელობის ინფორმირების გარეშე წიგნის დაბეჭდვა არ შეიძლებოდა. სახელმწიფო გამომცემლობების გარდა სხვა კოპერატიული და კერძო გამომცემლობები არ არსებობდა. პარტიისა და სახელმწიფოს კონტროლის გაუმჯობესების მიზნით გამომცემლობების სისტემა პირამიდის პრინციპით იქნა აგებული. ამ მხრივ 1944-53 წლებში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა პირამიდის წვერში მოქცეული „გლავპოლიტიზდატ“-ი. 1963 წლიდან ბეჭდვის საქმეს სათავეში ჩაუდგა ბეჭდვის სახელმწიფო კომიტეტი. 70-იან წლების დასასრულს და 80-იანი წლების დასაწყისში იდეოლოგიური საფუძვლების გადახედვამ ხელი შეუწყო სხვადასხვა დადგენილებების მიღებას, რომლებიც საბჭოთა წიგნის ბაზარზე კიდევ უფრო მეტად ზღუდავდა დასავლეთისა და, საერთოდ, ყოველგვარ დემოკრატიულ ლიტერატურას. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დადგენილებები მიიღეს სკკპ 24-ე და 25-ე პლენუმებზე.

წიგნის პროპაგანდის დონის შეფასებისთვის მიღებული იყო შემდეგი კრიტერიუმები: კარგი ხარისხი, იდეოლოგია, დამაჯერებლობა და წიგნის გაყიდვა-გავრცელების უზრუნველყოფა.

„გოსპოლიტიზდატ“-ის დაქვემდებარებულ გამომცემლობე-

ბში, როგორცაა „მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი“, „ეკონომიკის ინსტიტუტი“ და „ვოენიზდატი“, გამოცემული წიგნები ძირითადად საქები ან კრიტიკული შინაარსისა იყო. კრიტიკა, პირველ რიგში, „ნატოს“, ამერიკული კაპიტალიზმსა და დასავლეთის ცხოვრების სტილს ეხებოდა, სადაც ხშირად ფიგურირებდა ცნობილი გამოთქმა „დამპალი კაპიტალიზმი“. ასეთი წიგნები მარქსის, ენგელსის და ლენინის ნაშრომებიდან ამოღებული ციტატებით იყო გაჯერებული. თითოეული წიგნი კლასობრივი ბრძოლის იარაღად ითვლებოდა.

პარტიულობა იყო მთავარი პრინციპი, როგორც გამომცემლების, ასევე ბიბლიოთეკების მუშაობაში.

60-იანი წლებიდან უცხოური ლიტერატურის გამოცემა დაეკისრა გამომცემლობა „პროგრესს“. ძირითადად იბეჭდებოდა სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების პროკომუნისტურად განწყობილი ავტორები: რ.როლანი, ა.ფრანსი, ა.ზეგერსი, ბ.ბრეხტი, ე.ჰემინგუეი და სხვ.

1963 წლიდან „პროგრესმა“ დასავლეთის ავტორების: პ. ჰესეს, გ. გრასის, პ. ბიოლის, რილკეს, სარტრის და სხვათა ადაპტირებული ნაწარმოებების გამოქვეყნება დაიწყო.

გამომცემის პირველი პრინციპი იყო თემატიკის შერჩევა, რამდენც მხოლოდ და მხოლოდ პარტიულობა მოიაზრებოდა. ამან განაპირობა პარტიული სხდომების მასალებისა და კომუნისტური პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოების ზღაპრული ტირაჟებით გამოცემა (57 364 000 !). ასევე უსაზღვროდ იცემოდა ლენინის შრომები (გამოცა 321-ჯერ 20 მლნ. ეგზემპლარი!)

თემატიკის შემდეგ გამომცემის საქმეში დიდი როლი ენიჭებოდა ორი მიმართულებით განვითარებულ გარე და შიდა ცენზურას. ამ მიზნით რედაქციაში მუშაობდა რედაქციის იდეოლოგიური განყოფილების წარმომადგენელი (კვბ-ს პირველი განყოფილება) ან რედაქციისა და გამომცემლობების საბჭო.

არალეგალური წიგნები. რადგან სახელმწიფო გამომცემლობებს არ შეეძლო საბჭოთა ხალხის ინტელექტუალური, დემოკრატიული, რელიგიური და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, 50-იან წლებში სპონტანურად განვითარდა აკრძალული ლიტერატურის კოპირების სისტემა. ძირითადად ამ მიზნით ქვეყნდება ე.წ. დისიდენტების, პოლიტიკური პუბლიცისტების, რუსული რომანის ახალი სკოლის წარმომადგენლების ნაწარმოებები. ავტორები ძირითადად საბჭოთა კავშირიდან გადასახლებულები ან ფსიქიატრიულ კლინიკებში გამომწყვდეულები იყვნენ. ესენი არიან: დანიელი, სინიაევსკი, ბროდსკი, სოკოლოვი, სახაროვი, ნეკრასოვი, სოლჟენიცინი, მაქსიმოვი და სხვ.

რუსულ ენაზე არალეგალური გზით გავრცელდა დასავლეთის ბევრი მწერლისა და ფილოსოფოსის ნაწარმოებები. მათ შორის იყვნენ: კაფკა, მარკესი, ჯოისი, ნიცშე, შპენკლერი და სხვ. მალე ასეთი გამომცემებისათვის სასჯელის სპეციალური პარაგრაფი შეიქმნა. ამდენად, რისკთან იყო დაკავშირებული ასეთი გამომცემების შენახვა...

ცივი ომის პერიოდში ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა



საბჭოთა ხალხზე პერიოდიკის პროპაგანდის ზემოქმედებას. 50-70-იან წლებში საბჭოთა გაზეთების მთავარი დატვირთვა ამერიკული პოლიტიკის, დასავლეთის ცხოვრების კრიტიკისა და საბჭოთა მორალის შესახებ საუბარზე მოდიოდა. ამგვარი ხასიათის გაზეთი იყო „პრავდა“. იგი 10 მლნ-ზე მეტ ევზემპლარად იბეჭდებოდა...

მილიონიან ტირაჟად გამოდიოდა ჟურნალი „კომუნისტი“. ამ დროს ოპოზიციური პერიოდიკა არ არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ 1962 წელს ჟურნალმა „ნოვი მირ“-მა გადაწყვიტა პირველად გამოექვეყნებინა სოლჟენიცინის ნაწარმოები „ერთი დღე ივან დენისოვიჩის ცხოვრებიდან“. ასევე წიგნი-„ადამიანების კანონის შესახებ არაადამიანურ სისტემაში“. შემდგომ პერიოდში მთელმა რიგმა რუსულმა ჟურნალებმა დაიწყეს ტოტალიტარნიზმის, სტალინის დიქტატურისა და 70-80-იან წლების პერიოდის მოვლენების გამოაშკარავება, რითაც სწრაფად და გამიზნულად მოუმზადეს ნიადაგი „პერესტროიკას“ და დააჩქარეს დემოკრატიზაციის პროცესი.

ცივი ომი ბიბლიოთეკის დარგში. საბჭოთა ხალხის იდეოლოგიურ ინდოქტრინაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრეთვე საბიბლიოთეკო სფერო, რომელიც პარტიის უზარმაზარ ბიუროკრატიულ აპარატს ექვემდებარებოდა. პარტია კი პასუხისმგებელი იყო არა მარტო ხელმძღვანელობაზე, არამედ ცენზურაზეც. საცენზურო კომიტეტი ავალდებულებდა ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს, სისტემატურად ჩაეტარებინათ აგიტაციური სამუშაოები, განსაკუთრებით სამეცნიერო და მასობრივ ბიბლიოთეკებში. ცკ-მ ყველაფერი გააკეთა, რათა ბიბლიოთეკები პარტიული ორგანოების ძირითად დასაყრდენად ექცია და განვეითარებინა ისინი მშრომელების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის იდეოლოგიურ ცენტრად. დასავლეთის მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლაში ადამიანების იდეოლოგიურად აღზრდისათვის ბიბლიოთეკას მთავარი როლი უნდა შეესრულებინა.

1946 წლის ცკ-ს დადგენილება კომკავშირელების როლის შესახებ ლიტერატურის პროპაგანდაში, ავალდებულებდა კომკავშირელებს დაეჭირათ მხარი ბიბლიოთეკის პოლიტიკური საჯარო მუშაობისათვის და საწარმოებში, კოლმეურნეობებში სისტემატურად ეკითხათ პოლიტიკური ლიტერატურა.

1960 წელს ცკ-ს დადგენილებებით „პარტიული პროპაგანდა“ და „პარტიის შემდგომი იდეოლოგიური დავალებები“ შემუშავდა „მშრომელებში იდეოლოგიური მუშაობის განმტკიცების პროგრამა“...

მას შემდეგ, რაც ცკ-ს დაექვემდებარა 1953 წელს დაარსებული კულტურის სამინისტრო, მას ძირითადად დაევალა ბიბლიოთეკებში საქმიანობის კოორდინაცია, ასევე კონტროლი იდეოლოგიური სამუშაოების განმტკიცებისათვის. 1975 წლიდან ბიბლიოთეკების შემოწმების ფუნქციაც კულტურის სამინისტროს გადაეცა. ამის შემდეგ ბიბლიოთეკების კონტროლი უფრო მკაცრი და პოლიტიზირებული გახდა. დიდ სახელმწიფო ბიბლიოთეკებში გაიხსნა სპეც. განყოფილებები, რომელთა საქმიანობა ხელმძღვანელობასთან და ცენზურასთან იყო კავშირში.

თითოეულ ბიბლიოთეკაში იყო ე.წ. სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი, რომელიც როგორც პროფესიულ საკითხებზე, ისე ბიბლიოთეკის იდეოლოგიურ ასპექტებზეც ზრუნავდა.

ბიბლიოთეკებში მითითებებით, ინსტრუქციებით, რჩევებით, დებულებებით და თემატური გეგმებით მიმდინარეობდა

სააგიტაციო მუშაობა. სისტემატურად იმართებოდა თემატური გამოფენები, კონფერენციები, ღონისძიებები, პოლიტიკური დებატები, დისკუსიები.

ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირში ბიბლიოთეკების ფონდების განვითარება თავისებური იყო. დომინირებდა პარტიულობის პრინციპი. ყველგან, განსაკუთრებით დიდ ბიბლიოთეკებში, ყალიბდებოდა სპეც.ფონდები. ასეთი ფონდებიდან წიგნების გაცემის ნებართვა სამინისტროებისა და სხვა მრავალი ინსტანციის გავლით უნდა მიეღო.

კატალოგების განვითარება ითვალისწინებდა საბჭოთა საბიბლიოეკო – ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის დამუშავებას. იგი მარქსისტული პრინციპით იყო აგებული: კატალოგში წიგნები მარქსისტულ – ლენინური კლასიფიკაციითა ნაწარმოებებით იწყებოდა.

მკითხველებზე იდეოლოგიური ზემოქმედების გაფართოების მიზნით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიას. ფიქრობდნენ, რომ ამ გზით შესაძლებელი იყო მკითხველის მართვა.

საბჭოთა ბიბლიოთეკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან იდეოლოგიურ ფუნქციას ლიტერატურის დაკომპლექტება წარმოადგენდა, რასაც ბიბლიოტეკორი (გერმანული „ლექტორატის“ მსგავსი) ახორციელებდა. დაკომპლექტების თანამშრომლებს ყველაზე მეტად ევალებოდათ იდეოლოგიური კრიტერიუმების დაცვა და თვალყურის დევნება შემოსულ ლიტერატურაზე (არ უნდა გაპარულიყო ანტისაბჭოთა ლიტერატურა!). პრინციპში ბიბლიოტეკორი იყო წინა ფრონტი იდეოლოგიური მტრის წინააღმდეგ. დაკომპლექტების თანამშრომლები ახარისხებდნენ წიგნებს და შემდეგ, იდეოლოგიური კრიტერიუმის მიხედვით აგზავნიდნენ მთავარ და სპეც.ფონდებში. ზოგიერთ ბიბლიოთეკაში ამგვარი სამსახურები სხვა დავალებებსაც ასრულებდნენ. ამ განყოფილების თანამშრომლებს ევალებოდათ მოეძიათ და ეყიდათ წიგნები კერძო კოლექციებიდან, რომ სპეც.ფონდები შეეყოსთ. ამ გზით არასასურველი ლიტერატურის რიცხვი შიდა წიგნის ბაზარზე საგრძობლად მცირდებოდა...

დღეისათვის, ზემოაღნიშნული საკითხების შესწავლა ხელს შეუწყობს თანამედროვე რუსეთის (ყოფილი საბჭოთა სივრცის) წიგნის სამყაროს და ბიბლიოთეკებს ნეგატიური ასპექტების თავიდან აცილებაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება აღარ დაუბრუნდეთ ე.წ. ცივ ომს.

შემოკლებული თარგმანი ვიანესლავ ნოურგალიევის სტატიისა “der Kalte Krieg Buch und Bibliothekswesen der Sowjetunion” // Bibliothek, 24. – 2000. - № 2. – s. 182-188

გერმანულიდან თარგმანა მაია ფალავანდიშვილმა

The German journal had published an article dealing mainly with the politicization moments of books and libraries in the Soviet Union during the “cold war” period. These events were well-known to us, but this article was rather interesting for that how these events had been seen from the point of view of the foreigners.

რუსული ბიბლიოთეკათმცოდნეობითი და ბიბლიოგრაფიული პერიოდული გამოცემები


(ზოგადი მიმოხილვა)

რუსეთში საბიბლიოთეკო საქმისა და ბიბლიოგრაფიის დარგში პროფესიულ პერიოდულ გამოცემებს ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. პირველი ბიბლიოგრაფიული ჟურნალი რუსეთში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. პროფესიული პერიოდული არა მარტო ასახავდა რუსეთის საბიბლიოთეკო სინამდვილეს, არამედ აქვეყნებდა რეკომენდაციებსა და ნორმატიულ მასალებს ბიბლიოთეკებისათვის, ქმნიდა ხელსაყრელ ნიადაგს საბიბლიოთეკო თეორიისა და მეტოლოგიის განვითარებისათვის. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე საქართველოს ბიბლიოთეკები უზუად სარგებლობდნენ რუსული პროფესიული ჟურნალებით, ეცნობოდნენ მსოფლიოს მოწინავე საბიბლიოთეკო აზრს, ქართველი სპეციალისტები, პრაქტიკოსები, ბიბლიოთეკათმცოდნეები თვითონაც აქვეყნებდნენ საინტერესო მასალებს საქართველოში საბიბლიოთეკო საქმისა და ბიბლიოგრაფიის საკითხებზე. რუსული პროფესიული ჟურნალები სრულყოფილად აშუქებდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემების მუშაობის ამსახველ მასალებს; ასეთი წერილები მიეძღვნა გურჯაანის, თელავის, ქუთაისის, ხობის, ქობულეთის და სხვ. რეგიონების ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემების მუშაობის გამოცდილებას.

1990-იანი წლების შემდეგ, ცნობილი გარემოებების გამო, საქართველოს ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი საერთოდ არ ღებულა რუსულ პროფესიულ პერიოდულს; ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, დიდი დანაკლისია ბიბლიოთეკართა პროფესიული ზრდის გზაზე. აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ რუსულენოვანი პროფესიული პერიოდული არ წარმოადგენს მხოლოდ რუსეთის საბიბლიოთეკო ცხოვრების სარკეს. მასში ფართოდ აისახება საერთაშორისო ნორმატიული აქტები, წესდებები, დებულებები და სხვ. ხასიათის სახელმძღვანელო მასალები, რომელთა გაცნობა ქართველ ბიბლიოთეკარებს ბევრს შესძენს. ჩვენი ჟურნალის მითხველებს ამჯერად ვთავაზობთ მოკლე ინფორმაციებს მხოლოდ ოთხი რუსული პროფესიული ჟურნალის შესახებ.



ჟურნალი "БИБЛИОТЕКА" დაარსდა 1910 წელს. ეს არის მასობრივი პროფესიული ილუსტრირებული ჟურნალი, გამოდის თვეში ერთხელ. ჟურნალს ჰყავს მეტად ფართო აუდიტორია. იგი თანმიმდევრულად ასახავს რუსეთის, და არა მარტო რუსეთის, საბიბლიოთეკო პრაქტიკას, აქვეყნებს მოწინავე გამოცდილების ამსახველ მასალებს. 1980-იანი წლებიდან ჟურნალში გამოქვეყნდა მეტად საინტერესო მასალები ბიბლიოთეკათმცოდნეობის, სოციოლოგიის, კითხვის კულტურის, საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაციისა და სხვ. საკითხებზე. 1923-1946 წლებში ჟურნალი გამოდიოდა "Красный библиотекарь"-ის სახელწოდებით. 1946-1992 წწ. "Библиотекарь"-ის სახელწოდებით. ჟურნალი საკმაოდ პოპულარულია საქართველოს ბიბლიოთეკებში.




ჟურნალი "БИБЛИОТЕКОВЕДЕНИЕ" სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის ჟურნალია. დაარსდა 1952 წელს. 1952-1966 წწ. გამოდიოდა სახელწოდებით "Библиотекарь СССР. Опыт работы". 1967-1973 წწ. გამოიცემოდა სახელწოდებით "Библиотекарь СССР". 1973-1993 წწ. გამოდიოდა "Советское библиотечное ведение"-ის სახელწოდებით. 1993 წლიდან გამოდის "Библиотековедение"-ის სახელწოდებით. წელიწადში გამოდის 6 ნომერი. ჟურნალში საკმაოდ პროფესიულ დონეზე

წეზე შუქდება ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და მისი მონათესავე მეცნიერებათა ზოგადთეორიული ხასიათის მასალები; აქვე შევხვდებით პრაქტიკული ხასიათის წერილებს საბიბლიოთეკო საქმისა და ინფორმატიკის სფეროებიდან. ჟურნალმა დიდი როლი შეასრულა ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც მეცნიერული დისციპლინის ჩამოყალიბებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებებთან ინტეგრაციის საქმეში. ჟურნალი ამავე დროს დიდ ადგილს უთმობს საზღვარგარეთული ბიბლიოთეკათმცოდნეობითი ხასიათის მასალების გამოქვეყნებას. ჟურნალს გამოსცემს რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკა.

"НАУЧНЫЕ И ТЕХНИЧЕСКИЕ БИБЛИОТЕКИ" დაარსდა 1961 წელს.



გამოცემელი: რუსეთის ფედერაციის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტრო და რუსეთის სახელმწიფო სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა. გამოდის ყოველთვიურად. აშუქებს საბიბლიოთეკო საქმის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს. 1961-1969 წწ. გამოდიოდა სახელწოდებით "Технические библиотеки СССР. Опыт работы". 1969-1991 წწ. მას ეწოდებოდა "Научные и технические библиотеки СССР". 1992 წლიდან გამოდის "Научные и технические библиотеки"-ს სახელწოდებით. ჟურნალი ძირითადად აშუქებს სამეცნიერო და ტექნიკური ბიბლიოთეკების მუშაობის ამსახველ მასალებს. 1990-იანი წლების შემდეგ ჟურნალის ძირითადი მიმართულებაა ბიბლიოთეკების ავტომატიზაციისა და კომპიუტერისა პრობლემების გაშუქება. ჟურნალი იმავე დროს აშუქებს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ცხოვრების ამსახველ საინტერესო მასალებს.



"БИБЛИОГРАФИЯ" - რუსეთის სახელმწიფო წიგნის პალატის სამეცნიერო-თეორიული და სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. გამოდის ყოველთვიურად 1929 წლიდან. 1933-1993 წწ. გამოდიოდა "Советская библиография"-ის სახელწოდებით. 1992 წლის №3-დან გამოდის ძველი სახელწოდებით.

ჟურნალი აშუქებს ბიბლიოგრაფიული მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებს.



რედაქციას განუზრახული აქვს, შურნალის ფურცლები აპერიოდულად საბიბლიოთეკო სამუშაოს ისტორიას დაუთმოს. მასალაში გამოქვეყნდება არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არამედ მათი დასაბამიდან მომზადების მიხედვით. ის თემა, რომელსაც მკვლევარი ნ. მელქაძე ვითარავს, აქამდე ჯერჯერობა არ არის შესწავლილი. იმიტომ, ამ მიმართულებით კვლევა გაგრძელდება.

სანმოკლე გზის სანყის-სასრული

მოკლე ისტორიული ნარკვევი საქართველოს პირველი პარლამენტის ბიბლიოთეკის შესახებ (1918 - 1923)

1918 წლის მაისში თბილისში დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით დაარსდა პირველი საპარლამენტო ტიპის ბიბლიოთეკა. ტრადიციულ საპარლამენტო ბიბლიოთეკის ტიპის მიხედვით შექმნილ ამ ბიბლიოთეკას, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეკმაყოფილებინა ამიერკავკასიის სეიმის წევრების საინფორმაციო მოთხოვნილებები - როგორც სახელმწიფოს მოწყობისა საერთოდ, ისე - საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ. ამ ამოცანამ განაპირობა მისი დაკომპლექტების თემატიკა: ეკონომიკა, სამართალი, სოციოლოგია, ფილოსოფია, გამოყენებითი მეცნიერებანი, კავკასიათმცოდნეობა. საწყის ეტაპზე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა დაეკისრა სპეციალურ საბიბლიოთეკო კომისიას, რომლის კომპეტენციაში შედიოდა როგორც ბიბლიოთეკის დაკომპლექტება, ასევე მისი საქმიანობის ორგანიზება. ბიბლიოთეკა არ იყო ყველასათვის ხელმისაწვდომი. საბიბლიოთეკო კომისიის გადაწყვეტილებით, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, ბიბლიოთეკით სარგებლობა მხოლოდ სეიმის მონაწილეებს შეეძლო.

თავისი განვითარების გზაზე მეტად არეულ-დარეულ ისტორიულ პერიოდში ორგანიზებულმა ბიბლიოთეკამ (1918 წლის მაისიდან 1923 წლამდე) 5-ჯერ გამოიცვალა თავისი დანიშნულება და, აქედან გამომდინარე, სახელწოდებაც: პირველად იყო „პარლამენტის ბიბლიოთეკა“ (ამიერკავკასიის სეიმის), მოგვიანებით - „საქართველოს დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკა“; გასაბჭოების შემდეგ - 1921 წ. 25 თებერვლიდან - ბიბლიოთეკა საქართველოს რევკომის სამმართველოს განკარგულებაში გადადის და „საქართველოს რევკომის ბიბლიოთეკა“ ეწოდა. ამავე წელს გადაერქვა სახელწოდება და გახდა „საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ბიბლიოთეკა“; 1922 წელს იგი გადადის საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის გამგებლობაში და სახელდება როგორც „საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური აკადემიური ბიბლიოთეკა“.

ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში. 1918-1921 წლებში სასახლის შიგნით სამჯერ შეიცვალა ადგილი - ხან დასავლეთის მხარე ეჭირა, ხან - ჩრდილოეთის, ხან - აღმოსავლეთის. (მატატაშვილი. - 1933)

ბიბლიოთეკას საფუძვლად დაედო 1918 წელს ცნობილი კავკასიათმცოდნის ე. ვეიდენაუმიხსაგან შექმნილი 3.500 ტომისაგან შედგენილი კოლექცია, რომელიც ძირითადად შედგებოდა კავკასიათმცოდნეობითი წიგნებისაგან: ისტორია, ფოლკლორი, გეოლოგია, მედიცინა, ეთნოგრაფია, ეთნოგრაფია, სოციოლოგია რუსულ და ევროპულ ენებზე.

1919 წლის დასაწყისში საბიბლიოთეკო კომისიამ გ.გუხტმანის პირადი ბიბლიოთეკიდან 800 ტომი მიიღო - ფილოსოფიის, ეკონომიკის, სამართლის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, რელიგიის, სოციოლოგიის დარგში, და წიგნები კავკასიათმცოდნეობის ფართო სპექტრის საკითხებზე, როგორც რუსულ,

ისე ევროპულ ენებზე (1923 წლის ანგარიში).

1919 წელს ყოფილი მეფისნაცვლის კანცლარიიდან ბიბლიოთეკას 5.000 ტომი გადაეცა, ძირითადად საუწყებო ლიტერატურა კავკასიის შესახებ, აგრეთვე რუსეთის კავკასიის პოლკების ისტორია და აქაური ომების ამსახველი პუბლიკაციები.

1920 წელს ბიბლიოთეკისათვის შექმნილ იქნა ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნ. ნიკოლაძის კოლექცია ძირითადად ფილოსოფიის, სამართლისა და პუბლიცისტიკის დარგში; მრავლად იყო 1860 - 1890 წლების რუსული პერიოდიკა, აგრეთვე საფრანგეთის პარლამენტის ბიულეტენებისა და ანგარიშების თითქმის ასწლოვანი სრული კომპლექტები.

1920 - 1921 წლებში ნაწილ-ნაწილ იქნა შექმნილი ძმები თამაშველების ბიბლიოთეკა, რომელიც ძირითადად თეატრალური ხელოვნებისა და ისტორიული ლიტერატურისაგან შედგებოდა.

დიდი წიგნადი კოლექციების შექმნასთან ერთად, ბიბლიოთეკას შედარებით მცირე წიგნადი შენაკრებები და ცალკეული გამოცემებიც ემატებოდა. ასე მაგალითად, 1920 წელს შექმნილი იყო ვინმე მარკოზოვის რაოდენობით მცირე, მაგრამ შინაარსობრივად მეტად ძვირფასი წიგნების კოლექცია, ძირითადად მხატვრული ლიტერატურის თანამედროვე კლასიკოსებისა. სულ საბიბლიოთეკო კომისიის მიერ მოპოვებული იყო დაახლოებით 20.000 ერთეული წიგნი და პერიოდიკული გამოცემები (ნ. ლორქიფანიძე. - 1941).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ აკადემიურ ბიბლიოთეკას (სსცაბ) მრავალი ნაციონალიზებული კოლექცია გადაეცა: 1921 წ. დანის პირადი ბიბლიოთეკიდან - 400 წიგნი, ძირითადად ბელეტრისტიკა და პუბლიცისტიკა რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე; 1922 წ. - პროფ. ფ. სმირნოვისა, რომლის კოლექციიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებები ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, აგრეთვე ისტორიული და პედაგოგიური პროფილის წიგნები. ამავე წელსვე ბიბლიოთეკას შეუერთდა სმირნოვის კოლექცია, აგრეთვე მეცენატისა და ბიბლიოფილის, ზუბალაშვილის კოლექცია 800 წიგნის ოდენობით, უპირატესად რუსულად თარგმნილი ბუნებათმცოდნეობითი და ტექნიკური ლიტერატურა, აგრეთვე ლიდროსა და დალამბერის დიდი ფრანგული ენციკლოპედია.

1918 წ. ბიბლიოთეკის შტატი 6 ერთეულს შეადგენდა. პირველი დირექტორი იყო ილია ნაყაშიძე - ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. მოადგილედ ჰყავდა პროფ. გიორგი ჩუბინაშვილი. 1919 წ. თებერვალში შტატი 8 კაცამდე გაიზარდა; დირექტორად დაინიშნა პროფ. გიორგი გუხტმანი, პირველ მოადგილედ - ვ. ელსნერი. 1921 წ. შტატი

10 კაცამდე გაიზარდა. 1922 წლის დასაწყისში ბიბლიოთეკიდან მიდიან ვ. ელსნერი და მეორე მოადგილე ნ. რომანოვი. განათლების სახალხო კომისარი მოადგილედ ნიშნავს ბ.რუდე-ნოს.

როგორც ვხედავთ, ბიბლიოთეკა საკმაოდ ეფექტურად კომპლექტდებოდა შეწირულებებითა და კოლექციების ხარჯზე, მაგრამ რაც შეეხება დამოუკიდებლად ახალი წიგნების შექმნას, ამაში მას პრობლემები ჰქონდა. მაგალითად, თუ ბიბლიოთეკის 1923 წლის ანგარიშს მივმართავთ, მასში ნათლად ნათქვამი, რომ 1922 წელს ბიბლიოთეკა არასისტემატურად იკრებოდა ახალი გამოცემებით, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, წიგნსაყაჭრო ორგანიზაციებთან ცუდი თანამშრომლობით, მეორე მხრივ, უსახსრობით. როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის სამეცნიერო ცხოვრება მოწესრიგებულია, ნათქვამია ანგარიშში, ბიბლიოთეკა მზად უნდა იყოს უზრუნველყოს მეცნიერთა და პოლიტიკოსთა მოთხოვნილებები ინფორმაციასა და წიგნებზე, როგორც ადრეული, ისე მიმდინარე გამოცემებზე; დაკომპლექტებისას დაშვებული ღაკუნების გამო ბიბლიოთეკას გაუჭირდება შეასრულოს უშუალოდ თავისი დანიშნულება. (1923 წ. ანგარიში). ანგარიშში აღნიშნულია გარკვეული წარმატებებიც: უკრაინის წიგნის პალატიდან საუკლებული ეგზემპლარების სახით დაიწყო უკრაინაში გამოცემული წიგნების პირველი პარტიის შემოსვლა; მოსკოვის წიგნის პალატიდან მოვიდა შეტყობინება, რომ საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა შესულია იმ 25 ბიბლიოთეკათა რიცხვში, რომლებიც ბეჭდური პროდუქციის საუკლებული ცალებს მიიღებენ.

1923 წლისათვის ბიბლიოთეკის ფონდი 70 ათას ტომს

აღწევს. სსცაბ-ი საქართველოში ერთადერთი არ იყო, რომელსაც მოსკოვიდან და ხარკოვიდან საუკლებული ცალები მოსდიოდა. საერთო გაუგებრობის შედეგად, საუკლებული ცალები ხვდებოდა როგორც ა.ს. პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკაში, ისე კავკასიის მუზეუმის ბიბლიოთეკაში და სხვ. საჭირო გახდა საქართველოში გამოყოფილიყო ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკა. ტიპოლოგიური თვალსაზრისით, სსცაბ-ი უნივერსალური კომპლექტაციის საჯარო ბიბლიოთეკას არ წარმოადგენდა. საუკლებული ეგზემპლარების მიღების უფლება მტკიცედ რომ დაეკვიდრებინა, ამიტომაც აღიძრა შუამდგომლობა ზემდგომი ორგანოების წინაშე, რათა ბიბლიოთეკისათვის შეეცვალებათ სახელწოდება და მას „საქართველოს რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკა“ დაერქმეოდა. 1922 წლის ბოლოს სახალხო განათლების კომისარი შუამდგომლობს სახალხო დეპუტატების საბჭოს წინაშე, რომ სსცაბ-ი გარდაიქმნას „სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკად“. ეს ვერ განხორციელდა - გაიხსენეს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა - მთელი კავკასიის ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომლის რეფორმაცია უკვე იდგა დღის წესრიგში, და ამ საკითხის განხილვის შედეგად, 1923 წელს საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურმა აკადემიურმა ბიბლიოთეკამ შეწყვიტა არსებობა. მისი უნიკალური კოლექცია, შეერწყა რა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებს, გადაეცა საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკას. ღირეჭტორად დანიშნა გ. გეხტმანი.

ნიწალი ვილჰამი,

საქართველოს კარლამხმინის მროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სამხივალისტი

ტერიმინოლოგიური კიხვანი

წერი (ჭარი, ჭარი...) ფუქვითაბან ნაწარმოები კალეობრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი ტერიმინები ქართულში

ა) წერი

წერი ფუქე ერთ-ერთი უძველესია ქართულ ენაში. მეგრულ-ჭანურში მისი შესატყვისია (ჭან), (წ)ჭარ, (მეგრ) ჭარ. აგებულების მიხედვით ქართულსა და მეგრულ-ჭანურს შორის კანონზომიერი შესატყვისობა გვაქვს, მნიშვნელობაც ერთი და იგივეა [1,407]. არნ. ჩიქობავა კითხვას სვამს: ერ//არ ძირეული მასალა თუ დეტერმინანტი სუფიქსი? [1, 407]. სხვა ნაშრომში გველევარს წერი//ჭარ ფუქისეული ერ//არ ელემენტი უფრო დეტერმინანტი სუფიქსად მიაჩნია, ფუქე კი 'პირველად ზმნურ ფუქედ' [2,122]. სვანურში ამ ფუქის შესატყვისია მრ/რ/ერ - ჩუამრ 'ღაწერა', ლარ 'წერილი', ლი-რ-ე 'წერა' [3,460]. როგორც ჩანს, სვანურში წარი-ის ეკვივალენტი დაყარგულია. გ. კლიმუმა საერთო-ქართველური ფუქე ენისათვის აღადგინა (წ)წერი- არქეტიპი [4,249].

ძველი ქართული ენის წერილობით ძველებში წერი ფუქისაგან ნაწარმოებია როგორც ზმნის პირიელი, ისე უპირო, ნაზმნარი სახელები: წერი-ს, ნა-წერი-ი, წერი-ილი-ი, სა-წერი-ელი-ი, მ-წერი-ალი-ი... სწორედ აქედან წარმოდგა არა ერთი პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი ტერიმინი, როგორიცაა:

- 1. წერი-ი მოქმედება, რომლის დროსაც წერი, ჩხვლუტა, კა-წერი ხდება.
2. და-მ-წერი-ელი-ი, მ-წერი-ალი-ი, მ-წერი-ი, - ის, ვინც (ხელით) წერი, ჩხვლუტს. მისი სინონიმი ძველსავე ქართულში არის 'წიგნობარ' ლექსემა, რომლის ძირი (წიგნ) ბერძნულიდან მომდინარეა, მ-წერი-იც მწერალია. მ-წერი-ია ის, ვინც ჩხვლუტს, მწვლუტია. ანალოგიური ვითარება გვაქვს მთის იბერიულ-კავკასიურ



ენებშიც. კერძოდ, უდიურ ენაში კალბესუნ "ჩხვლე-ტის მიყენება, დარის გაველება; გაყაწურა; განხ-ზეა(წყაითხვა)." აგრეთვე: ყოლ(სკალ) "ხელწერა, ჩხვლე-ტის მანერა, ხელმოწერა, ფაქსიმილე"[22,398,465].

3. დიდი აღმწერალი (// აღმწერელი). როგორც ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, ძველ ქართულში, კერძოდ, ათონის ქართველთა მონასტრის ალაპებში, მე-12 ს. ერთ-ერთ ალაპში 'დიდი აღმწერალი' თანამდებობის პირს ნიშნავს (ვალის გადაუსდელიობის გამო იყო "სოფელი დაჭერილნი... დიდისა აღმწერალისაგან სამეფუფიძეთა ბრძანებითა... აღილო წიგნი სიმტიციისამა... რომელსა ზედა არის ბეჭედი პროტონოტარისამ და დიდისა აღმწერელისა [5,48-49].

4. წარ-მ-წერ-ელ-ი. ეს ლექსემაც პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი ტერმინია. წარმწერელი ძველად ნიშნავდა იმ ხელისაწესს, რომელიც წარწერას ამოჭრიდა ან გამოაქანდაკებდა [5,48].

5. სა-წერ-ელ-ი. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა თითქმის მივიწყებულია. ქართული ენის იმერულ კილოში საწერელი დუდკოს, ფრჩხილის ავადმოყოფობას ნიშნავს [6,46]. საწერელია ის, რაც გჩხვლეტს ფრჩხილში, ნუნასთან... ის, რაც მჭამელია. ძველ ქართულში კი ამ სიტყვას სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. 6. ჩუბინაშვილის განმარტებით, საწერელი მელნის ჭურჭელია წერისათვის შექმნილი, ე.ი. სამეღნე, ხოლო ზოგან კალამსაც ნიშნავს[7,357]. ამ სიტყვის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს ივ.ჯავახიშვილი. 'საწერელი ძველად ყოველ განათლებულ ადამიანს უნდა ჰქონოდა, კაცი იქნებოდა თუ ქალი. მდივან-მწიგნობარს უიძისოდ თავისი მოვალეობის შესრულება არ შეეძლო. საწერელი იარაღის ერთგვარ საცავად ჩანს და ზოგჯერ მდიდრულად იყო შექმნილი. ხან თევზის კბილისა კეთდებოდა, ხან სადაფისაგან, რაზები ჰქონდა დასაკეტავად ან კეთცხლის თავი ებურა. შიგ ამ საწერი იარაღის საცავში, თვით იარაღს გარდა, მთელი 'გაწყობილობა'ც ელაგა. ეს გაწყობილობა, რასაკვირველია, რამდენიმე ლერწმის ნაჭრისაგან შედგებოდა, რომ ძველი გაცვეთილ-დამოკლებული საწერი იარაღის მაგიერ მწერალს ახალი გაეკეთებინა[5,42]. XVIII ს. დამდეგიდან ზოგჯერ საწერ-კალამი საშლენსა და კალამს ნიშნავდაო, დასძენს მკვლევარი და თქმულის ნათელსაყოფად დ.გურამიშვილის 'დავითაინიდან' ერთ-ერთ ადგილს იმოწმებს: კახთ-ბატონმა 'მოსთხოვა გურგენს მდივანსა ქალაღდი, საწერ-კალამი' [5,41].

6. სა-წერ-ი ენებითი გვარის, მყოფადი დროის მიმღებობა. იგი ორი მნიშვნელობით იხმარება: 1)რაც უნდა წერონ, ე.ი. დასაწერი. 2)რითაც ან რაზეც უნდა წერონ, წერისათვის განკუთვნილი[8,923]. წერილი იგივე წიგანი;

7. ნაწერი: ნაწერი კი წერილთ ნაწილი [9,587], წერილი 'ეწოდების ყოველთა კალამთაგან აღწერილსა, გინა ბეჭდის ტფიფართაო- განმარტავს ს.ს. ორბელიანი [9] - ამრიგად, წერილი ყოველი მწერლობის ძველია, ხოლო 'ნაწერი- ამ ძველთა შინა-არსის აღმბეჭდელი ნაწილი [5,69].

8. გარდა-ნა-წერი-ი - ეს ლექსემაც პალეოგრაფიული- წიგნმცოდნეობითი ტერმინია; იგი ერთჯა გადაღებულ პირს[5,72].

9. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, კერძოდ ანდერძ-მინაწერებში წერ-ფუძისაგან ნაწარმოებია ისეთი თხზული, პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი ტერმინები, როგორცაა: ~წერა, ზომად წერა, უცბად წერა, ფარხზად წერა, უცბად მწერალი, ~მწერალი ნაკრიანი (=ყუღად მწერალი), კელითად წერა, გამართვით წერა, კიდესა წარწერა, უცბად წერა, კახელად დაწერილი, პავველად დაწერა, აშლით წერა, დაფანჯულად წერა [5,49;53;51;68; 69]; წარწერა (=ხელმოწერა) [12,265] წერა, წერით მოსაქმება (=გადაწერა), წერიება(=დაწერინება), წერითი(=დაწერილი)[12];

10. წერაქეი. ეს ლექსემა თავისი აგებულებით კომპოზიტია, რომლის პირველი ნაწილია წერა, ხოლო მომდევნო - ქეა; წერა ძველად ჭრას, კვეთას ნიშნავდა; სწორედ აქედან მივიღეთ თხზული სახელი წერაქეი ე.ი. ქვის საჭრელი, საკვეთი; ~წერა' ხვნის მნიშვნელობით (~მიწის ჭრა, კვეთა-) მითან საქართველოში და ~წერეული- ~ ყანის ნაკრეფი, შეკონილი ~საწერეული- ე.ი. მჭამელი, მჭრელი, (ს.ჯანაშია); ეს ტერმინები, როგორც შ.ძიძიუერი წერს,

ქართველთა უძველესი წინაპრების დამწერლობაზე უნდა მიუთითებდეს, როცა ლურსმული წერა იყო გავრცელებული [10,128]; წერაქე ლექსემას, გარდა ზემორე მნიშვნელობისა ძველ ქართულ ტექსტებში ჩაქუჩის მნიშვნელობაც აქვს: ~ცულითა და წერაქეთა დაამშუნეს იგინი ფს,736 'ვითარცა წერაქე, რომელმან განკუეთის კლდმ იერემ, 23,29 წარიღეს თანა წერაქე და ერთად და ქვისა აღმოსაყუეთელნი 'სინ-11.242 V[11,542].

ამრიგად, წერაქეი იმდროინდელი ტერმინია, როცა ქართველები ქეაზე (ან ქეით) წერდნენ;

11. წერაყინი/წერაყანი; ეს ლექსემა, როგორც ჩანს, ახალია; იგი არ დასტურდება სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების, ილია აბულაძის, ზ.სარჯველაძის ლექსიკონებსა და ჩვენ მიერ მოძიებულ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში; ქველ-ის მიხედვით, წერაყანი ყინულისა და მაგარი ქანების სათხრელი წერაქვის მსგავსი რკინის იარაღია (წერაქვისაგან განსხვავებით ტარი წვეტანი რკინით ბოლოვდება), სიარულის დროს ჯოხის მაგივრობასაც ეწევა [8,1058], ჩვენი მხრივ დავეძინთ, რომ წერაყინი ალბინისტების, მეკლდეურთა განუყრელი იარაღია 'თვით ტერმინიც წერაყინი, როგორც ჩანს, საგანგებოდ შექმნილია; წერაყინი = ყინულის წერა, ყინულის გახვრეტა,ჭრა. წერაყინის სახესხვაობას როგორც ფორმობრივად, ისე შინაარსით, წარმოადგენს მოხუერი კილოს კუთვნილება წერაყანი, რაც ნიშნავს სანადირო ჯოხს; მას ერთ მხარეზე გაკეთებული აქვს გაღუსილი რკინა [8, 1058]

ამრიგად, წერაყინი/წერაყანი წერაქვის მსგავსი წვეტანი სანადირო (resp; სპორტული) იარაღია.

12. ზედაწერილი, შთაწერილი; ძველად საქართველოში ქეაზე და სხვა მაგარ ნივთიერებაზე გამოყვანილ სიტყვასა თუ აზრს, რასაც ახლა წარწერა ეწოდება, ზედაწერილი ერქვა, ხოლო შთაწერილი ამოჭრილ ასოს ნიშნავდა [5,27].

ბ) წერტ/წერ

წერ ფუძე ქართულში უხმოვნო, შეკუმშული ვარიანტიცაა გვაქვს წერ->წრ; შდრ. წრე (<-წერ-ე) აქედან წრეწირი, წრიალი, ის, რაც წრიალბებს, წრეს აკეთებს, წრიალაა ის, რაც ერთ ადგილას ვერ ისვენებს; წრიალა ორი მნიშვნელობით იხმარება: 1; 'უმცირესი ჩიტი' [16,1694], 2; კუთხ; (იმერ); ღია წაბლისფერი, პატარა მრავალფეხა მწერი, სწრაფად მოძრაი და გამძრომ-გამძრომი, შხამიანია [8,1171]

წერ ძირი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში წარმოდგენილია წერტ ფუძით, რომელშიც ტ ყრუ-მკვეთრი თანხმოვანი წარმოშობით ზმნის ფუძის საწარმოებელი ბოლოსართია, ე.წ. 'თემის ნიშანი', რომლის სრული ვარიანტი ისტორიულად უნდა ყოფილიყო ეტ-ედ არქეტაში. ამრიგად, წერტ-(წერტ-წერედ/წერეთ. ვფიქრობთ, ყოველივე ეს ნაირსახეობა ძველ ქართულშივე პარალელურად უნდა არსებულებოდა, რაზეც მეტყველებს ისეთი ენობრივი მონაცემები, როგორცაა გვარსხეულები წერედანი და წერეთელი. საფიქრებელია, მათი წარმომავლობა წერეთ-წერედ გეოგრაფიული სახელისა ან მეტსახელისაგან მომდინარეობდეს. ღირსაცნობია, რომ ძველი ქართული ენის ძეგლებში წერტ ფუძე ზმნურ ფორმებშიც დასტურდება და სახელურშიც მაგ., მწერტს მე A-1105 15 V; საწერტელითა მით სიტყვსა ჩემისათა ვიწერტ, H-2251 312; წერათა წერტითთა არა ექმოდით, ლევტა, 19, 28 (ვიძომწმებ ჰ.ფენრიხისა და ზ.სარჯველაძის წიგნიდან) (3, 460).

წერტა, ისევე როგორც წერა, ჩხვლელტას, კაწერას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ წერტა, როგორც მამაკაცის საკუთარი სახელი თუ მეტსახელი ძველი ქართული ენის ძეგლებში, კერძოდ, " გრიგოლ ხანციელის ცხოვრებაში " გვხვდება; ამ თხზულებაში წერტა მამაკაცის სახელად ოთხჯერ გვაქვს. დავიმოწმებთ ოთხივე შემთხვევას; პირველ ყოფილი ესე სასწაული გვესმა ბერთაგან ჩვენთა, ვითარმედ ჟამსა მამისა გრიგოლის მოწაფისასა ხანძითან ებიფანეს მამობისასა იყო ვინმე კაცი მდიდარი ანჭკორას და სახელი მისი წერტა (ხანცთ. 285,16-20); და აწ რომელ წერტანის

ფონოლოგიური კიბანი



პრქეიან, თხათა მისთა სადგური ყოფილ არს (იქვე); და ვითარცა იხილა სასწაული ესე წერტა, მამამან მისმან, განკვირვებული სიხარულითა საესე წარვიდა ხანძთად (იქვე); ხოლო წერტა დაიდი შესაწირავი მიუძღუნა და შეწირა წინაშე წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისსა (ხანცთ. 286 8-9).


წერტა-ს ძველ ქართულში მეორეული, 'გადატანითი' მნიშვნელობაც შეუძენია. იგი ტანჯავსაც ნიშნავს; 'ამისთვისცა მარადის იწერებოდა გონებითა ქმარი მისი' [12, 264].

წერტასაგან ძველ ქართულშივე ნაწარმოებია მიმდებარე ფორმა წერტილი, რომელიც იმთავითვე ქცეულა პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობით ტერმინად: "ვითარ განიყოს სიტყვიდ ესე წერტილითა [11,542]. შდრ. წერტილი(ჩხვლეტით შესრულებული); წერათა წერტილითა არა იქმოდით გ. ლევიტ.[11].

თუმცა მიმდებარე შინაარსი წერტილის დაწერტილ ფორმაში ჯერ კიდევ "შუშანიის წამებაში" შერჩენია: ვამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწეული იგი მჭურვალება მზისა, ქარნი ცხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვდრნიცა მის ადგილისანი - საესენი სენითა, წყლითა განსივებულნი და გაყვითლებულნი, დაწერტილნი და დამტყნარნი და დამდიერებულნი (შუშ. 21).

ძველსავე ქართულში ამ სიტყვას ფონეტიკური სახეცვლილება განუცდია. წერტილი (წერტილი (რ // ნ): ვისცა გარდაწერამ გენუბოს, მინდობილ იყვენით, რამეთუ, ვითა ვპოე, ვგრე დაწერე ყოველი და წერტილიცა Q=37 317 ვ [12, 264].

წერტ ფუძე ახლაც შემორჩენია ქართულს მცირეოდენი შინაარსობრივი სახესხვაობით. მაგ: ლევის წერტი, რაც ნიშნავს სამეგრებლო შესანახ და გასაყიდ ადგილს. ქველ-ში წერტ-ის ორი




მნიშვნელობაა მოცემული: 1. ზოგიერთი (სამეურნეო) დაწესებულებისა და ორგანიზაციის სახელწოდება - პუნქტი, 2. იგივეა, რაც წერტილი [8].

ლირსაცნობია, რომ წერტ ფუძე ძველ ქართულში უზმონო ვარიანტითაც დასტურდება: წერტ (წერტ. მაგალითად: წრდ-ი-ი // წრტ-ი-ალ-ი: "შეემთხვა ადარწერსეს სენი ტე-ხისამ წრტალი, რომელსა პრქეან ნიერისი (ხანც. 298,31-32). დააყენე სენი ესე წრტალი (ანტიოქ. 78, 29-31).


ძველ ქართულშივე დავადასტურეთ წრტალიცა მასდარიც [13, 126]: იყო წრტალიცა ვაებისა მისისა (ტავრ. 53, 7-9. იხ. წარტყ. იხ. 1-2).

წრტალი/წრდიალი, წრტალიცა ძველ ქართულში ტკივილთ ნამეტნაობას [9], სიხმელეს, სიმჭლევეს, ტლევს [11] ნიშნავს. წრდ/წრტ ფუძე იშლება: წრ-დ წრ-ედ-[15, 206]. ვ. თოფურიაძე ამ ფუძეში "წრდები" უნიშნო ვნებითში -ედ და -ერ ფორმატებად მიიჩნია. წრდები (დაწერდ. ჩვენგან განსხვავებით მკვლევარი წ ძირს გამოყოფს, რომელსაც წყალ ძირის წ-სთან აიგივეს [15,971]. ჩვენის აზრით, წერტ/წრტ/წრდ ერთი ძირია, მომდინარე წერდ/წრდ ფუძისაგან, რომელიც წერა ზმნის ელ/დ(ტ) 'თემის ნიშნიან', სუფიქსურ ფუძეს წარმოადგენს.

წრტ, წერტ ფუძის სახესხვაობად გვესახება წრეტ/წრედ ფუძე: წრეტ=>წრედ=>წრტ. შდრ. წყლის დაწრეტა "დაშრობა," ასე რომ წრეტ=>წრტ (წრტალი) ფუძის განზოგადებული არქეტიპია და ენაში ფუძედრეკად ზნად მოგვევლინა: წრეტს=>წრტიტა. ΑΙΟΡΑΑ, წერ ფუძისაგან წარმომდგარა ისეთი ლექსემები, როგორიცაა:



და სხვა ხოლო





გ) ჭერ//ჭარ, ჭარტ//ჭრეთ

ქართულში, წერ, წერტ ფუძეთა ვარიანტებად შეიძლება ჭერ//ჭარ, ჭარტ ფუძეები მივიჩნიოთ, რომლის წარმოშობა ორგვარად უნდა აეხსნათ. 1. იგი საყუთრივ ქართული ენის წიაღში მოხდა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართულ ენაში ყოველგვარი გაკლენის გარეშე აღმოცენდა, ან 2. იგი მეგრულ-ჭანურაიდან მომდინარეა ისტორიულად.

როგორც ვიცით, ქართ. წერ-ს მეგრ. - ჭან. ჭარ შეესატყვიება: ჭან. ჭარუნ - წერია, მეგრ. ბჭარი 'ვერე' [1, 407], ასევე ქართ. მწერ-ი, მეგრ. ჯანჯ, ჭან. ჯაჭ [3,451]. მეგრული ჭანდ=>ჭანჯ დისიმილაციური დენაფორმატიზაციითაა მიღებული [17,352].

ქართულში წერ ფუძის პარალელურად გვაქვს ჭერ: დაეჭერ, დაჭერ, დაჭრა, რაც ასევე 'კვეთის', 'კაწერის', შინაარსის შემცველია. აქედანვე მიმდებარე ფორმები: ნა-ჭერ-ი, დიალექტური, გურული ფორმა ნაჭარი, ეს უკანასკნელი დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“-ც:

გარდახდა, ჰადრეს: „ჩვენ ვართ მობაღდადნი ვაჭარნი, მამაძადის სჯულის მჭირანი, აროდეს გვისმან მაჭარნი,




ზღვათა მეფისა ქალაქსა სავაჭროდ გარდმონაჭარნი, საქონელ-სრუნი, მდიდარნი, არ ლარნი გექონან ნაჭარნი (ვტ.1040).

ნაჭარნი ამ შემთხვევაში დაჭრილს, დანაკუწებულს ნიშნავს. მასში ნა - პრეფიქსია, ჭარ ფუძე, ნ მრ. ნიშანი, ამრიგად, ჭერ/ჭარ წერის ძირძველი, „დიალექტური“ ვარიანტი ჩანს. მისი უზმონო ვარიანტი ფორმაა ჭრ, რომელიც ჭრიალ მასდარში გვაქვს. ლირსაცნობია, რომ ქართულ წერტ-ის სახესხვაობაც შემოუნახავს ენას, ესაა. ჭარტალ ლექსემა, რომლის არქეტიპი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ შეტანილი ჭარდალ სიტყვაა. სულხან-საბას ჭარტალი/ჭარდალი სომხურად აქვს მიჩნეული: მრავალმეტყველს კაცს ჰქეაო [9,397], შდრ. მეგრ. ნინაჭარტალა=ენა-ჭარტალა. საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა პირიქით - ქართულიდან სომხურში იყოს შესული. შდრ. ქართ. მწერი, მეგრ. ჭანჯი სომხ. წანჯი (აქედან სომხ. 'ტანჯეაც', 'ტანჯევა-წამება').

ქართ. ტანჯ სომხ. ტანჯ მშ. ანდრონიკაშვილს ირანულიდან შემოსულად მიიჩნია ორივე ენაში. მისი თქმით, იმის გამო, რომ ქართულსა და სომხურს თითქმის იდენტური ფონეტიკური სისტემა აქვთ, მსგავსი სიტყვების შესახებ არ შეიძლება დაბეჯითებით თქვას,

ფარიცხოვნი კიბანი



ისინი უშუალოდ არიან შემოსული ქართულში თუ სომხურის მეშვეობით, ქართულსა და სომხურს ამ შემთხვევაში ერთგვარი შესაძლებლობები აქვთ საშუალო-ირანული ბგერების გადმოსაცემად [18, 164., 168]. როგორც ჩანს, მკვლევარს ამ სიტყვის დამკვიდრება სომხურის გზით ქართულში ეეჭვება, თუმცა მის ირანულ წარმომავლობას არ უარყოფს. იქნებ პირიქითაა: მეგრ. წანჯ//ჭანდ ლექსე-მამ შედწინა სომხურსა და ირანულში? (წანჯ=>ჭანჯ "ჩხელეტა", "ჩხელეტით წამება"), აგრეთვე ქართულშიც? ჭანჯ - //ჭანდ=>ჭანჯ. შდრ. ქართ. ბიჭო=>(ბჭო=>ჭო (//ჯო) =>სომხ. ტო. ეს უკანასკნელი თბილისურ მეტყველებას და საერთოდ ქართულ ენას ჟარგონის სახით დაუბრუნდა თბილისელ სომეხთა მეტყველებისაგან. ვფიქრობთ, ამ სიტყვათა ურთიერთიმარტობას დამატებითი კვლევა სჭირდება.

აქვე შეიძლება შევნიშნოთ: თუ წერ ფუძე წერედან და წერეთელ გვარ-სახელებში შემოგვეჩანა, ჭარ ხომ არ გვაქვს შემორჩენილი მეგრულ გვარ-სახელ ჭარაია-ში? ნ. ჯომიდავას ჭარაია გვარ-სახელის ერთ-ერთ ვარიანტად მეგრ. ჭარა - "წერა" ეტიმოლოგია მიანიხნა ამოსავლად [19, 432]. ჭერ//ჭარ, ჭრ ძირი შესაძლოა შემორჩენილი იყოს ხმაბაძვით სიტყვებში, როგორცაა ჭრიჭინი, ჭრიჭინა, ჭრიჭინობელი, ჭრიახი, შდრ. გონებაგამჭრიახი, ვისაც გონება უჭრის, ვისი გონებაც გაჰკვეთს, ვისი გონებაც გამჭრე და მახვილიანია [8, 947].

გვაქვს თუ არა ქართულში წერდ/წერტ ძირის მსგავსად ჭრეთ ფუძე? ჭრეთ თუმცა ზმნისპირიან ფორმებში არ შემოგვეჩანა, მაგრამ იგი ახლაც არსებობს ქართულში ერთ-ერთ ნაზმნარ სახელში. ესაა სა-ჭრეთ-ელ-ი. იგი ხის ამოსატრელ, ამოსატეხ იარაღს, სატეხს ჰქვია [8, 942]. სულხან-საბას მიხედვით, საჭრეთელი ძელის ამოსახერტი რეინაა [9, 75]. საჭრეთელი, საჭრეთი "ძელი ამოსახერტი, საჭრელი, სატეხი, ДОЛОТ, СВЕРЛО" [16,1152], [7,358] განმარტებულია დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც. ამრიგად, ენაში ამ შემთხვევაში ფარულ ფუძესთან გვექონია საქმე. მსგავსი ფუძეები არაერთი გამოგვივლენია ჩვენც: გმერს-უგმირა=>გმირი, სტეენს-უსტეინა=>(სტეინი, შდრ. (სტეერს(-უსტეირა=>სტეირი [20,195]. როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, ასეთი ფუძეები, ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო, მოიშალა, რის შედეგადაც ძველი ისტემა ან ფრაგმენტების სახით შემოგვრჩა, ანდა შემოგვრჩა სრული სახით, მაგრამ ფუნქციური ცვლილებებით და ნაირსახეობებით [21,286]. მიუხედავად ამისა, პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობის აღმნიშვნელი ტერმინები წერ//ჭერ ძირებმა უხვად წარმოგვიდგინა, რომელთა ფუძე როგორც მარტივი, ისე რთული სახით ვარიაციულად აირეკლა ქართულ ენაში. წერა//წრ, წერტ/წრედ/წრეტ/წრტ ერთი მხრივ და ჭერ//ჭარ/ჭარტ/ჭრეთ მეორე მხრივ, რაც ქართულ-ქართველური ენების უძველესობაზე და ქართული პალეოგრაფია-წიგნმცოდნეობის არქაულ კულტურაზე მეტყველებს.

წყაროთა შემოკლება

ვტ - შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მესამე სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტება, კომენტარი და ბოლოსიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ, თბ., 1986
ტაერ - Баграт епископ Тавроменийский, грузинский текст ХIв., издал А. Хаханов 1904
ქეგლ.: (რვატომეული), პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით
შუშ. - წამება წმიდისა შუშანიისი დედოფლისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1963
წარტყ. - წარტყუნვამ იერუსალმისა, თქუმული ნეტარისა სტრატეი მონაზონისა, გამოსცა ნ. მარმა, ТР, СПб, 1909
ხანტო. - შრომა და მოლუწებად ღირსად ცხორებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, არქიმანდრი-

ტისა, ხანციხისა და შატბერდისა აღმაშენებელისა, და მის თანა ჭსენება მამათა მრავალთა ნეტართა: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1963.

დამოწმებული ლიტერატურა

1. არნ. ჩიქობავა ჭანურ-მეგრულ ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938
2. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942
3. ჰ. ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990
4. Г. А. Климов. Этимологический словарь картвельских языков, М., 1964
5. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, მეორე გამოცემა, თბ., 1949
6. ი.ჭყონია, სიტყვის კონა (საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები), СПб., 1910
7. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. ლლონტის რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1961
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII, თბ., 1960
9. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თხზულებანი, ტომი IV, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბ., 1965
10. შ.ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1982
11. ი. აბულაძე ძველი ქართული ენის ლექსიკონი(მასალები), თბ., 1973
12. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995
13. ბ. ცხადაძე, მასდარის წარმოება ძველ ქართულში (ანწმოს ფუძის ისტორიასთან დაკავშირებით), თბ., 1984
14. ბ. ცხადაძე, ძველი ქართულის ი-აღ სუფიქსები პირველადი მასდარის ერთ ჯგუფში, სმამ, 96, №1, 1979
15. ვ. თოფურია, მესამე ტიპის ვნებისით წარმოება ქართულში, სმამ, ტ. III, №9, 1942
16. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984
17. გ. როგავა, დისიმილაციური დენაფორმაციის ერთი სახეობა ზანურში, თსუ შრომები, XXX
18. მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966
19. ნ. ჯომიდავა, 3000 მეგრული გვარ-სახელი, თბ., 2000
20. ბ. ცხადაძე, აორისტისა და ზოგი ნაზმნარი სახელის ურთიერთიმარტობისათვის ძველ ქართულში, სმამ, 124, №1, 1986
21. ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალოზის პრინციპები, თბ., 1980
22. მ. ნეშუმაშვილი, ისტორია და უფლის დიმილი, ორ წიგნად, გამოკვლევა და უღურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997

ბადრი ცხადაძე,
პროფესორი, თბილისის კულტურის
სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორი

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის გიზლიოთაქის იუზილა



200 წელი შეუსრულდა მსოფლიოს უდიდეს ბიბლიოთეკას – ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკას. ამერიკისა და მსოფლიოს საბიბლიოთეკო, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და საინფორმაციო სამსახურის გიგანტი-ბიბლიოთეკა დიდ როლს ასრულებს აშშ-ის მოსახლეობისა და კონგრესის საინფორმაციო მომსახურების, აგრეთვე მსოფლიო საბიბლიოთეკო პრაქტიკის სრულყოფისა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით. თავდაპირველად, 1800 წელს, ბიბლიოთეკის დაარსებისთანავე, მისი ამოცანები განისაზღვრებოდა კონგრესის წევრთა და კომიტეტთა მომსახურებით; თუმცა სულ მალე მისი უფლებები და მომსახურების სფერო შესამჩნევად გაიზარდა. კონგრესის მიერ 1870 წელს მიღებული საავტორო უფლებათა კანონის თანახმად, ბიბლიოთეკა დეპულობდა აშშ-ში გამოცემული წიგნების, ბროშურების, ნოტების, ფოტომასალების, ესტამპებისა და რუკების ორთხელეგზე. 1902 წელს მიღებული კანონის მიხედვით, კონგრესის ბიბლიოთეკა ახორციელებს ცენტრალიზებულ კატალოგიზაციას. 1914 წელს კონგრესმა შექმნა საკანონმდებლო საცნობარო სამსახური, რომელიც 1946 წლიდან ბიბლიოთეკის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო 1970 წლიდან კონგრესის კვლევით სამსახურად გადაკეთდა.

ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბებულია ამერიკის ფოლკლორის ცენტრი, რადიოსა და ტელევიზიის არქივი, წიგნის ეროვნული ცენტრი, ფილმების დაცვის ეროვნული ბიურო.

ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკა ერთდროულად ასრულებს კონგრესისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ფუნქციებს.

მსოფლიო საბიბლიოთეკო სისტემაში ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკა აღიარებულია როგორც დოკუმენტალურად ფიქსირებული ცოდნის უდიდესი წიგნსაცავი და როგორც ციფრული ინფორმაციის საუკუნის ლიდერი. ამერიკელი ხალხისათვის იგი მიჩნეულია ეროვნულ საკანონმდებლო ხელისუფლების კვლევით და ინფორმაციული უზრუნველყოფის უმდიდრეს წყაროდ.

აყალიბებს რა განვითარების პერსპექტივებს, ბიბლიოთეკა აფართოებს ელექტრომასალების მიღების, სისტემატიზაციისა და მომსახურების წრეს; თუმცა აქვე შეუნელებელ ყურადღებას იჩენს ბეჭდური პუბლიკაციების მიმართ. ბიბლიოთეკა იღვწის მკითხველთა ძირითადი მასის ინტერესების რეალიზაციისათვის: ისინი ჯერ კიდევ დიდხანს დარჩებიან ინფორმაციის ტრადიციული მატარებლების მკითხველებად; თვითონ მკითხველებს სწორედ ამ უკანასკნელ ფორმას ანიჭებენ უპირატესობას.


ბიბლიოთეკა სამართლიანად ამაყობს თავისი უმდიდრესი წიგნობრივი ფონდით. მისი რაოდენობა 1998 წლისათვის აჭარბებდა 115.505.ათას ერთეულს მსოფლიოს 460 ენაზე. ამ ფონდებიდან მხოლოდ წიგნებია 26 მლნ ეგზემპლარი, რომელთაგან 5.700 ეგზე. 1500 წელამდეა გამოცემული. ბიბლიოთეკაში დაცულია 13 მლნ



ხელნაწერებისა, ათასობით სამეცნიერო და სამთავრობო დოკუმენტი.

ნტი. ბიბლიოთეკაში ყოველდღიურად შემოდის 30 ათასი ერთეული, წლის განმავლობაში ფონდი ივსება 2 მლნ ერთეული საბიბლიოთეკო დოკუმენტით. კონგრესის ბიბლიოთეკის დაკომპლექტების ძირითადი წყაროებია: საავტორო უფლების სარეგისტრაციო მასალები, შექმნა, გაცვლა და საჩუქრად გადაცემული ფონდები. ბიბლიოთეკის დაკომპლექტების პრინციპია უნივერსალიზმი. იგი აგროვებს და იცავს დოკუმენტებს კაცობრიობის ცოდნის ყველა დარგებიდან: გამონაკლისს შეადგენს სასოფლო-სამურნეო ტექნიკისა და კლინიკური მედიცინის დარგები, რომელთაც, როგორც წესი, იძენს შესაბამისი ეროვნული ბიბლიოთეკები.

ბიბლიოთეკის მომსახურების სფეროსათვის მთავარ პრიორიტეტად ითვლება კონგრესის სამეცნიერო და საინფორმაციო მომსახურება. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს კონგრესის კვლევითი სამსახური, სადაც დასაქმებულია ბიბლიოთეკის 714 თანამშრომელი. კვლევით სამსახურში ჩამოყალიბებულია ისეთი განყოფილებები, როგორცაა ეკონომიკური, ამერიკული სამართლისა და პოლიტიკის, ბუნებრივი რესურსებისა და გარე საქმაროს, საგარეო საქმეთა და ეროვნული თავდაცვის და სხვა. ყოველწლიურად კვლევითი სამსახური აუმაყოფილებს კონგრესის წევრთა 560 ათასზე მეტ ინდივიდუალურ მოთხოვნას საბიბლიოთეკო დოკუმენტებზე. კონგრესის სესიების პერიოდში ბიბლიოთეკაში მოქმედებს ე.წ. “ცხელი ხაზი”, რომლის საშუალებითაც კონგრესის წევრები დეპულობენ ოპერატიულ ინფორმაციებს სამართლებრივი პრაქტიკის ნებისმიერ პრობლემების შესახებ.



აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკა ერთადერთი ეროვნული ბიბლიოთეკაა მსოფლიოში, რომელიც ახორციელებს საავტორო უფლებათა რეგისტრაციას. ამ ფუნქციას ბიბლიოთეკა ასრულებს უკვე 130 წელია. ბიბლიოთეკაში მუშაობს საავტორო უფლებათა ბიურო. იგი უზრუნველყოფს აშშ-ი შექმნილ ყველა სახის ნაწარმოების რეგისტრაციას. თითოეული ავტორი, რომელსაც სურს თავისი უფლებების რეგისტრაცია კონგრესულ ნაწარმოებზე, მიმართავს ბიუროს და წარადგენს სარეგისტრაციოდ 2 ეგზემპლარს, იხდის რეგისტრაციის ხარჯებს (30 დოლარი); ნაშრომის რეგისტრაციის შემდეგ ავტორს ეძლევა რეგისტრაციის სერთიფიკატი. წიგნები სარეგისტრაციოდ მიიღება ბეჭდური სახით, მუსიკალური და თეატრალური ნაწარმოებები კი ხელნაწერის სახით.

1998 წელს კონგრესის მიერ მიღებული ახალი კანონით “საავტორო უფლებათა შესახებ ელექტრონულ ათასწლეულში” ბიბლიოთეკას უფრო მეტად გაუფართოვდა უფლებამოსილება საავტორო უფლებათა შესახებ კანონის რეალიზაციის სფეროში.

აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკა, როგორც ქვეყნის ეროვნული საბიბლიოთეკო სისტემის ცენტრი, ასეთ ფუნქციას ასრულებს რამდენიმე მიმართულებით: იგი აწარმოებს ცენტრალიზებულ კატალოგიზაციას 1902 წლიდან, აყალიბებს ეროვნულ ციფრულ ბიბლიოთეკებს, ეწევა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ქვეყნის მასშტაბით, ინვალიდთა საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მომსახურებას, ეწევა იდეათა და გამოცდილე-

ბიბლიოთეკის იუბილე


ბათა გაცვლას ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო ორგანიზაციებს შორის, წიგნის ცენტრის საშუალებით აწარმოებს წიგნისა და კითხვისადმი ინტერესის სტიმულირებას, CD-ROM-ით აწარმოებს კატალოგიზაციას და აერცვლებს დაბალ ფასებში მთელ საბიბლიოთეკო სისტემაში.

კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში უზიარატესობა ენიჭება ფედერალური ბიბლიოთეკების სპეციალისტებთან მუშაობას. კვალიფიკაციის ამაღლების ფორმებიდან ეფექტურია სემინარები, კონფერენციები, მეთოდური მასალების გამოქვეყნება და სხვა.

კონგრესის ბიბლიოთეკაში მაღალ დონეზეა ორგანიზებული ინვალიდთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება. 70 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკა აწარმოებს ბრაილის შრიფტის ჩანაწერებს, კასეტებსა და გრამფირფიტებზე გადატანილ სრულტექსტოვან მხატვრულ და სხვა სახის მასალებს, რომლებიც უფასოდ გაეგზავნება თავისი ადგილობრივ რეგიონის ბიბლიოთეკებს ე.წ. „მოლაპარაკე წიგნების“ მოსამხენად.

ნაყოფიერი მუშაობას ეწევა კონგრესის ბიბლიოთეკის სტრუქტურული დანაყოფი წიგნის ცენტრი, რომლის ამოცანას შეადგენს კითხვის სტიმულირება ქვეყნის მასშტაბით. მისი პროექტებისა და პროგრამების დაფინანსება ხორციელდება ძირითადად სონსორების მეშვეობით. ცენტრს აქვს 35 განყოფილება ამერიკის სხვადასხვა შტატში. ცენტრის მოქმედების დევიზია „ჩამოვაყალიბოთ მკითხველთა ნაცია“. ცენტრის მუშაობაში ძირითადი ფორმებია: მოძრავი გამოფენები, კითხვის ეროვნული პროგრამები, კონფერენციები, რადიო და ტელეგადაცემები, ყოველწლიური პრინციპები. ბიბლიოთეკაში მომსახურების მაღალი დონე მიღწეულია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. ამჟამად აქ მოქმედებს 22 სამკითხველო დარბაზი დაყოფილი ცოდნის დარგებისა და გამოქვეყნებული მასალების სახეების მიხედვით.

ყოველწლიურად ბიბლიოთეკაში ეწერება 46.000-ზე მეტი ახალი მკითხველი, დასწრება სამკითხველო დარბაზებში აჭარბებს 1 მლნ-ს, ყოველწლიური გაცემა სამკითხველო დარბაზებში შეადგენს 2 მლნ-მდე ერთეულს, ბმ-ით გაცემა აჭარბებს 151 ათასს, გაცემული ცნობების რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს 102 ათასს, კომპიუტერული ქსელით სარგებლობს 270.000-ზე მეტი მომხმარებელი, ზოლო ინტერნეტი 615.150 ათასი. კომპიუტერითა და ინტერნეტით სარგებლობის ზრდის ტენდენციამ, ბუნებრივია, შეამცირა ტრადიციული ფორმის ცნობების რაოდენობა. 1994-1998 წლებში გაცემული ცნობების ყოველწლიური მაჩვენებელი შემცირდა დაახლ. 8%-ით. ბიბლიოთეკაში მომსახველთა ორიენტაციისათვის გამოყოფილია სპეციალური დარბაზი, სადაც უჩვენებენ 22 წუთიან ფილმს ბიბლიოთეკის შესახებ, აქვე მკითხველი დებულობს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებებს ბიბლიოთეკის სტრუქტურისა და საცნობარო სისტემის შესახებ.



ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, რომლის 10 ქვეგანყოფილება აკონტროლებს კომპიუტერულ ქსელს, ნერგავს ახალ ტექნოლოგიებს, აცალიბებს ბიბლიოთეკაში საინფორმაციო ტექნოლოგიის ინფრასტრუქტურას 21-ე საუკუნისათვის.

კონგრესის ბიბლიოთეკაში ფართოდაა დანერგული ფონდების დაცვისა და მის მოძრაობაზე კონტროლის განხორციელების ელექტრონული საშუალებები. ბიბლიოთეკის ოთხივე შესასვლელში დადგმულია მაგნიტომეტრები. ელექტრონული კონტროლი ხორციელდება თითოეულ კარებსა და საცავეებში. წიგნში ჩადებულია სპეციალური ფირფიტა მისი უნებართვოდ გატანის საწინააღმდეგოდ, რაზედაც კარებში რეაგირებს მაგნიტომეტრები. ხელნაწერი და იშვიათი გამოცემების დარბაზებში დადგმულია ვიდეოკამერები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება თვალყურის დევნება თითოეული დოკუმენტის გადაადგილებაზე.

ბიბლიოთეკის ხანგრძლივი პერიოდის განვითარებისათვის დანერგულია სტრატეგიული დაგეგმარება. ბოლო პერიოდში შემუშავებული ასეთი დაგეგმარება მოიცავს 1997—2004 წლების პრიორიტეტებს. სტრატეგიული დაგეგმარების საფუძველზე დგება ბიბლიოთეკის მიმდინარე გეგმა, ბიუჯეტი და კონკრეტული პროგრამები.

ბიბლიოთეკა უშუალოდ ექვემდებარება აშშ-ს კონგრესს; მისი დირექტორი ინიშნება აშშ-ს პრეზიდენტის მიერ და ამტკიცებს სენატი. კონგრესის ბიბლიოთეკის ამჟამინდელი დირექტორი ჯეიმს ბილინგტონი ბიბლიოთეკას განაგებს 1987 წლიდან. ჯეიმს ბილინგტონი 1999 წელს ეწვია საქართველოს, ჰქონდა საქმიანი შეხვედრები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექციასთან.

კონგრესის ბიბლიოთეკის 1998 წლის ძირითადი მაჩვენებლები ასეთია: ბიუჯეტი 377,207.000 დოლარი, თანამშრომელთა რაოდენობა 4367, უფილი 115.505.000, გაცემა სამკითხველო დარბაზებსა და ბმ-ით 2.007.898 ერთეული. ბიბლიოთეკის თანამშრომელთაგან 1917 მამაკაცია, 2 296 - ქალი. ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის შესახებ გამოცემულია უამრავი წერილობითი ინფორმაცია, წიგნი, სტატია, ინგლისურ და რუსულ ენებზე; კონგრესის ბიბლიოთეკაში დაცულია 15. 000 - ზე მეტი ქართული წიგნი. ბიბლიოთეკაში მოქმედებს ჯანმრთელობის ცენტრი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობას.

კონგრესის ბიბლიოთეკის 200 წლისთავის იუბილე სათანადო დონეზე აღინიშნა- მიწვეულ იყვნენ ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორები, ჩატარდა სპეციალური სემინარები. საქართველოდან საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ლევან ბერძენიშვილი.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია გულწრფელად ულოცავს აშშ-სა და მსოფლიოს უდიდეს ბიბლიოთეკას სახელოვან იუბილეს.

The Jubilee of the USA Library of Congress


This article is devoted to the 200-anniversary jubilee of the USA Library of Congress.

The structural and organized peculiarities of the library, its working scales and trends, the lab our editions and character were considered. It was mentioned about the visit of Mr. James Bilingtone, the Director of the Library of Congress in Georgia. It should be noted, that the General Director of the Parliamentary National Library of Georgia Levan Berdzenishvili participated in the measures devoted to its 200 Anniversary Jubilee.

The editorship of the journal "Sakartvelos Biblioteka" (Georgian Library"), the Parliamentary National Library of Georgia and the Library Association of Georgia sincerely congratulate the Library of Congress with its great jubilee.

გურამ თაყნიაშვილი

ნათელაოსილი ქალბატონი



ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ ქალბატონ ეთერისთან პირველი შეხვედრისთანავე. იგი მშვიდი, სანდომიანი სახისა და დინჯად მეტყველი პიროვნებაა. მასთან საუბრისას ადვილად რწმუნდებით, რომ მისი გონება ღვთიური მაღლითა და ქალური გულის სითბოთა გაცისკროვნებული; ასეთია იგი – ქალბატონი ეთერ თოხაძე – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე.

ქალბატონი ეთერი, პროფესიით ისტორიკოსი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოვიდა ხუთი ათეული წლის წინათ. მოვიდა და იმდენად გაიტაცა ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოგრაფის საქმიანობამ, რომ სხვაგან არც გაუხედა; პირიქით – სხვებსაც აზიარა ამ უსაქმურს და წმინდა პროფესიას. მას იმთავიდანვე მტკიცედ ჰქონდა შეგნებული, რომ ადამიანობის გვირგვინი საქმის სიყვარულია, და ისიც მთელი არსებითა და მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდა ბიბლიოგრაფის საინტერესო და სასარგებლო საქმეს.



ქალბატონი ეთერი თავდაუზოგავად, პროფესიული ინტუიციითა და დიდი სიფრთხილით ეხმარებოდა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს პირველწყაროების ძიებაში, ეხმარებოდა და თავად განიცდიდა დიდ სიამოვნებას, თუმცა თვითმყოფილებისა და დამშვიდების შეგრძნება არასოდეს დაუფლებია.

1950-იან წლებში, როდესაც ქალბატონი ეთერი ბიბლიოთეკის შედარებით ახალ და გამოუცდელ თანამშრომლად ითვლებოდა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას დიდ ყურადღებას აქცევდნენ უნივერსიტეტში მოღვაწე საქვეყნო ცნობილი მეცნიერები: გახვლედიანი (ბიბლიოთეკის პირველი დირექტორი), ა. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ი. ცინცაძე, ნ. ორლოვსკაია და სხვები; ქალბატონ ეთერის პროფესიული თვისებების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს ისეთმა გამოცდილმა სპეციალისტებმა, როგორებიც იყვნენ: გ. კასრაძე, გ. ბაქრაძე, გ. აბაშიძე, რ. აფხაძე, თ. მიქაბერიძე და სხვები. მათ კარგად იცოდნენ, რომ ბიბლიოგრაფიული მუშაობა მარტო ძიებას როდი ნიშნავს; იგი იმავე დროს ამ სიხალეთა მკითხველბამდე მიტანის ხელსაწყოებსაც გულისხმობს.

ქალბატონი ეთერი ერთბაშად მოექცა მილიონობით წიგნისა და პირველწყაროების შუაგულში; ასეთი იზრდებოდა იგი როგორც პროფესიონალი ბიბლიოგრაფი, იზრდებოდა მაღალი მორალური თვისებებით, შეგნებოდა და პასუხისმგებლობით. მას კარგად ესმოდა,

რომ ბიბლიოგრაფიული ძიება ერთი მთლიანი, დიალექტიური პროცესია, რომელიც შემსრულებლისგან მოითხოვს დაკვირვებას, ცოდნას, ინტელექტუალურ შესაძლებლობათა მობილიზებასა და პროფესიულ აღდგომას. ამასთან ბიბლიოგრაფიული ძიების პროცესს თან ახლავს მკითხველის თვალი, მისი ინტერესი.

ქალბატონ ეთერის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნაყოფია 35-მდე ბიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი, რომელთაგან მნიშვნელოვანია: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ბიბლიოგრაფია; ფილიპე გოგიჩაიშვილის, შალვა ნუცუბიძის, ნიკო ბერძენიშვილის და სხვ. პერსონალური ბიბლიოგრაფიები. იგი უცვლელი რედაქტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების ბიბლიოგრაფიისა, რომლის ექვსი ნაკვეთი უკვე დაიბეჭდა; მასვე ეკუთვნის მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შესახებ. აქ ჩამოთვლილი ნაშრომები არასრული ნუსხაა, ქალბატონ ეთერის შემოქმედებითი მუშაობისა; იგი წლების მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას; სისტემატურად ატარებდა მეცადინეობას სტუდენტთა ბიბლიოგრაფიული კულტურის დაუფლების მიზნით; ლექციებს კითხულობდა ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე, წლების განმავლობაში იყო სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, და ახლაც საქმიანი ურთიერთობა აქვს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრასთან; აქვს სიახლეთა შეგრძნების საოცარი უნარი; მის მაღალ ნიჭიერებასა და მხატვრულ გემოვნებაზე მეტყველებს მის მიერ ნათარგმნი მრავალი საბავშვო მოთხრობა, რომლებიც თავის დროზე იბეჭდებოდა ჟურნალ „პიონერში“.

ასეთი ცხოვრებით ცხოვრობს ბიბლიოთეკის ამაგდარი ქალბატონი. მას, ისევე, როგორც მის გვერდით მოღვაწე თანამშრომლებს, ქალბატონებს: თ. რუხაძეს, ე. ქურდიანს, მ. ოქიტაშვილს, ა. რატიანს და თავად ბიბლიოთეკის დირექტორს, ბატონ შოთა აფაქიძეს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბიბლიოთეკის ამჟამინდელი მძიმე მდგომარეობა დროებითია. ქალბატონ ეთერს არც ზამთრის ცივი სინამდვილე აშინებს; იგი ჩვეული რიტმით, მისაბაძი სულიერი სიმტკიცით აგრძელებს თავის საყვარელ საქმიანობას;

ქალბატონი ეთერი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს; მისი შინაგანი სამყარო შინაარსითაა ალსავე; იგი ჩვეულებრივად გულმოდგინედ და ყურადღებოვნად, მის სათნო სახეს ღვთიური სინათლე აცისკროვნებს, ხოლო ნებჟოფას – მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსი.

ქალბატონი ეთერი გონების თვალთ დაიარება წიგნის სამყაროში. დაიარება, რათა სხვას გაუადვილოს ამ სამყაროში გზის გაგნება.

ახალ საუკუნეში იგი სულიერად ამაღლებული და გასპეტაკებული შევიდა, ღმერთმა მრავალი წელი უბოძოს ჩამომდგარ ათასწლეულში ჩვენი ჟურნალის პირველი ნომრის უპირველეს სტუმარს, ღირსების ორდენოსან ქართველ ქალს – ეთერ თოხაძეს.

გალვა კიმიჯური
თბილისის ი.ჭავჭავაძის სახელობის ენისა და
კულტურის უნივერსიტეტის სტუმარი

გზა განვლილი და გასაწვდილი



სპეციალობას ყოველთვის როდი ირჩევენ სურვილის მიხედვით, და ვინც ამას ახერხებს, ის ნამდვილად ბედნიერია. ქალბატონი ციალა კალმახელიძე ნამდვილად ბედნიერი ადამიანია. ბავშვობიდანვე უზომოდ უყვარდა წიგნები და მისი სპეციალობის არჩევანიც შემთხვევითი არ ყოფილა. მან 1965 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტი-

ტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი და მას შემდეგ დღემდე ნაყოფიერად მოღვაწეობს საბიბლიოთეკო სისტემაში.

ახალკურსდამთავრებულმა იმავე წელს დაიწყო მუშაობა ჯერ შიო მღვიმელის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკაში, შემდეგ ნ. კრუპსკაიას სახელობის მასობრივ ბიბლიოთეკაში. აქ მან უდიდესი გამოცდილება მიიღო და თეორიული ცოდნა პრაქტიკული



მოღვაწეობით გაამდიდრა. განსაკუთრებით უყვარდა მკითხველებთან ურთიერთობა, რასაც ხელს უწყობდა მისი ბუნებრივი თვისებები: ყურადღებიანობა, კომუნიკაბელობა, მშვიდი ბუნება, თავაზიანობა და საქმისადმი ერთგულება.

მისი საქმიანობა შეუძნეველი არ დარჩენილა და 1975 წელს თბილისის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში მთავარ მეთოდისტად მიიწვიეს. აქ კიდევ უფრო უკეთ წარმოჩნდა მისი პროფესიული ოსტატობა. ამ დროს ის უკვე გამოცდილი, გამობრძმედილი სპეციალისტი იყო და კიდევ დაეტყო მისი ხელი ქალაქის მასობრივ ბიბლიოთეკებს. პერიოდულად მას იმ საქმეს აკისრებდნენ, რომელიც განსაკუთრებულ დაძაბულ მუშაობას მოითხოვდა – 1976 წ. იგი დაინიშნა ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის დეკანო-ქტება – დამუშავების განყოფილების გამგედ, 1981 წ., როდესაც შეიქმნა ამჟამინდელი საქალაქო მასობრივი ბიბლიოთეკების გაერთიანება, მას იგივე მოვალეობა მთელი სისტემის მასშტაბით დაეკისრა. იგი თავის სტიქიაში იყო-წიგნების სამყაროში, სადაც მთლიანად გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი. იგი გეგმაზომიერად და მაღალი პროფესიონალიზმით აკომპლექტებდა ბიბლიოთეკებს-როგორც ძველი, ისე ახალი ლიტერატურით. ქალბატონი ციალა ამ საქმის უბადლო ოსტატი გახლავთ.

1989 წ. დაინიშნა არჩევნები ქალაქის ცენტრალური სისტემის დირექტორის ვეკანტურ ადგილზე. აქ ნათლად გამოჩნდა ქალბატონი ციალას ის უპირატესობანი, რაც მას გააჩნდა, როგორც საქმის მცოდნესა და კარგ ორგანიზატორს. იგი ერთხმად აირჩიეს დირექტორად. მისი ხასიათისათვის დამახასიათებელი იყო ის პასუხი, რომელიც გასცა კითხვაზე, თუ რა პროგრამა აქვს შემუშავებული მომავლისათვის. თავისებური სიღინჯით განაცხადა: „ჯერჯერობით პროგრამა არა მაქვს, მაგრამ მე მინდა, რომ თანამშრომელს უხაროდეს სამსახურში მოსვლაო“. მან ეს ნამდვილად გაამართლა – ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არ არის თანამშრომელი, სასიამოვნოდ და საამაყოდ არ მიაჩნდეს აქ მუშაობა. ეს უდავოდ ხე-

ლმძღვანელის ორგანიზებულ ნიჭსა და ხასიათის სიყვარულზე მეტყველებს.

ცნობილია, რა მძიმე მდგომარეობა შეექმნა ამ ბოლო დროს ჩვენს ბიბლიოთეკებს. უამრავი პრობლემა გაჩნდა, მაგრამ ყველაზე რთული მაინც სოციალური ვითარებაა. ყველაზე მეტად სწორედ ეს აწუხებს სისტემის ხელმძღვანელს და თავგამოდებით იღვწის თანამშრომელთათვის პირობების შემსუბუქებისათვის. არც ის რჩება მხედველობიდან, რომ ბევრი რამ გარდაქმნას და გაუმჯობესებას მოითხოვს და ამიტომაც ფიქრობს იმ რეფორმებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს სისტემაში.

ქალბატონი ციალა არამარტო მაღალი პროფესიონალია, არამედ ღირსეული პიროვნება, ნამდვილი მოქალაქე. მის ცხოვრებაში თანაბრადაა გადაჯაჭვული ერთმანეთში პირადი და საზოგადო. აქვს თავისი ცხოვრების იდეალი, ფიქრები, წუხილი და სურვილები. განსაკუთრებით დიდი მოყვარულია საოპერო და საბალეტო ხელოვნების. ალტაცებით იგონებს როგორც თბილისის, ისე მოსკოვისა და პეტერბურგის საოპერო თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში მიღებულ შთაბეჭდილებებს.

ერთი შეხედვით ქალბატონი ციალა მკაცრი, სიტყვაძუნწი და შეუვალი ადამიანია, მაგრამ ვინც ახლო იცნობს მას, კარგად იცის, რაოდენ გულთბილი, გულწილი და მიმტეველებელი პიროვნებაა. განსაკუთრებით ზრუნავს ახალგაზრდებზე. გამუდმებთ ადევნებს თვალყურს ახალგაზრდა სპეციალისტებს, მონაწილეობს მათ აღზრდა – დაოსტატებაში. რამდენიმე წელია, როგორც მეთვალყურე, ესწრება სახელმწიფო გამოცდებს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, ხელმძღვანელობს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკებს, სადაც უშურველად უზიარებს ახალგაზრდებს თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას.

დღეს ციალა კალმახელიძე უკვე ღვაწლმოსილი სპეციალისტია, მიღებული აქვს საპატიო ბიბლიოთეკარისა და „შრომის ვეტერანის“ წოდებები, სახელმწიფო ჯილდოები, მაგრამ მისთვის ყველაზე ძვირფასი ჯილდოა მისი კოლეგებისა და მკითხველი საზოგადოების გულწრფელი სიყვარული.

განვლილია დიდი და საინტერესო გზა, მაგრამ ქალბატონი ციალა კვლავ ახალგაზრდული ენერგიით არის აღსავსე და მომავალს იმედინი თვალთ შეჰყურებს. თავის საიუბილეო დღეებში კვლავ შრომავს, საზოგადოებრივ საქმიანობასა და გარჯავს ფიქრობს. აქვს კიდევ ამის უნარი და შემართება. ჩვენ კი, მივესალმებით რა მას თავის ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, ვუსურვებთ კვლავ წარმატებით ემოღვაწეოს საზოგადოებრივ ასპარეზზე, ბედნიერება და სიყვარული ენახოს პირად ცხოვრებაში, ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს!

ნანული გოგატიანი
თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკის
გამართიანების მეთოდისტი

„რიცხვომპლექტების“
ცნების შექმნის შესახებ

რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში ხმარებაში შემოვიდა ახალი ტერმინი - „რიცხვომპლექტება“. ეტყობა, ამ ტერმინის შექმნას ხელი შეუწყო საბიბლიოთეკო თეორიასა და პრაქტიკაში დამკვიდრებულმა ტერმინებმა: „რეკლასიფიკაცია“, „რეინვენტარიზაცია“, „რეკატალოგიზაცია“. სამივე შემთხვევაში ეს საქმის ხელახლად წარმოებას ნიშნავს. ქართულად შესაბამისად იქნება: „ხელახალი კლასიფიკაცია“, „ხელახალი კატალოგიზაცია“, „ხელახალი ინვენტარიზაცია“. ესენი სავსებით ადეკვატური ცნებებია, ნათელი და გასაგები. მაგრამ რას უნდა წარმოადგენდეს „რიცხვომპლექტება“? მისი ავტორების აზრით, ეს ნიშნავს არსებული ფონდიდან ბიბლიოთეკისათვის შეუფერებელი დოკუმენტის გარიცხვას - გამოთავისუფლებას. არ მიგვაჩნია სამართლიანად, ფონდებიდან ნაწილი წიგნების ამოღებას „რიცხვომპლექტება“ ეწოდოს, რადგანაც „რიცხვომპლექტება“, როგორც ტერმინი, ნიშნავს „ხელახლად დაკომპლექტებას“ და არა საჭირო და არასაჭირო ლიტერატურის გადაარჩევას და ზედმეტის ჩამოწერას. გამოდის, რომ ტერმინი შესატყვისი საქმის გამოსახატავად შეუსაბამოა.

მართლაც, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ უკვე დაკომპლექტებული ფონდის ხელახლა დაკომპლექტება? არსებობს კი ასეთი რამ პრაქტიკაში? არსებული ფონდის გადარჩევა კი სისტემატურად ხდება და სპეციალისტები მას, სავსებით სამართლიანად, „მეორად შეარჩევენ“ უწოდებენ და არა „რიცხვომპლექტებას“, ამიტომაც არ მიგვაჩნია სამართლიანად დაკომპლექტების ერთ-ერთ სახედ „რიცხვომპლექტება“ მივიჩნით. გარდა 1991 წ. გამოცემულ და ვ.ნ. სტოლიაროვის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებისა, არსად ეს ტერმინი დადასტურებული არ არის.¹ არ გვხვდება ის არც ახალ რუსულ სახელმძღვანელოშიც.²

ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნეს გაგებული, საერთოდ, ბიბლიოთეკის დაკომპლექტება?

„დაკომპლექტება“ ლათინურიდანაა ნაწარმოები და ორიგინალში ნიშნავს სრულ ნაკრებს, სრულყოფილად შეესებას, რაღაცის შედგენილობას. ამგვარად, როდესაც ამ ცნებას ვიყენებთ, ვგულისხმობთ კომპლექტების შედგენას, მის შეესებას, სრულყოფამდე თავმოყრას.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ცნობილ რუს მეკლევარს ვ. ი. ტერეშინს, რომელიც ამბობს, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობაში „დაკომპლექტებას“ არა აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული განსაზღვრება.

ყოველივე ამაზე შეიძლება არაფერი გვეთქვას, პრაქტიკაში რომ არ გვხვდებოდეს ამ ტერმინის გამოყენების ფაქტები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მწვავედ დგას ჩვენში საბიბლიოთეკო ტერმინოლოგიის მოწესრიგების საქმე, რაზედაც აუცილებელია ყურადღების გამახვილება.

იხილეთ

**ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოლოგიის
კათედრის დირექტორი**

1. იხ.: სხვადასხვა დროს გამოცემული საბიბლიოთეკო რუსულ ენაზე, აგრეთვე დარბოვარში ლექსიკონები.

2. Терешин В.И. Библиотечный фонд: Учебник: изд. 2-е. испр. и доп. - М.: Издат. МГУКИ, 2000. - 176 с.

**კონკრეტული
რეკომენდაციების
ბათვალისწინებით**

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე წლის ზაფხულში გაიმართა საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების დირექტორთა და წამყვანი სპეციალისტების რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. მასში მონაწილეობდნენ როგორც თბილისის, ისე ქუთაისის, გორის, თელავის უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკათა დირექტორები, აგრეთვე საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციების რწმუნებულები, პარლამენტის კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხალმძღვანელები, ბიბლიოთეკისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის




წევრები და სხვა დაინტერესებული პირები. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს შეიდი მოხსენება, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მუშაობის თანამედროვე პრობლემებს შეეხებოდა. ძირითადი მოხსენება უმაღლეს სასწავლებელთა ბიბლიოთეკების მუშაობის ანალიზით გააკეთა თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა გულნარა სტურუამ.

უცხოური გამოცდილების შესახებ საინტერესო ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ლ. ბერძენიშვილი.


კონფერენციის მონაწილეთა საერთო აზრით, ბოლო ხანებში უმაღლეს სასწავლებლების ბიბლიოთეკებისადმი ყურადღება ძლიერ შენედა არა მარტო სახელმწიფოს, თვით უმაღლეს სასწავლებლების ხელმძღვანელთა მხრიდანაც. გამომსვლელთა სიტყვებში იგრძნობოდა არსებული მდგომარეობის ღრმა ანალიზი და მოვლენების სწორად შეფასების უნარი. სჯა-ბაასი გაიმართა მრავალ



კულტურის განვითარების კონცეფციის პროექტი

საჭირობოროტო საკითხზე საბიბლიოთეკო საქმის თითქმის ყველა სფეროში: დაკომპლექტება, ფონდების დაცვა, სისტემატიზაცია, მომსახურება და მენეჯმენტი, კადრების მომზადება და გადამზადება. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მრავალი პრაქტიკული რეკომენდაციის შემუშავებას, რის ნიშნითაც მიმდინარეობდა სწორედ მთელი კონფერენცია.

კონფერენციამ თავის რეზოლუციებში ამ რეკომენდაციათა ბაზაზე შემუშავა წინადადებები იმ ღონისძიებათა გასატარებლად, რომლებიც საშუალებას მისცემს უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებს, არსებულ პირობებში შეძლონ გააუმჯობესონ თავიანთი პროფესიული საქმიანობა. განსაკუთრებით გაესვა ხაზი ბი-



ბლიოთეკებში ავტომატიზაციისა და კომპიუტერიზაციის დანერგვისა და გაფართოების პროცესებს, სახელმძღვანელოებით სტუდენტთა უზრუნველყოფას, უმაღლეს სასწავლებლებში ყოველი არხით შემოსული წიგნების ცენტრალიზებულად დამუშავებასა და გადანაწილებას, კადრების მომზადებასა და დასაქმებას, სტუდენტთა შორის საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის დანერგვასა და ავტომატიზებული საშუალებების გამოყენების წესების დაუფლებას, ფონდების დაცვასა და დაეალიანებების წინააღმდეგ მუშაობას, ფასიანი მომსახურების ფორმების შემოღებასა და სხვა.

საკითხთა ამგვარმა სიმრავლემ ერთგვარად გაართულა მთავარ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება და რეკომენდაციების განხორციელებაზე აქცენტის გადატანა, მაგრამ ნათლად გამოიყვანა მოქმედების მიმართულებები. შეფასდა შესაძლებლობები და შემუშავდა სტრატეგია, რა გზით უნდა მოხდეს მდგომარეობის გაუმჯობესება, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გამოცდილების გაზიარებას, რასაც ადგილი დაეთმო კონფერენციაზე.



შემუშავებულ რეკომენდაციების განხორციელებაზე ხელშეწყობის მიზნით, ჟურნალის რედაქციას გადაწვევითი აქვს, მათ განხილვას სპეციალურად დაუთმოს ადგილი თავის ფურცლებზე და იმედს გამოთქვამს, რომ ამ საქმეში აქტიურად ჩაებმებიან ჩვენი სპეციალისტები.

მიმდინარე წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა კულტურის განვითარების კონცეფციის პროექტი. საქართველოს კულტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველომ ამასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

“ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებისა და რეფორმების ფონზე, საქართველოს კულტურის სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია კულტურის სფეროში სამოქმედო პროგრამის შემუშავება. ამ მიზნით, წლეულს, 17 ივლისს, სამინისტროსთან შეიქმნა კულტურის განვითარების კონცეფციაზე მომუშავე ჯგუფი, რომელშიც აღნიშნული უწყების თანამშრომლებთან ერთად შედიან კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. ჯგუფმა შეიმუშავა კულტურის განვითარების კონცეფციის პროექტი, რომელიც განხილულ იქნა სამინისტროსთან არსებული საბჭოსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის მიერ. პროექტი განსახილველად დაეგზავნა საქართველოს კანცელარიისა და პარლამენტის შესაბამის სამსახურებს, კულტურის სამხარეო და რეგიონულ განყოფილებებს, ასევე სხვადასხვა სამინისტროს, თბილისის მერიას, მეცნიერებათა აკადემიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს. შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულ იქნა გამოთქმული შენიშვნები. ამჯერად ვაქვეყნებთ კულტურის განვითარების კონცეფციის პროექტს საჯარო განხილვისათვის. ველით საზოგადოების გამოხმაურებას.”

პროექტი გამოქვეყნდა “დილის გაზეთის” 2000 წლის 19 ოქტომბრის ნომერში. შენიშვნები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზირი, № 37. ტელ.: 99 - 63 - 77.

ჟურნალი “საქართველოს ბიბლიოთეკა” მზად არის საქმიანი შენიშვნები და მოსაზრებები გამოაქვეყნოს თავის ფურცლებზე.



საქართველოს საბიბლიოთეკო სწავლების პროექტი: მოვლენები, ფაქტები

უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს საბიბლიოთეკო და საინფორმაციო დარგებში შესამჩნევი გახდა როგორც საზოგადოებრივი, ასევე პროფესიული აზრის მოძრაობა და გააქტიურება. ამ სფეროთა წამყვანი სპეციალისტების თაოსნობითა და საზოგადოების პროგრესული ნაწილის მორალური მხარდაჭერით შეიქმნა პროფესიული გაერთიანებები, ჩატარდა რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენციები, სიმპოზიუმები, სემინარები; შეიქმნა და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საკოორდინაციო საბჭო, რეალობად იქცა პირველი პროფესიული პერიოდული ორგანოს გამოცემა, მოქმედებს საქართველოს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო ქსელის კონსორციუმი და სხვ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქცეული ბიბლიოთეკები მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ასეთ ვითარებაში საზოგადოებრივი აზრის შემობრუნება წიგნისა და ბიბლიოთეკისაკენ დიდ ძალისხმევას, პროფესიულ ერთიანობას, მსოფლიო საბიბლიოთეკო პრაქტიკის გაცნობასა და მასთან ინტეგრაციას მოითხოვს.

საქართველოს ბიბლიოთეკებში წელი ტემპით, მაგრამ მაინც ფეხს იეიდებს კომპიუტერული ტექნიკა. ეს საშუალებას აძლევს ქვეყნის მთავარ ბიბლიოთეკებს ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლის არხებით მიიღონ საჭირო და აუცილებელი მონაცემები მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების საბიბლიოთეკო ცხოვრების შესახებ.

ქვემოთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვთავაზობთ მოკლე ინფორმაციებს უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების, სემინარებისა და სხვა სახის მნიშვნელოვან მოვლენათა შესახებ.

1995 წელი

ქართველი სპეციალისტები მონაწილეობდნენ IFLA-ს ეგიდით მოწოდებულ საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში – "ყირიმი 1995", კონფერენცია უნივერსალური თემატიკის დიდი ღონისძიებაა, რომელიც მას შემდეგ ყოველწლიურად ტარდება დევიზით: "ბიბლიოთეკები და ასოციაციები ცვალებად სამყაროში: ახალი ტექნოლოგიები და თანამშრომლობის ახალი ფორმები". 1995 წლის შემდეგ ყირიმის კონფერენციის მუშაობაში სისტემატურად მონაწილეობენ საბიბლიოთეკო დარგისა და ინფორმაციის ქართველი სპეციალისტები. ყირიმის კონფერენციის მასალები ქვეყნდება რუსულ და ინგლისურ ენებზე ორ ტომად.

ჩატარდა ამერიკა საქართველოს ერთობლივი კონფე-

რენცია. (საქართველოში პირველი საერთაშორისო საბიბლიოთეკო კონფერენცია სსრკ-ს დაშლის შემდეგ). კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა ოთხი სპეციალისტი აშშ-დან. კონფერენცია დააფინანსა საერთაშორისო კვლევათა და გაცვლების საბჭომ (IRFX).

ტექნიფორმის ინიციატივითა და იუნესკოს დაფინანსებით ჩატარდა ამერიკის ქვეყნების საბიბლიოთეკო საქმისა და ინფორმაციის სპეციალისტთა სემინარი კომპაქტ-დისკების და CDS/ISIS პროგრამული უზრუნველყოფის დემონსტრაციით.

დაარსდა ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის სპეციალისტთა ასოციაცია, რომელმაც გააგრძელა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 1990-იან წლებში დაწყებული ავტომატიზაციის სამუშაოები. 2000 წლისათვის ასოციაციის ძალისხმევით შეიქმნა ათზე მეტი მონაცემთა ბაზა, მათ შორის ქართული წიგნების შეერთებული ელექტრონული კატალოგი 1989-2000წწ პერიოდისა 13000 ბიბლიოგრაფიული ჩანაწერით.

1996 წელი

გაზაფხულზე გაიმართა საქართველოს რაიონული კულტურის განყოფილებების გამგეებისა და ცენტრალური საბიბლიოთეკო სისტემების დირექტორთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირმა დასაბამი მისცა საბიბლიოთეკო ფონდების რეორგანიზაციის (რეკლასიფიკაცია, რეინვენტარინაცია, გადაფასება) პროცესებს კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკებში. ამავე თათბირზე დაფუძნდა საქართველოს ბიბლიოთეკართა ასოციაცია.

იენისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ.

საქართველოს ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის სპეციალისტთა ასოციაციამ ჩატარა სემინარი ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის გაცვლის ფორმატის საკითხებზე. სემინარი დააფინანსა ევრაზიის ფონდმა. ქართველი სპეციალისტების გარდა სემინარის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ რუსეთისა და სომხეთის სამეცნიერო ბიბლიოთეკების წარმომადგენლები.

1997 წელი

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკების შესახებ.

გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საქართველოს პარლამენტის დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ.

თბილისში ჩატარდა საქართველო – აშშ-ს მეორე საბიბლიოთეკო კონფერენცია, რომლის ინიციატორები იყვნენ: სა-



ერთაშორისო კვლევათა და გაცვლების საბჭო (IREX), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაცია. მასალები გამოიცა ინგლისურ და ქართულ ენებზე. ინტერნეტში განთავსებულია (<http://www.georgia.net.ge/Laag/>)

შეიქმნა ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია. საერთაშორისო ფონდების დახმარებით ასოციაციამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა სამხრეთ კავკასიის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო დარგებისა და ბიბლიოთეკების კოორდინაციული მუშაობის თვალსაზრისით. ასოციაცია აწყო კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებს; IFLA-ს წევრია 1999 წლიდან.

1998 წელი

თბილისში ჩატარდა სამხრეთ კავკასიის პირველი რეგიონალური საბიბლიოთეკო კონფერენცია თემაზე “ბიბლიოთეკები – ინფორმაციის ხელმისაწვდომობა”, მასალები გამოქვეყნდა ინგლისურ და რუსულ ენებზე. კონფერენციის ორგანიზატორი იყო ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია.

საქართველოს განათლების სამინისტრომ დაამტკიცა “საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკების ტიპური დებულება”. დებულება გამოიცა ცალკე ბროშურის სახით.

1999 წელი

თბილისში ჩატარდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მეორე რეგიონალური საბიბლიოთეკო კონფერენცია. მასალები გამოიცა ინგლისურ და რუსულ ენებზე. კონფერენციის ორგანიზატორი იყო ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია.

სექტემბერ-ოქტომბერში თბილისში ჩატარდა ორი საერთაშორისო სემინარი თემაზე: “საყოველთაო ბიბლიოგრაფიული აღრიცხვა და UNIMARC ფორმატი”. ორგანიზატორები: საქართველოს ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაცია და საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და დაწესებულებების საერთაშორისო ფედერაცია. IFLA სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სპეციალისტებმა IFLA UBCIM პროგრამიდან, ბრიტანეთიდან, ლიტვიდან, ხორვატიიდან, აშშ-დან, სომხეთიდან, აზარბაიჯანიდან, სემინარი დააფინანსა ფონდმა “ღია საზოგადოება-საქართველო”. მასალები გამოიცა რუსულ და ინგლისურ ენებზე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, როგორც სათაბირო ორგანო, მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს კულტურისა და განათლების სამინისტროების პა-

სუხისმგებელი პირები, დარგის წამყვანი სპეციალისტები, ეროვნული ბიბლიოთეკების დირექტორები, წიგნის პალატის წარმომადგენლები.

საქართველოს განათლების სამინისტრომ დაამტკიცა “საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის დებულება”. გამოქვეყნდა გაზეთში “განათლება” – 17.23.1999.

მუშაობა განაახლა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებულმა სხვადასხვა უწყების ბიბლიოთეკების მეთოდური სამსახურების მუდმივმოქმედმა სემინარმა.

ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს ეროვნული, სამეცნიერო და მასობრივი ბიბლიოთეკების მიერ ორგანიზებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე “საქართველოს მასობრივი ბიბლიოთეკები განვითარების თანამედროვე ეტაპზე”.

2000 წელი

გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება “სამთავრობო გამოცემების საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელში გავრცელების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ”. გამოქვეყნდა გაზეთში “საქართველოს რესპუბლიკა” – 24.05.2000.

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბაზაზე ჩატარდა საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი.

დაარსდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია (1996 წელს დაარსებული საქართველოს ბიბლიოთეკართა ასოციაცია გაუქმებულად იქნა მიჩნეული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის შეხვედრა ეროვნული და მთავარი საუწყებო ბიბლიოთეკების დირექტორებთან. საუბარი შეეხებოდა გამომცემლობებსა და ბიბლიოთეკებს შორის ურთიერთობის საკითხებს.

გამოვიდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ყოველთვიური გაზეთი “ქართული წიგნი”, გაზეთი აშუქებს ბიბლიოგრაფიის, კატალოგრაფიის, წიგნმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო საქმის საკითხებს. გაზეთში იბეჭდება ინფორმაციები ახლადგამოცემული წიგნების შესახებ; გაზეთის მთავარი რედაქტორია ლევან ბერძენიშვილი.



კლასიფიკატორთა საყურადღებოდ

საქართველოს მასობრივ და სასკოლო ბიბლიოთეკებში საბიბლიოთეკო დოკუმენტების რეკლასიფიკაციის პროცესი მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკების მიერ 1998 წელს გამოცემული „საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილებით“. ფონდების გადაყვანა რუსულ საბიბლიოთეკო – ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის (ბბკ) სისტემიდან უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის სისტემაზე რთული და შრომატევადი პროცესია. ბიბლიოთეკებისათვის განკუთვნილი საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილები შედგენილია უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის (YDK) მესამე რუსული გამოცემის მიხედვით. ცხრილების მოცულობა და ცალკეულ განყოფილებათა დეტალიზაცია, განსაკუთრებით მე-3, მე-5 და მე-9 განყოფილებები, როგორც მოსალოდნელი იყო, არ აღმოჩნდა საკმარისი დიდი ფონდების მფლობელი ბიბლიოთეკებისათვის (ცენტრალური რაიონული, საქალაქო, რესპუბლიკური საბავშვო და სხვ.). ჟურნალის რედაქციამ საჭიროდ მიიჩნია ამჟამად მოქმედ საკლასიფიკაციო ცხრილებში შეეტანა დამატებები უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მე-4 რუსული გამოცემის მიხედვით. ამ ეტაპზე სისტემატიზატორებს ვთავაზობთ დამატებებს 0, 1, 2, და 3 განყოფილებებისათვის. კლასიფიკატორებს ვთხოვთ, თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები, დაკავშირებული საკლასიფიკაციო ცხრილების სრულყოფასთან, მოგვანდონონ ჟურნალის რედაქციაში.

- 001.1 ზოგადი ცნებები მეცნიერების შესახებ.
- 001.2 მეცნიერებათა ურთიერთკავშირი.
- 001.3 მეცნიერების მნიშვნელობა და ღირებულება, მისი დაცვა და წახალისება.
- 001.4 მეცნიერული ტერმინოლოგია. ნომენკლატურა.
- 001.5 მეცნიერული თეორიები, ჰიპოთეზები და სისტემები.
- 001.6 მეცნიერული ცოდნა. სტატისტიკა და დინამიური კანონები.
- 001.8 ზოგადი მეთოდოლოგია. კვლევის მეცნიერული და ტექნიკური მეთოდები. მეცნიერული ანალიზი და სინთეზი. მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ორგანიზაცია
- 001.9 ცოდნის გავრცელება
- 002.5 მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოები.
- 002.6 დოკუმენტაციის ცენტრები. საერთაშორისო, ეროვნული.
- 003.2 დამწერლობის ანბანური სისტემები.
- 003.24 დამწერლობა უსინათლოთათვის. ბრაილის ანბანი.
- 003.26 კრიპტოგრაფია. საიდუმლო დამწერლობა.
- 003.27 სტენოგრაფია.
- 003.3 იდუგორაფიული და ლოგოგრაფიული დამწერლობანი.
- 003.334 კაკასიური დამწერლობები.
- 003.334.1 სომხური დამწერლობა,
- 003.334.2 ქართული დამწერლობა
- > ბიბლიოთეკები, რომლებსაც გამოყენებული აქვთ ინდექსი 003 (479.22) ტოვებენ იგივე ინდექსს.
- 003.5 დამწერლობის მასალები და იარაღები
- 003.6 აზრის გრაფიკული გამოსახვის საშუალებები. მათემატიკური და ლექსიკოგრაფიული ნიშნები.
- 003.65 ხარისხის ნიშნები.
- 004 საინფორმაციო ტექნოლოგიები. კომპიუტერული ტექნოლოგია.
- >621.3 გამოთვლითი ტექნიკის წარმოება და კონსტრუირება.
- 004.2 გამოთვლითი მანქანების არქიტექტურა.
- 004.3 აპარატურა. ტექნიკური უზრუნველყოფა.

- 004.4 პროგრამული საშუალებები.
- 004.5 ადამიანებისა და მანქანების ურთიერთდამოკიდებულება.
- 004.6 მონაცემები.
- 004.7 კომპიუტერთა ურთიერთკავშირი. გამოთვლითი ქსელები.
- 004.8 ხელოვნური ინტელექტი.
- 004.9 გამოყენებითი საინფორმაციო (კომპიუტერული) ტექნოლოგიები.
- 005 ინფორმაციათა შესწავლის პრობლემები: მეთოდოლოგია, ანალიზი, სინთეზი.
- 006 სტანდარტიზაცია და სტანდარტები.
- 006.9 ზომათა და გაზომვათა სტანდარტიზაცია. მეტროლოგია.
- 006.92 დროის გაზომვა და სტანდარტიზაცია.
- 006.95 ქრონოლოგია. კალენდრები.
- >521.9 ასტრომეტრია.
- შენიშვნა: გადასაცემი ცხრილები (თბ., 1998. გვ.56) ქრონოლოგია წარმოდგენილია უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მე-3 რუსული გამოცემის მიხედვით, ინდექსით 529. ამ ინდექსით წარმოდგენილი დოკუმენტები უნდა განლაგდეს ახალი ინდექსით 006.95 შესაბამისად.
- 007 ინფორმაციის, კავშირგაბმულობისა და მართვის (კომპიუტერული) ზოგადი თეორია.
- 008.2 ფუნქციონირება. ცივილიზაციის პროგნოზირება და დეკლარაცია.
- 021.2 ბიბლიოთეკა, როგორც განათლების საშუალება.
- 021.4 მკითხველთა მომსახურების სხვადასხვა სახეები: მასობრივი მუშაობა, ლექციები, კონფერენციები, საგამოყენო მუშაობა.
- 021.63 საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალიზაცია.
- 021.8 ბიბლიოთეკების მართვა. საბიბლიოთეკო კანონმდებლობა. ბიბლიოთეკის დაკომპლექტება. წიგნგაცვლა.
- 025.11 ბიბლიოთეკის ფინანსური საკითხები.
- 027.02 ბიბლიოთეკის ტიპები
- 028.02 კითხვის ფსიქოლოგია.
- 081 ერთი ავტორის სხვადასხვა შინაარსის ნაწარმოებთა კრებულები
- 082 სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებების კრებულები.
- 082.1 გრძელდგამადი გამოცემები. სერიული გამოცემები. სხვადასხვა თემზე არსებული დოკუმენტების სერიული გამოცემები.
- 082.2 შერეული შინაარსის კრებულები. ციკატების კრებულები. საიუბილეო კრებულები.
- 084 სახვითი და გრაფიკული დოკუმენტების კრებულები. ალბომები.
- 087.2 სხვადასხვა კატეგორიის მკითხველთათვის განკუთვნილი გამოცემები.
- 090.1 ბიბლიოფილია. ბიბლიომანია.
- 091 ხელნაწერები.
- 091.5 ავტორეფერატები.
- 093 ინკუნაბულები. გამოცემები 1500 წლამდე.
- 097 ექსლიბრისი (წიგნის ნიშნები, წიგნის წარმოშობა).
- 098.1 აკრძალული წიგნები
- 099.1 არაჩვეულებრივი ფორმატის გამოყენები. მიკროფოტოწიგნები.
- 1. ფილოსოფიური მეცნიერებანი. ფსიქოლოგია
- 1 ფილოსოფია
- 1(03) ფილოსოფიური ენციკლოპედიები, ცნობარები
- 1(038) ფილოსოფიის ტერმინოლოგიური ლექსიკონები



- 1(07) ფილოსოფიის სწავლების მეთოდთა
 1(082) სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებების კრებულები ფილოსოფიაში
 1(09) ფილოსოფიის ისტორია
 101 ფილოსოფიური მეთოდები. დიალექტიკური მატერიალიზმი
 11 მეტაფიზიკა
 113 ბუნების ზოგადი კანონები. სამყაროს წარმოშობა
 114 სამყაროს უსასრულობა. სივრცე
 115 ღრ. ღროისა და მოძრაობის ურთიერთკავშირი
 117 მატერია
 118 ძალა. ენერჯია
 122 ფილოსოფიის ცალკეული კატეგორიები და პრობლემები.
 128 სიცოცხლისა და სიკვდილის ფილოსოფიური პრობლემები
 13 სულის ფილოსოფია. სულიერი ცხოვრების მეტაფიზიკა
 130.2 კულტურის ფილოსოფია. კულტუროლოგიური მოძღვრებანი
 133 ოკულტიზმი. ალქიმია. ასტროლოგია. პოროსკოპები. ქირომანტია.
 14 ფილოსოფიური სისტემები
 140.8 მსოფლმხედველობა. მონიზმი. დუალიზმი. პლურალიზმი. რაციონალიზმი. ინტელექტუალიზმი.
 141.2 ოპტიმიზმი. პესიმიზმი.
 —> 159.9 ფსიქოლოგია
 159.9:62 საინჟინრო (ტექნიკური) ფსიქოლოგია
 159.9:629 საავიაციო და კოსმოსური ფსიქოლოგია
 159.9.01 ფსიქოლოგიის ფილოსოფია, თეორია და კანონები. რაციონალური ფსიქოლოგია
 159.9.019 ფსიქოლოგიური სისტემები და მიმართულებები.
 159.9.071 ფსიქოლოგიური კვლევები. მეთოდები. ექსპერიმენტები
 159.91 ფსიქოფიზიოლოგია
 159.92 შედარებითი ფსიქოლოგია
 ამ ინდექსით კლასიფიცირდება დოკუმენტები გენეტიკური ფსიქოლოგიის, ეთნიკური ფსიქოლოგიის, ერის (ნაციის) ფსიქოლოგიის შესახებ.
 159.922.6 ასაკობრივი ფსიქოლოგია
 159.922.7 ბავშვის ფსიქოლოგია
 159.923 ფსიქოლოგიური ტიპები. ინდივიდუალური ფსიქოლოგია. პიროვნების ფსიქოლოგია. ტემპერამენტი
 159.925 მოძღვრება ფსიქიკური პროცესების გარეგნული გამოხატვის შესახებ: გრაფოლოგია, ქირომანტია.
 159.929 ბიოფსიქოლოგია. მცენარეთა და ცხოველთა ქცევა. შედარებითი ფსიქოლოგია.
 159.93 სენსორული პროცესები.
 159.938 ფსიქოფიზიკა. ფსიქომეტრია.
 159.94 მოტორული ფუნქციები: ემოციურობა, გრძობები. სულიერი მოძრაობის სახეები.
 159.95 უმაღლესი ფსიქიკური პროცესები: ყურადღება, მეხსიერება, მნემოტექნიკა. ფანტაზია. წარმოსახვა.
 159.96 განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობა. პარაფსიქოლოგია. პალუცინაციები. ძილის ფსიქოლოგია. ფსიქოანალიზი.
 159.97 ფსიქიკის ანომალიები (ფსიქოპათოლოგია) მელანქოლია, ექსტაზი.
 159.99 ფსიქოლოგიის სხვადასხვა საკითხები.
 16 ლოგია. შემეცნების თეორია. მეცნიერების მეთოდოლოგია და ლოგია
 161.11 ცნების ნიშნები და სახეები
 161.12 ლოგიკის კატეგორიები: ცნება, მსჯელობა, დასკვნა
 164 ლოგისტიკა. ლოგიკური გამოკვლევები
 165 შემეცნების თეორია. ირაციონალიზმი, მისტიციზმი, რაციონალიზმი, ემპირიზმი. კრიტიციზმი. დოგმატიზმი, სუბიექტივიზმი
 167 მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია. ჰიპოთეზა, ფანტაზია, უტოპია, კანონები, წესები
 მოძღვრება დეფინაციისა და კლასიფიკაციის შესახებ
 168.1 მეცნიერებათა სისტემები.
 168.5 მეცნიერებათა სისტემების მეცნიერებათა სისტემატიზაციის პრობლემები.
 —> 001 მეცნიერებათმცოდნეობა. გონებრივი შრომის ორგანიზაცია. ინდექსით 168.5 აისახება აგრეთვე დოკუმენტები ცალკეული მეცნიერული სისტემების შესახებ: ფორმალური მეცნიერებანი, რეალური მეცნიერებანი, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, გამოყენებითი და სხვ. მეცნიერებანი
 17 ეთიკა. მოძღვრება მორალის შესახებ. პრაქტიკული ფილოსოფია
 17.0 მიმართულებები და კონცეფციები ეთიკაში ზნეობის არსი. ქცევა, პიროვნება, ხასიათი, მოვალეობის შეგნება. ზნეობრივი ღირებულებები. მორალური, რელიგიური.
 17.023 ზნეობრივი კანონი
 17.023.32 სოციალური გაერთიანებები. ოჯახი. ხალხი, რასები, ნაცია, კლასები, კაცობრიობა.
 17.026 მორალური ქცევის მოტივები. სოციალური მოთხოვნობები. სოლიდარობა
 17.035 ინდივიდუალიზმი. ეგოიზმი. ალტრუიზმი.
 17.037 მორალურ ვალდებულებათა უარყოფა. ნეიტრალიზმი. ნიპილიზმი
 172.1 დამოკიდებულება პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის.
 —> 321 პოლიტიკურ ორგანიზაციათა ფორმები.
 172.12 სამოქალაქო მორალი
 172.15 პატრიოტიზმი. ნაციონალიზმი. შოვინიზმი
 172.16 კოსმოპოლიტიზმი. ჰუმანიტარიზმი.
 172.2 სახელმწიფოთა და თანამდებობის პირთა მოვალეობანი.
 172.3 სახელმწიფო და რელიგია. სინდისის თავისუფლება.
 172.4 მორალური დამოკიდებულება ხალხთა შორის. საერთაშორისო ეთიკა. ომი და მშვიდობა. პაციფიზმი. ინტერნაციონალიზმი.
 173 ოჯახური ეთიკა
 —> 347.6 საოჯახო სამართალი
 —> 392.3 საოჯახო და ნათესაური დამოკიდებულება.
 173.1 ქორწინება. პოლიგამია და მონოგამია.
 174.4 საქმიანი ეთიკა. საქუცავა. თამაშობანი.
 174.7 სახელმეცნიერელო ურთიერთდამოკიდებულება. პატიოსნება. მოტყუება
 174.8 ურთიერთდამოკიდებულება მეწარმესა და მუშებს შორის.
 175 გართობისა და დასვენების ეთიკა
 176 სექსუალური ეთიკა. თავშეკავება. საღიზმი. პროსტიტუცია
 176.7 მორალი და ზელოვნება
 176.8 მორალი და ლიტერატურა. პორნოგრაფია.
 177 მორალი და საზოგადოება. ადამიანური ურთიერთდამოკი-



- დებულებანი. მადლიერება.
- 177.2 აზრის ხელშეწყობა. გულახდილობა, სიმართლე, ბილწსიტყვაობა, ანონიმური წერილები და ა.შ.
- 177.5 სოციალური ზნეობა
- 177.6 სიყვარული. მეგობრობა
- 178 მორალი და თავშეკავება. ნარკოტიკები. ალკოჰოლური სასმელების გამოყენება.
- 179 მორალის სხვადასხვა საკითხები: გმირობა, მამაცობა
- 179.9 ღირსება. მაღალსულიანობა. კაცთმოყვარეობა. სიბრძნე, გულწრფელობა, ერთგულება და სხვ
- 2 რელიგია. თეოლოგია. ათეიზმი
- 211 ღმერთი. ღვთაება. თეოფანია. ათეიზმი.
- 211.5 სკეპტიციზმი. ურწმუნოება. რაციონალიზმი. თავისუფალი რელიგია
- 213 სამყაროს შექმნა. სამყაროს მარადიულობა
- 215 რელიგია და მეცნიერება. ცოდნა და რწმენა. მეცნიერებისა და ეკლესიის წინააღმდეგობანი.
- 216 ღმერთის სამართლიანობა და გულმონყალობა.
- 217 ღმერთმსახურება. ლოცვა. თეოფილანთროპია
- 22.01 ბიბლიის ინტერპრეტაცია. წმინდანთა ცხოვრება
- 221 ძველი აღთქმა
- 225 ახალი აღთქმა
- 229 მეორად კანონიერი წიგნები. აპოკრიფები
- 23 (09) დოგმატიკის ისტორია
- 230 ქრისტიანობის არსი
- 232 ქრისტიანოლოგია. იესო ქრისტე. მისი მოძღვრება
- 234 რწმენა. სარწმუნოება და ცოდნა
- 236 ესქატოლოგია. ციური სამოთხე. ჯოჯოხეთი. ანტიქრისტე. სამყაროს დასასრული.
- 237.2 სულის უკვდავება
- 24 პრაქტიკული ღვთისმეტყველება. რელიგიური მორალი.
- 243 ლოცვები
- 244 ქრისტიანული კითხვა. სასულიერო ლიტერატურა. ამ ინდექსით აისახება რელიგიური სულისკვეთებით დაწერილი რომანები, მოთხრობები, წიგნები საკვირაო სკოლებისათვის.
- 245 საეკლესიო სიმღერები
- 246 ქრისტიანული ხელოვნება და სიმბოლიკა რელიგიური თვალსაზრისით. კრიპტოგრაფია. ქრისტიანული იკონოგრაფია.
- 246.8 რელიგიური მუსიკა
- 248 ასკეტური და მისტიკური ღვთისმეტყველება. ინდივიდუალური ლოცვები. სულიერი ცხოვრება.
- 25 მოძღვართა ღვთისმეტყველება
- 251 ქადაგება
- 254 მღვდლობა
- 261 ეკლესია და კულტურა. ქრისტიანული ცივილიზაცია.
- 262 ეკლესიის მართვა
→ 348 საეკლესიო სამართალი
- 262.1 საეკლესიო იერარქია. პატრიარქი, ექსარქოსი, მიტროპოლიტი, არქიეპისკოპოსი, ვატიკანი. პაპების საეკლესიო ხელისუფლება.
- 262.14 დაბალი რანგის საეკლესიო თანამდებობები: მისიონერები, დიაკვნები, აბატები და სხვ.
- 262 წმინდა აღდგომა
- 264 საზოგადოებრივი ღმერთმსახურება. საღვთისმეტყველო წიგნები. საეკლესიო კალენდრები.

- 266 მისიონერობა. ევანგელიზაცია.
- 267 რელიგიური გაერთიანებები და საზოგადოებები.
- 28 ქრისტიანული ეკლესიები. სექტები
- 281.6 სომხური ეკლესია
- 281.9 მართლმადიდებლური ეკლესია
- 281.914 იერუსალიმი
- 281.93 რუსული მართლმადიდებლური ეკლესია
- 281.97 ქართული ეკლესია
- 282 რომაულ-კათოლიკური ეკლესია
- 283 დანარჩენი ქრისტიანული (არაკათოლიკური) ეკლესიები. ინგლისური, ამერიკული საეპისკოპოსო ეკლესიები.
- 284 პროტესტანტული ეკლესიები და სექტები.
- 286 ბაბტიისტები.
- 289.9 ბიბლიის კვლევის საერთაშორისო გაერთიანებები. იდეოლოგიები.
- 29 არაქრისტიანული რელიგიები
- 291 ზოგადი და შედარებითი რელიგიათმცოდნეობა. ახალი რელიგიები.
- 291.14 კლასიკური რელიგიები. მონოთეისტური, პოლითეისტური, მისტიკური და სხვ.
- 291.15 გენეტიკური დამოკიდებულება რელიგიათა შორის.
- 291.17 არარელიგიური ხალხები.
- 291.2 რელიგიური მოძღვრება. დოგმები. გარდაცვლილთა კულტი. ანიმიზმი. სპირიტიზმი. ფეტიშიზმი. ტოტემიზმი. ცეცხლისა და წყლის კულტი. ცხოველთა გაღმერთება.
- 291.22 მოძღვრება ადამიანსა და სულზე.
- 291.3 რელიგიური წეს-ჩვეულებები. ღმერთმსახურება.
- 291.4 რელიგიური ცხოვრება. ასკეტიზმი. უღმერთობა.
- 291.5 რელიგიური ეთიკა. მორალური იდეალი.
- 291.6 რელიგიური ორგანიზაციები.
- 292 ძველი საბერძნეთისა და რომის რელიგიები. კლასიკური მითოლოგია.
- 294.5 ინდუიზმი. ბრაჰმა, შივა, ვიშნუ, კრიშნა, იოგა.
- 295 სპარსული რელიგიები
- 296 იუდეის (ისრაელის) რელიგია. იუდაიზმი.
- 297.18 ყურანი
- 299 დანარჩენი რელიგიები: სემიტების, სირიის, ფინიკიური, ეთიოპიის, ძველევრაპტური, ჩინეთის და სხვ.
- 299.5 დაოსიზმი. ლაო-ძი. იაპონური რელიგიები.
- 299.6 აფრიკის ხალხთა რელიგიები.
- 299.7 ამერიკის ხალხთა რელიგიები.
- 3 საზოგადოებრივი მეცნიერებანი. დემოგრაფია. სტატისტიკა. სოციოლოგია. პოლიტიკა. ეკონომიკა. სამართალი. სახემწიფო. სამხედრო საქმე. სოციალური უზრუნველყოფა. დაზღვევა. განათლება. ეთნოგრაფია.
- 303 საზოგადოებრივი მეცნიერებათა მეთოდოლოგია. გამოკვლევათა საერთო დახასიათება.
- 303.4 გამოკვლევათა სტრატეგია. სახეები და მეთოდები.
- 303.7 ანალიზის მეთოდები
- 303.8 გამოკვლევათა ორგანიზაცია. გამოკვლევის პროცესი.
- 304 სოციალური საკითხები. სოციალური პოლიტიკა. კულტურული ცხოვრება. ცხოვრების წესი.
- 308 სოციოგრაფია. საზოგადოების აღწერილობითი შესწავლა.
- 311 სტატისტიკის თეორია. სტატისტიკის მეთოდები.
- 314.5 ქორწინება. კავშირები. თანაცხოვრება.
- 314.7 მიგრაცია.
- 314.8 მოსახლეობის კლება და მატება.



- 316.2 სოციოლოგიური სკოლები და მიმართულებები.
- 316.3 ოჯახი. სოციალური სტრუქტურა.
- 316.4 სოციალური დაგეგმარება. სოციალური პროცესები. სოციალური დინამიკა.
- 316.7 კულტურის სოციოლოგია. სხვადასხვა საზოგადოებათა კულტურა. ცივილიზაცია.
- 316.77 სოციალური კომუნიკაცია. ინფორმაციის გადაცემა. არხები, საშუალებები.
—> 007 ინფორმაციის, კავშირისა და მმართველობის ზოგადი თეორია.
- 32.0 პოლიტოლოგია
- 32.01 საზოგადოებრივი აზრი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა. არალეგალური პროპაგანდა და აგიტაცია.
- 321.01 მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ. სახელმწიფოს თეორია. სუვერენიტეტი. სახელმწიფო და ტერიტორია.
- 323.1 ეროვნული მოძრაობა. ეროვნული საკითხები. ეროვნული უმცირესობანი.
- 323.22 მოსახლეობის კრიტიკული პოზიცია სახელმწიფოს მიმართ.
- 323.232 პოლიტიკური განათლება.
- 323.264 პოლიტიკური მდელვარებანი, პიკეტები.
- 323.4 კლასობრივი ბრძოლა.
- 325.3 კოლონიზაცია. კოლონიალური პოლიტიკა.
- 325.8 მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის.
- 326 მონობა. მონებით ვაჭრობა. ბრძოლა მის წინააღმდეგ.
- 327.2 იმპერიალიზმი. ექსპანსიური პოლიტიკა.
- 330.16 ეკონომიკური სიძნელეები. ეკონომიკური ქცევის ფიზიკურ-ფსიქოლოგიური ელემენტები. მორალი ეკონომიკაში.
- 330.4 მათემატიკური ეკონომია. ეკონომეტრია. ეკონომიკური ინფორმაცია.
—> 519.72 ინფორმაციის თეორია მათემატიკური თვალსაზრისით.
- 331.4 სამუშაო ადგილების ორგანიზაცია. შრომის ორგანიზაცია. შრომის პიკეინა.
- 331.54 პროფესიები. პროფესიის არჩევა. უმუშევრობა. შრომის სტიმულირება.
- 331.9 შრომის საერთაშორისო რეგულირება. ჯილდოები შრომისათვის.
- 332 რეგიონალური ეკონომიკა. აგრარული საკითხი. საბინაო მეურნეობა. ბინათმშენებლობა ეკონომიკური თვალსაზრისით.
- 332.2 მიწა ეკონომიკური თვალსაზრისით.
- 332.3 მიწათსარგებლობის საკითხები. რენტა.
- 334 თანამშრომლობისა და ორგანიზაციის ფორმები ეკონომიკაში
- 334.7 სამეურნეო ორგანიზაციათა ფორმები. მანუფაქტურები. ფაბრიკები. ქარხნები.
- 334.72 კერძო საწარმოები. სააქციო კომპანიები. შერეული დაფინანსების კომპანიები და საწარმოები.
- 334.724 სახელმწიფო საწარმოები
- 334.73 კოოპერატივები
- 336.1 სახელმწიფო ფინანსები
- 336.2 სახელმწიფო შემოსავალი
- 336.5 სახელმწიფო დანახარჯები
- 336.7 ფულადი მიმოქცევა. ბირჟები.
- 338.1 ეკონომიკური მდგომარეობა. სამეურნეო სტრუქტურის

- განვითარება. ეკონომიკური ზრდა.
- 338.245 სამხედრო ეკონომიკა.
- 338.47 ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ეკონომიკა.
- 338.5 ფასები. ფასწარმოქმნა. თვითღირებულება.
- 339.3 საშინაო ვაჭრობა
- 339.5 საგარეო ვაჭრობა. საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა. საბაულები.
- 339.7 საერთაშორისო ფინანსები
- 339.91 შრომის საერთაშორისო დანაწილება. ოფიციალური ორგანიზაციები. ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციები. ეკონომიკური კავშირები. ევროკავშირი.
- 339.942 კოოპერირება სახელმწიფოთა შორის. ერთობლივი პროექტები. ერთობლივი ეკონომიკური გეგმები.
- 339.986 ეკონომიკური ომები.
- 340.1 სამართლის ფორმები და სახეები. მიმართულებები. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. სამართლებრივი ნორმები.
- 340.13 კოდექსები. კანონები. კონსტიტუციური კანონმდებლობა. კანონების დარღვევა.
- 340.5 შედარებითი სამართალმცოდნეობა
- 340.6 სასამართლო მედიცინა. სასამართლო ფსიქოლოგია. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა
- 340.61 ქორწინება. მორალი. განქორწინება
- 340.63 სასამართლო ფსიქიატრია
—> 343.95 სასამართლო ფსიქოლოგია
—> 616.89 ფსიქიატრია (მედიცინა)
- 341.16 სპეციალური საერთაშორისო ორგანიზაციები. იუნესკო. ევროპის საბჭო
- 341.18 სახელმწიფოს მეთაურთა კონფერენციები. საპარლამენტთაშორისო კავშირები
- 341.211 სახელმწიფოს სუვერენიტეტი
- 341.213 ფედერალიზმი. ერთიანი სახელმწიფო. სახელმწიფოთა გაერთიანებები.
- 341.214 ნეიტრალური სახელმწიფოები
- 341.215 საერთაშორისო სამოქალაქო სამართალი
- 341.218 სახელმწიფოს აღმოცენება. ტერიტორიული ცვლილებები. სახელმწიფოს დანაწევრება და მოსპობა
- 341.222 სახელმწიფო საზღვრები
- 341.223 სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება და დაკარგვა. ოკუპაცია, ანექსია, ნებაყოფლობითი შეერთება
- 341.23 სახელმწიფოს უფლებები და მოვალეობანი. ავტონომია. დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი. ადამიანის უფლებები
- 341.232 სახელმწიფოთაშორისო დახმარებები, თანამშრომლობა. დახმარება განვითარების მიზნით. ფინანსური დახმარება და თანამშრომლობა.
- 341.233 ინტერვენცია. სახელმწიფო საქმეებში ჩარევა იურიდიული თვალსაზრისით
- 341.234 უმცირესობათა უფლებები
- 341.3 საომარი მოქმედებები იურიდიული ასპექტით, ომის გამოცხადება, ომის მიზნები, ტერიტორიების ოკუპაცია
- 341.38 მშვიდობიანი მოლაპარაკებები
- 341.8 საკონსულო სამართალი
- 341.9 საერთაშორისო კერძო სამართალი. კომპლიქტური სამართალი.
- 342 სახელმწიფო სამართალი. კონსტიტუციური სამართალი. ადმინისტრაციული სამართალი



- 342.24 ფედერალიზმი. კონფედერაცია
- 342.25 ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია. სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები
- 342.26 სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა
- 342.6 აღმასრულებელი ხელისუფლება. სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები
- 342.71 მოქალაქეობის მიღება. მისი უარყოფა. მოქალაქეობის არმქონე პირები
- 342.725 სახელმწიფოს ოფიციალური ენა. მშობლიური ენის გამოყენების უფლება
- 342.732 ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება
